ექსპერტები და ბიზნესმენები ძველ და ახალ წელზე A4

ერაყში აშშ-ს ყველაზე დიდი მტერი დაიჭირეს? A5

"თქვენი აფხაზეთი" A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 5 იანვარი, 2005 წელი. №1 (861)

ფასი 50 თეთრი

## სტუმარი



"ჭიათურმანგანუმის" ახალი მფლობელის ვინაობა სულ რამდენიმე დღეში გაირკვევა. "ჭიათურმანგანუმის" ტენდერში მონაწილე კომპანიათა შორის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად კორპორაცია "ინტერპაიპ"-ს ასახელებენ.
"24 საათს" ესაუბრება ნომრის სტუმარი, კორპორაცია "სამეცნიერო-სამრეწველო საინვესტიციო ჯგუფ "ინტერპაიპის" მმართველი საბჭოს წევრი ეკატერინა კრასნოვა.

B1

## საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ღია საზოგადოება - საქართველო

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

გაზეთი "24 საათი"

B6

## იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

**გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4**

# კათოლიკოს-პატრიარქის დაბადების დღე



ბესო გულაშვილის ფოტო

საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ 4 იანვარს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს დაბადების დღე აღნიშნა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს 72 წელი შეუსრულდა.

გუშინ დილიდან პატრიარქი ოფიციალური პირებისა და რიგითი მოქალაქეებისაგან მილოცვებს იღებდა. პატრიარქს დაბადების დღე პირველებმა მისმა ძმისშვილებმა ხილით, ტკბილეულით და ბარაქის ხით მიულოცეს.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ერისკაცობაში ირაკლი ღუდუშაური-შიოლაშვილი, 1933 წლის 4 იანვარს დაიბადა. სასულიერო აკადემიაში სწავლის დროს, 19 წლისა, უწმინდესი ბერად აღიკვეცა და სახელად, წმინდა ილია წინასწარმეტყველის პატივსაცემად, ილია ეწოდა. ამის შემდეგ იგი ხელდასხმულ იქნა იეროდიაკვნად, მოგვიანებით კი - მღვდელ-მონაზვნად. სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ დაინიშნა ბათუმის საკათედრო ტაძარში მღვდელმსახურად. სხვადასხვა სასულიერო იერარქიის გავლის შემდეგ, ილია მეორე აფხაზეთის ეპარქიაში გადაიყვანეს და მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანეს.

1977 წლის 9 ნოემბერს, წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, ილია მეორე დადგინდა პატრიარქის მოსაყდრედ, 1977 წლის 23 დეკემბერს კი არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად. იმავე წლის 25 დეკემბერს მოხდა მისი ინტრონიზაცია, რის შემდეგაც პატრიარქს მიეკუთვნა სახელი ილია მეორე.

გუშინ საპატრიარქოში საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე ნებისმიერ მსურველს საშუალება ჰქონდა, დაბადების დღე მიელოცა პატრიარქისთვის.

*24 საათი*

# ბანქოს თამაში „დურაკა"

**გთავაზობთ აფხაზი ჟურნალისტის ანალიტიკურ წერილს, რომელშიც განხილულია იანვარში დაგეგმილი განმეორებითი საპრეზიდენტო არჩევნების მოსალოდნელი გავლენა აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. გართულებების თავიდან ასაცილებლად, ჟურნალისტის ვინაობას არ ვუთითებთ.**

*ბევრი დარწმუნებულია, რომ იანვარში დაგეგმილი აფხაზეთის განმეორებითი არჩევნები მოსაწყენი იქნება. ბაგაფშისა და ხაჯიმბას ტანდემს ალტერნატივა არ გააჩნია, ხოლო ყველა პერიპეტია, რომელმაც შემოდგომაზე პოლიტიკური კრიზისი გამოიწვია, უკვე ჩავლილია. თუმცა, რეალურად უკვე აშკარაა ახალი პოლიტიკური კონსტრუქციების კონტურები, რომელთა წარმატებით განხორციელება შედეგად ახალ, გაცილებით სახიფათო, პოლიტიკურ კრიზისს გამოიწვევს, რაშიც კატალიზატორის როლს, სწორედ, განმეორებითი არჩევნები შეასრულებს.*

### სამი პარტია

ამჟამად აფხაზეთის პოლიტიკურ ასპარეზზე აშკარად არის გამოკვეთილი ძალთა სამი ჯგუფი, რომლებიც საკუთარი პოლიტიკური ხაზის გატარებას უკვე შეუდგნენ. თანაც, ამ ძალთაგან არც ერთის პროგრამა ოპონენტებთან კომპრომისს არ ითვალისწინებს. ძალთა პირველი ჯგუფი საკმაოდ გაურკვეველი გაერთიანებული ოპოზიციაა, რომელსაც სერგეი ბაგაფში ხელმძღვანელობს. მის სიაში მეორე ნომრად მყოფ რაულ ხაჯიმბასთან ერთად ოპოზიცია თითქმის გარანტირებული შედეგებით განმეორებითი არჩევნებისათვის ემზადება. ოპოზიციის წარმომადგენლები ამჯერად უფრო საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დაკომპლექტებითა და სხვა ტექნიკური ხასიათის პროცედურებით არიან დაკავებული, რომლის საბოლოო მიზანიც საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების საზოგადოების მიერ აღიარებაა.

ძალთა მეორე ჯგუფი იმ პირებისგანაა დაკომპლექტებული, რომლებმაც ოქტომბრის არჩევნებსა და იმდროინდელ კრიზისში ხაჯიმბას წინასაარჩევნო შტაბში გადამწყვეტი როლი შეასრულეს. მათ შორის, მნიშვნელოვან სახელმწიფო ჩინოვნიკებთან ერთად, აფხაზეთში სრულიად უცნობი ადამიანებიც მრავლად არიან.

გაგრძელება A3 გვერდზე

## კვლავ არჩევნები

თამარ მჭედლიშვილი

*ჯერჯერობით, ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლები დანამდვილებით ვერ გვეუბნებიან, მოიცავს თუ არა საქართველოს მორიგი საარჩევნო ციებ-ცხელება 2005 წელს. ვრცელდება ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, საარჩევნო ვნებათაღელვა ჩვენ 2006 წლის გაზაფხულზე გველის. თუმცა, წესით, 2005 წლის შემოდგომაზე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ანუ საკრებულოებს უფლებამოსილება უწყდებათ. ამიტომაც ადგილობრივი არჩევნები სწორედ ამ დროს უნდა გაიმართოს. ამის მიუხედავად, არ არის გამორიცხული, საქართველოს პარლამენტმა მათ უფლებამოსილება კიდევ ნახევარი წლით გაუგრძელოს და ადგილობრივი არჩევნები 2006 წლის გაზაფხულისთვის გადაიტანოს.*

თუმცა, ყველფარის მიუხედავად, აუცილებელია, საარჩენო სამზადისი სწორედ ახლა, ახლი წლის დადგომისთანავე დაიწყოს. მით უფრო, რომ პარლამენტში უკვე საუბრობენ ახალ საკანონმდებლო ინიციატივებზე, რომელიც ცენტრსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნას, ასევე ადგილობრივი არჩევნების მიმდინარეობის სპეციფიკას ეხება.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ოპოზიციური პარტიები ახლო მომავალში ადგილებზე პარტიული ან შერეული არჩევნების გამართვის ინიციატივით გამოვლენ. შეგახსენებთ, რომ 2002 წლის ადგილობრივი არჩევნები, პარტიული სიით, მხოლოდ საქართველოს დედაქალაქში - თბილისში გაიმართა. სხვაგან არჩევნები მაჟორიტარული იყო.

თავად ოპოზიციონერები პარტიული ან, უკიდურეს შემთხვევაში, შერეული არჩევნების გამართვის აუცილებლობას შემდეგი არგუმენტებით ხსნიან: მმართველი პარტიის უპირობო გავლენამ ადგილებზე, ფაქტობრივად, რაიონული ოპოზიციური ორგანიზაციები თამაშგარე მდგომარეობაში ჩააყენა. ადგილობრივი ხელისუფლება ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ რაიონებში ოპოზიციური აზრი ჩაკლას. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში ნორმალური პარტიული

გაგრძელება A2 გვერდზე

## ელექტროენერგიის მიწოდების საახალწლო 24-საათიანი გრაფიკი დასრულდა

საქართველოს მასშტაბით ელექტროენერგიის მიწოდების საახალწლო 24-საათიანი გრაფიკი დასრულდა. როგორც ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, 4 იანვრიდან საქართველოში ელექტროენერგია ჩვეული გრაფიკით განაწილდება - დედაქალაქში შეუზღუდავად, ხოლო რეგიონებში გადახდის მაჩვენებლების შესაბამისად, საღამოსა და დილის საათებში.

თბილისის ელექტროგამანაწილებელ კომპანია "თელასში" ამბობენ, რომ გრაფიკი უცვლელი რჩება თბილისში, თუმცა ახალი წლის დღეებში, ლოკალური ავარიების ლიკვიდაციის მიზნით, "თელასის" სარემონტო ბრიგადები მორიგეობენ. ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, მთელ ქვეყანაში 24-საათიანი ელექტრომომარაგება კვლავ იქნება 6-7 და 13-14 იანვარს. ახალი წლის დღეებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 24-საათიანი ელექტრომომარაგება მოქმედებდა.

*პრაიმ-ნიუსი*

## ამინდი

| | 5/1 | 6/1 |
|---|---|---|
| თბილისი | 6 | 7 |
| ქუთაისი | 7 | 7 |
| ბათუმი | 9 | 9 |
| სოხუმი | 8 | 4 |
| ფოთი | 8 | 8 |
| თელავი | 6 | 6 |
| ზუგდიდი | 8 | 6 |
| გორი | 2 | 3 |
| ახმეტა | 4 | 6 |
| ქიათურა | 4 | 4 |
| გაგრა | 6 | 3 |
| სამტრედია | 7 | 7 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8256 |
| ევრო | 2.4901 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5201 |
| რუბლი | 0.0658 |

A2 ამბები A3 ანალიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 პროექტი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 პროექტი B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

## რუსეთის საგარეო უწყებაში ეუთო-ს მონიტორინგს საჭიროდ აღარ მიიჩნევენ

რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყებაში რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ორი ქვეყნის შესაბამისი უწყებების ურთიერთმოქმედებას წარმატებულს უწოდებენ და მიაჩნიათ, რომ იქ ეუთოს მონიტორინგის გაგრძელება საჭირო აღარაა.

ამის შესახებ ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო დეპარტამენტის მიერ, საზღვარზე ეუთოს დამკვირვებლების საქმიანობის კომენტირებისას.

ამასთან, საგარეო პოლიტიკური უწყება მიუთითებს, რომ მისიას საზღვარზე საქმიანობის ვადა 31 დეკემბერს ამოეწურა.

შესაბამისად, 2005 წლის პირველი იანვრიდან ეს ოპერაცია ადმინისტრაციულ-ტექნიკური დახურვის რეჟიმში გადადის, ანუ, წყვეტს თავის საქმიანობას და ეტაპობრივად გაჰყავს თავისი ინფრასტრუქტურა, რაც, პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, შესაძლოა რამდენიმე თვე გაგრძელდეს.

მოსკოვში იმედოვნებენ, რომ ქართველ მესაზღვრეებთან და სპეცსამსახურებთან მუშაობა მომავალშიც წარმატებული იქნება, რათა არ დაუშვან საზღვრის უკანონო გადმოკვეთის ფაქტები, როგორც ერთ, ისევე მეორე მხარეს და აქტიური ბრძოლა გააგრძელონ ტერორიზმის წინააღმდეგ, - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

თავის მხრივ, საქართველომ რამდენიმე ხნის წინ ოფიციალურად დაადასტურა, რომ საზღვარზე ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის გაგრძელებას ითხოვს და მისი შეწყვეტა ნაადრევად მიაჩნია.

ეუთო-ს მისია საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის, ინგუშეთისა და დაღესტნის მონაკვეთების მონიტორინგს მეხუთე წელია, ახორციელებს.

*პრაიმ-ნიუსი*

## შალვა ნათელაშვილი 2004 წლის სახელისუფლებო არჩევნებს არალეგიტიმურად მიიჩნევს

ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები და პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებაში უკანონოდ მოვიდნენ, რადგან ისინი "ვადაგასულმა პარლამენტმა და მოსახლეობის უმცირესობის უმრავლესობამ აირჩია."

ამის შესახებ ნათელაშვილმა 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წლისთავთან დაკავშირებით გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე სამშაბათს განაცხადა.

იგი თვლის, რომ გასული წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები არალეგიტიმური იყო.

"ამ დღეს ხალხს საარჩევნო უფლება წაართვეს და ამომრჩევლად ის კატეგორია გამოაცხადეს, ვინც საარჩევნო უბნებში რეგისტრაციისთვის წინასწარ მივიდა," - თქვა მან.

*პრაიმ-ნიუსი*

## ლევან ბერძენიშვილის პროგნოზს უმრავლესობა არარეალურად მიიჩნევს



ლევან ხერხეულიძის ფოტო

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი შოთა გვენეტაძე არარეალურს უწოდებს რესპუბლიკელი პარლამენტარის ლევან ბერძენიშვილის განცხადებას, რომ "2005 წელი ეკონომიკური აღმავლობის კი არა, დაფიქრებისა... და ზურაბ ჟვანის დასამარების წელი იქნება". ამასთან, 2005 წელს დაითხოვენ მთავრობას.

როგორც შოთა გვენეტაძემ აღნიშნა, მისთვის წარმოუდგენელია, რატომ უნდა იყოს 2005 წელი პრემიერ-მინისტრის "დასამარების წელი," მაშინ, როცა ჯერ კიდევ 2004 წელს ზურაბ ჟვანიამ უპრეცედენტო გადაწყვეტილებები მიიღო და საკმაოდ ბევრი კარგი საქმე გაკეთდა.

ამასთან, უმრავლესობის წარმომადგენელი დარწმუნებულია, რომ მიმდინარე წელი ნამდვილად იქნება ეკონომიკური აღმავლობის წელი, რადგან ამ თვალსაზრისითაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება.

*მედიანიუსი*

## აფხაზური არმია „გარე აგრესიის" მოსაგერიებლად ემზადება

აფხაზეთის არმიის საბრძოლო მომზადების პრიორიტეტული მიმართულება 2005 წლისთვის ყველა შესაძლო გარე აგრესიის აღკვეთა იქნება, - აცხადებს სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების თავდაცვის მინისტრი ვიაჩესლავ ეშბა.

მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ძალისმიერი გზით მოგვარებას არ გამორიცხავს და აფხაზური არმიის წინაშე მდგარი ამოცანა სწორედ აქედან გამომდინარეობს.

"2005 წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ყველა სახის საჯარისო შენაერთის სწავლებებს, რეზერვისტებთან აქტიურ მუშაობასა და შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის გაზრდას," - აღნიშნა ეშბამ.

ეშბა არ აკონკრეტებებს, თუ რამდენით გაიზრდება შეიარაღებული ძალების რაოდენობა, თუმცა აცხადებს, რომ აფხაზურ არმიაში ამ დროისთვის ხუთი ათასი სამხედრო მოსამსახურეა, რასაც კარგად გაწვრთნილი 18 ათასი რეზერვისტიც ემატება.

*მედიანიუსი*

# კვლავ არჩევნები

პირველი გვერდიდან

ცხოვრების აღსადგენად, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს (პირველ რიგში, "ახლებს" და "კონსერვატორებს") აუცილებლად მიაჩნიათ, არჩევნები მხოლოდ მაჟორიტარული პრინციპით არ გაიმართოს და პარტიებს აქტიურობის უფლება თუნდაც მეორე დონის - ანუ რაიონული საკრებულოების არჩევნებზე მისცენ.

ამავე დროს, პოლიტიკოსების ნაწილი მაინც იმედოვნებს, რომ არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში ადმინისტრაციული მოწყობის დღევანდელი მოდელი გადაიხედება და საქართველოს ტერიტორიული დაყოფა სხვაგვარი იქნება. პოლიტიკურ წრეებში იხილება რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ, ჯერჯერობით, არც ერთი მათგანი ოფიციალური დისკუსიის თემა არ გამხდარა. ასე რომ, იმის ალბათობა, რომ ტერიტორიული დაყოფის მოდელი შეიცვლება, არც ისე მაღალია.

და რაც ყველაზე მთავარია - სულ ცოტა ხნის წინ საქართველო თვითმმართველობის ევროპულ ქარტიას მიუერთდა. ანუ, საქართველომ ევროსაბჭოს წინაშე ქვეყანაში სრულყოფილი თვითმმართველობის დამკვიდრების თაობაზე პასუხისმგებლობა აიღო. ეს კი ნიშნავს, რომ ქვეყნის პარლამენტმა მაქსიმალურად მოკლე ვადებში უნდა მოახერხოს კანონმდებლობის გაკეთილშობილება და ისეთი კანონების მიღება, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობებს რეალურ ძალაუფლებას მიანიჭებს.

# სტუმრად კარპატებში



მეგობარი ქვეყნების მეგობარი პრეზიდენტები უკრაინელ ხალხს ესალმებიან.

უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატმა ვიქტორ იუშენკომ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოჯახთან ერთად საშობაო დღესასწაულებზე კარპატებში დაპატიჟა.

ლვოვის ოლქის კურორტ ტისოვეცში ვიქტორ იუშენკო ოჯახთან ერთად სამი იანვრიდან იმყოფება.

როგორც იუშენკო აღნიშნავს, იგი ბედნიერია, რადგან შესაძლებლობა მიეცა, ეს ლამაზი დღესასწაული ახლობელ ადამიანებთან ერთად უკრაინის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ მხარეში აღნიშნოს.

მისი თქმით, ის კარპატების თოვლიან მთებში არა მარტო ისვენებს, არამედ სულიერ საზრდოს იღებს მთელი წლის ნაყოფიერი შრომისათვის.

# ლადო პაპავა: "მე კრწანისის რეზიდენციას არ გავყიდდი"

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ლადო პაპავას აზრით, ქვეყანაში მიმდინარე პრივატიზების პროცესს გამჭვირვალობა აკლია, რაც საზოგადოებას ხელისუფლების კრიტიკის საფუძველს აძლევს. ეს ეხება კრწანისის სამთავრობო რეზიდენციასაც.

როგორც ლადო პაპავამ "მედია-ნიუსთან" საუბრისას აღნიშნა, მისი გადასაწყვეტი რომ იყოს, კრწანისის რეზიდენციას ის არ გაყიდდა. **"მე კერძო საკუთრების დიდი მომხრე ვარ, მაგრამ კრწანისის რეზიდენციას არ გავყიდდი იმის გამო, რომ ჩვენ არ გვაქვს სტუმრის მისაღები არც დარბაზი და არც სასტუმროები. ამის გაკეთება, რა თქმა უნდა, შესაძლოა კერძო სექტორშიც, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ კრწანისის რეზიდენციაში თავის დროზე ცხოვრობდნენ ძალიან მაღალი, მსოფლიო რანგის პოლიტიკოსები. ისიც გასათვალისწინებელია, რომ კრწანისის ტერიტორია უნიკალურია კლიმატური პირობებითაც,"** - განაცხადა ლადო პაპავამ.

ცნობისთვის: კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია ერთ-ერთმა ამერიკულმა ბიზნესჯგუფმა 15 მილიონ დოლარად შეიძინა.

*მედია-ნიუსი*

# საფინანსო-საბიუჯეტო ოფისს მალე ახალი ხელმძღვანელი ეყოლება

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის ადგილი კვლავაც ვაკანტურია. როგორც ოფისის ყოფილმა ხელმძღვანელმა, ამჟამად კი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ განაცხადა, ოფისის ხელმძღვანელი უახლოეს პერიოდში დაინიშნება.

რომან გოცირიძის თქმით, ვაკანსიის შეუვსებლობის მიზეზი კი ის გახდა, რომ შესაბამისი კანდიდატურა ვერ მოიძებნა. შესაძლო კანდიდატების შესახებ ამჟამადაც არაფერია ცნობილი.

ცნობისთვის: საფინანსო-საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელს პარლამენტის თავმჯდომარე ნიშნავს.

საბიუჯეტო ოფისი ქვეყანაში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენის, ბიუჯეტის მიღებისა და აღსრულების პროცესების მიმდინარეობის ანალიზისა და მათი სრულყოფის ღონისძიებების შემუშავების მიზნით 1997 წელს შეიქმნა. მოგვიანებით, 1998-2000 წლებში კი ოფისის ფუნქციები გაფართოვდა და ცვლილებები შევიდა შესაბამის დებულებაში. აღნიშნული დებულებიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ძირითად მიზანს წარმოადგენს პარლამენტის ბიუროს, კომიტეტების, ფრაქციებისა და პარლამენტის წევრების საფინანსო-საბიუჯეტო და სხვა ეკონომიკური ხასიათის ანალიტიკური ინფორმაციით უზრუნველყოფა. საბიუჯეტო ოფისი არ იძლევა პოლიტიკური ხასიათის რეკომენდაციებს. ის მიუმხრობლობისა და პროფესიონალიზმის პრინციპით ხელმძღვანელობს.

*მედია-ნიუსი*

# საქართველოს ევროსაბჭოს შენიშვნების მოსმენა მოუწევს

23 იანვარს საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში მონაწილეობის მიზნით, სტრასბურგში მიემგზავრება.

სხვა საკითხებთან ერთად, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე განიხილება ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის მოხსენება, რომელიც უშუალოდ საქართველოს ეხება. კონკრეტულად კი საუბარია საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობასა და იმ ვალდებულებების შესრულებაზე, რომელიც ქვეყანამ ევროსაბჭოს წინაშე იკისრა.

როგორც საქართველოს დელეგაციის წევრმა, პარლამენტარმა ნინო ნაკაშიძემ "მედიანიუსთან" ინტერვიუში აღნიშნა, წინასწარი მონაცემებით, მონიტორინგის კომიტეტის მოხსენება არ იქნება კრიტიკული, ვინაიდან "კომიტეტის წევრებმა ის ვითარებაც გაითვალისწინეს, რომელიც საქართველოში არსებობს."

ასამბლეის სხდომაზე იმსჯელებენ, აგრეთვე, ე. წ. თურქი-მესხების საკითხზე, რომელიც ასევე საქართველოს ეხება.

ქართული დელეგაციის წევრები, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ელენე თევდორაძე, ირინა ქურდაძე, ნინო ნაკაშიძე და კიდევ რამდენიმე დეპუტატი, სამშობლოში თვის ბოლოს დაბრუნდებიან. დელეგაციას გიგა ბოკერია უხელმძღვანელებს.

*მედიანიუსი*

### მოკლედ

## პრეზიდენტის საჩუქარი სამტრედიელ ძალოვნებს

სამტრედიელ ძალოვნებს განვლილ წელს კრიმინალებთან ბრძოლა დაუფასდათ. რაიონის პოლიციის უფროსს ჯანო გრძელიძეს, კრიმინალური პოლიციის უფროსს ბუხუტი ნიკურაძეს და სამძებრო განყოფილების ხელმძღვანელს დავით ვაშაკიძეს სამსახურებრივი მოვალეობის დროს გამოჩენილი მხედრული მამაცობისთვის პრეზიდენტის ჯილდოები გადაეცათ. სამტრედიის გამგებელმა კახაბერ ვაშაკიძემ კი აღნიშნულ პირებს 500-500 ლარი გადასცა.

გასული წლის მეორე ნახევარში სამტრედიელმა სამართალდამცველებმა რამდენიმე ყაჩაღური ჯგუფის დანაშაულის ფაქტზე აყვანა, სამი საერთაშორისო ძებნილის დაკავება და ორი საშიში დამნაშავის ლიკვიდაცია შეძლეს.

როგორც რაიონის პოლიციის უფროსი ჯანო გრძელიძე აცხადებს, სამტრედია იმერეთის 12 რაიონიდან ბოლო ადგილზე იყო კრიმინალებთან ბრძოლის ხაზით, ახლა მას სტატისტიკური მონაცემებით მეოთხე ადგილი უკავია. ჯანო გრძელიძე სამტრედიელებისთვის ერთი წლის მანძილზე რიგით მეხუთე პოლიციის უფროსია.

*ინტერ-პრესი*

## პარლამენტარ ბეჟან გუნავას ძმაზე ძებნა გამოცხადდა

სამეგრელო-ზემო სვანეთის ფინანსურმა პოლიციამ საქართველოს პარლამენტში მმართველი პარტიის სიით გასული დეპუტატის ბეჟან გუნავას ძმას, გოჩა გუნავას, გადასახადების დამალვასა და თანხების მითვისებაში დასდო ბრალი.

როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, გოჩა გუნავამ, რომელიც კომპანია "მეგაჩაის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე იყო, სახელმწიფოს 60 ათასი ლარის გადასახადი დაუმალა.

სამართალდამცავთა თქმით, ეს იმ პერიოდში მოხდა, როდესაც მისი ძმა ბეჟან გუნავა ზუგდიდის საოლქო-საგადასახადო სამსახურს ხელმძღვანელობდა. გოჩა გუნავაზე ამჟამად ძებნაა გამოცხადებული

*მედიანიუსი*

### ორი სიტყვით

**ზუგდიდი.** გუშინწინ გამთენიისას სენაკის რაიონში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა საშიშ დამნაშავეთა ხუთკაციანი ჯგუფი დააკავეს. როგორც სამხარეო პოლიციის უფროსმა თემურ გელგაიამ განაცხადა, ხუთივე დაკავებული სენაკის მკვიდრია. დანაშაულებრივი ჯგუფი ბოლო დროს ხშირად აწიოკებდა როგორც სენაკის რაიონის, ასევე მიმდებარე რაიონების მცხოვრებლებს და ძირითადად ყაჩაღობით იყო დაკავებული.

დაკავებულთაგან ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და ნარკოტიკული ნივთიერებები. ტარდება ბალისტიკური ექსპერტიზა, რომლის შედეგად გაირკვევა, კიდევ რა დანაშაულებში მიუძღვით ბრალი დაკავებულებს. ბოროტმოქმედები სენაკის წინასწარი დაკავების საკანში მოათავსეს. მიმდინარეობს გამოძიება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 3 დეკემბერს თბილისის მეტროს სადგურ "ავლაბარში" საპატრულო პოლიციელის დაჭრაში ეჭვმიტანილი ორი პირი დააკავეს. ისინი აღმოჩნდნენ ძმები ზაქრო და ზურაბ თევდორაშვილები, რომლებმაც პატრული ირაკლი მეტრეველი, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა მათ წესრიგისკენ მოუწოდა, გულ-მკერდის არეში დანით დაჭრეს. ეჭვმიტანილები ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს და საქმეს პროკურატურა იძიებს. რაც შეეხება პატრულს, მას პირველადი დახმარება მეხუთე კლინიკურ საავადმყოფოში აღმოუჩინეს და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ყაჩაღობისთვის ნასამართლევი, 20 წლის ლევან ბოსიკაშვილი, რომელმაც არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა მეტროს სადგურ "ახმეტელთან" კერძო ტაქსის მძღოლს 40 წლის გელა შიუკაშვილს დანით ყელში მიაყენა ჭრილობა და ცდილობდა გაეტაცა მისი ავტომანქანა "ოპელ ომეგა". დაკავებისას ბოსიკაშვილმა სამართალდამცავებს წინააღმდეგობა გაუწია. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ქურდული ტრადიციების მიმდევარი, 50 წლის ნუგზარ მანაგაძე, რომელმაც გაქურდა მანანა მურვანიძის სახლი.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ბანქოს თამაში – „დურაკა"

*პირველი გვერდიდან*

ძალთა მესამე ჯგუფს კი ამჟამინდელი ხელისუფლება წარმოადგენს, რომლის კურსსაც პრეზიდენტი არძინბა და პრემიერ-მინისტრი ნოდარ ხაშბა აყალიბებენ. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედ ხელისუფლებას უფლებამოსილების ვადა აფხაზეთის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციისთანავე უმთავრდება, ანუ 3 თვეში, პრემიერ-მინისტრმა ხაშბამ მინისტრთა კაბინეტის მასშტაბური რეფორმა წამოიწყო. ძირითადი წინააღმდეგობრიობა გაერთიანებული ოპოზიციის პოლიტიკოსებსა და დანარჩენი ორი ჯგუფის წარმომადგენლებს შორის შეთანხმებებში მდგომარეობს: თუ ბაგაფშის მომხრეები საპრეზიდენტო არჩევნების 12 იანვარს ჩატარებითა და ამ გზით დეკემბრის შეთანხმების რეალიზაციით არიან დაინტერესებული, ხელისუფლებასა და ხაჯიმბას თავისი მომხრეებითურთ დეკემბრის შეთანხმებების დენონსაცია და, აქედან გამომდინარე, ახალი არჩევნები უფრო აძლევს ხელს. რეალურად, მოსკოვის ზეწოლით ხელმოწერილი შეთანხმებები, რომლის მეშვეობითაც აფხაზეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები გატარდა, ძალიანაც აძლევს ხელს ბაგაფშის მომხრეებს (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ხელმოწერილი დოკუმენტების უკმაყოფილებას არ მალავდა), რადგან ბაგაფში ხომ მაინც ხდება აფხაზეთის პრეზიდენტი შესაბამისი სახელისუფლებო უფლებამოსილებით. ხელმოწერილი შეთანხმებები რაულ ხაჯიმბასაც უნდა აკმაყოფილებდეს. მართალია, მისი საპრეზიდენტო ამბიციები იზღუდება, მაგრამ ვიცე-პრეზიდენტის პოსტის დაკავებით, რომლის სახელისუფლებო ძალაუფლებაც მნიშვნელოვნად გაიზრდება, ხაჯიმბა ფაქტობრივად თანამმართველი ხდება. შეგახსენებთ, რომ დეკემბერში ხელმოწერილი პროტოკოლის თანახმად, პარლამენტმა საკონსტიტუციო ცვლილება უნდა მიიღოს, რის შედეგადაც ვიცე-პრეზიდენტის ძალაუფლებები უნდა გაიზარდოს და საგარეო პოლიტიკის გაკონტროლების უფლებას იძენს, რაც მას პრეზიდენტის თანაბარ ძალაუფლებას მიანიჭებს.

თუმცა, ხაჯიმბას წარმატება, სავარაუდოდ, მის უახლოეს თანამებრძოლებზე არ გავრცელდება. მომავალში კოალიციურ მთავრობაში მათ, ალბათ, უფრო მეორეხარისხოვანი თანამდებობების დაკავება მოუწევთ. უკვე ცნობილია, რომ ბაგაფშის გამარჯვების შემთხვევაში ალექსანდრე ანქვაბი წინასაარჩევნო პრემიერ-მინისტრის პოსტს დაიკავებს. თუკი ხაჯიმბას პოსტი არჩევითია და პოლიტიკურ ბატალიებში მისი "დანაწილება" რთული იქნება, რასაკვირველია, რიგითი მინისტრების – ხაჯიმბისტების – პოზიციები მყიფე დარჩება, რასაც ბაგაფშის პრეზიდენტობის პოლიტიკური ბაზის [illegible] ანალიზი ცხადყოფს. კერძოდ, ხაჯიმბას მომხრეთა პოზიციები გაცილებით სუსტი იქნება გაერთიანებული ოპოზიციის ძალაუფლებასთან შედარებით, რომელიც იმ დროისათვის უკვე ხელისუფლება გახდება. ამიტომ, ის შეთანხმებები, რომლის ხელმოწერაზეც ხაჯიმბა დათანხმდა, არ შეიძლება მის უახლოეს გარემოცვაში ვინმეს აწყობდეს.

დეკემბრის შეთანხმებები უფრო მეტად არ აწყობს ვლადისლავ არძინბასა და ნოდარ ხაშბას. აღნიშნულ პროტოკოლზე ხელმოწერისას ორივე მხარე იძულებული იყო დაეცვა პოლიტიკური ეტიკეტის ნორმები და გაეკეთებინა ისეთი განცხადებები, რაც [illegible] თანამშრომლობის აუცილებლობას [illegible] ინტერესების შესაბამისად. [illegible]

აფხაზეთში სტაბილურობის აღდგენა ერთიანი მოსახლეობის [illegible] ინტერესებიც მოითხოვს [illegible] თავისი [illegible] "მთელი საუკუნის" მანძილზე აღდგა, ხაშბა პოლიტიკურ ასპარეზზე [illegible] "თამაშგარე მდგომარეობაში" [illegible] ახალი პოლიტიკური რეალობა [illegible] თუ აფხაზეთში, მისი [illegible] არძინბას [illegible] არამედ საკუთარი



*არავინ იცის, რამდენად მყარია ხაჯიმბას და ბაგაბშის "ზავი".*

პოლიტიკური ზრიდს ხელშეწყობისაკენ, რომლის გვირგვინიც თავისთავად ცხადია, პრეზიდენტის პოსტი უნდა გამხდარიყო, თანაც არა შემდეგ არჩევნებზე, არამედ ახლანდელზე. ამიტომ, იგი აქტიურად აღვივებდა პოლიტიკურ კრიზისს და მოსკოვთან კავშირით ლობირებდა აღნიშნულ შიდა კონფლიქტში რუსეთის ჩართვას. კარგადაა ცნობილი, რომ იგი ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების მეშვეობით აფხაზეთში რუსული ჯარის შემოყვანის თხოვნის შესახებ რუსეთის ხელისუფლებისათვის წერილის გაგზავნას ცდილობდა. ცნობილია ისიც, რომ სწორედ მისი მოსკოვთან მოლაპარაკებების შედეგად შეწყდა რუსეთიდან აფხაზეთის მიმართულებით სარკინიგზო მიმოსვლა და აფხაზეთიდან ციტრუსის ექსპორტი აიკრძალა. თუმცა, აფხაზეთის პოლიტიკურ დაპირისპირებაში თავის სასარგებლოდ მოსკოვის აქტიური ჩარევის მიღწევისას იგი მოვლენების სხვა მიმართულებით განვითარებას ნამდვილად არ მოელოდა. მას ხელს უფრო აძლევდა 6 დეკემბერს ბაგაფშის ინაუგურაცია, რუსეთთან ღია კონფლიქტი და საგანგებო მდგომარეობის შემოღებისათვის პირობების თანდათანობით მომზადება. ამის შემდეგ იგი შეძლებდა თავის წარმოჩენას ნიჭიერ "მხსნელად", პოლიტიკოსად, რომელმაც შეძლო ურთიერთობების რეგულირება როგორც რუსეთთან, ასევე აფხაზეთში. ამას რასაკვირველია, მოჰყვებოდა ახალი საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც გამარჯვებული თვითონ იქნებოდა. თუმცა, მან ვერ გაითვალისწინა ასეთ ვითარებაში ტაქტიკისა და მოქმედებების შესახებ კრემლის წარმოდგენების სპეციფიკა. 3 ოქტომბრის არჩევნებში კრემლის მიერ ხაჯიმბას მხარდაჭერა მხოლოდ იმაზე იყო აგებული, რომ იგი აფხაზეთში იმ ხელისუფლების მემკვიდრე იყო, რომელსაც მოსკოვი კარგად იცნობდა და რომლის მეშვეობითაც დაიწყო რუსეთმა ამ რეგიონში თავისი ინტერესების გატარება. აქ, უპირველეს ყოვლისა, ზოგიერთი რუსი მაღალჩინოსნის ეკონომიკური ინტერესები იგულისხმება. [illegible]

ამდენად, "აფხაზეთის სტაბილურობის აღდგენის აუცილებლობის შესახებ" რუსი მაღალჩინოსნების მიერ გაკეთებული განცხადებები, [illegible] რადგან ეს სტაბილურობა უკვე რუსული ინტერესების სტაბილურობასაც ნიშნავს. [illegible]

## ვითამაშოთ?

მთელ ამ ვითარებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ საკუთარ პოლიტიკურ [illegible] არავის სურს. ხაჯიმბას მომხრეებისთვის და არძინბა-ხაშბას ტანდემისთვის [illegible] "ყველაფერი ვიცით, ყველაფერს ვხედავთ, მშვიდად იყავით, რაიმეს მოვიფიქრებთ," - აცხადებენ ჟურნალისტებთან საუბარში ოპოზიციური ბლოკის ლიდერები. თუმცა, "რაიმეს მოსაფიქრებლად" დრო სულ უფრო ცოტა რჩება. ამასობაში ხაჯიმბას მომხრეები უკვე, პრაქტიკულად, ღიად საუბრობენ არჩევნების ჩაშლის საკუთარ გეგმებზე. უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება ტაქტიკაც. თანაც, ხაჯიმბისტებისათვის სულერთია, ჩატარდება თუ არა 12 იანვარს არჩევნები, ისინი უკვე ამზადებენ საზოგადოებრივ აზრს შედეგების ანულირებისათვის. ლოგიკა შემდეგში მდგომარეობს: საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება მხოლოდ აფხაზეთის შიდასამოქალაქო პასპორტებით შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ ბრძანება პასპორტიზაციის შესახებ პრეზიდენტმა არძინბამ ჯერ კიდევ ოქტომბერში გასცა, იგი ისევ შეუსრულებელია. დღესდღეობით აფხაზეთის მოსახლეობა ან ვადაგასული საბჭოთა პასპორტებით სარგებლობს, ან რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობებით, ან საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით, საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება უკანონოა, სწორედ ამიტომ, არჩევნები მას შემდეგ უნდა ჩატარდეს, როდესაც აფხაზეთის მოქალაქეები სახელმწიფო პასპორტებს მიიღებენ. გასაგები ხდება, რომ 12 იანვრამდე ამის განხორციელება შეუძლებელია. გარდა ამისა, თავიანთ საგაზეთო პუბლიკაციებში ხაჯიმბისტები იმ იდეასაც უწევენ პროპაგანდას, რომ საარჩევნო უბნებზე მოსახლეობის ნებისმიერი პროცენტით გამოცხადების შემთხვევაში, არჩევნების ჩატარებულად გამოცხადება ნორმის ფარგლებს სცილდება. საქმე იმაშია, რომ პარლამენტი განიხილავდა საკითხს, ეცნოთ თუ არა არჩევნები, თუკი მასში მონაწილეობას მოსახლეობის 25 პროცენტი მაინც მიიღებდა. მართალია, შემდეგ გადაწყვიტეს, არ შეეცვალათ კანონის ის მუხლი, რომელიც არჩევნებს ჩატარებულად მხოლოდ საარჩევნო უბნებზე მოსახლეობის 50 პროცენტის გამოცხადების შემთხვევაში მიიჩნევს. ხაჯიმბას მომხრეები ამჟამად სააგიტაციო ჯგუფების მომზადებით არიან დაკავებულნი, რომელთა ამოცანაც არჩევნებში მოსახლეობის აქტივობის შემცირებაში მდგომარეობს. ხაჯიმბისტთა სამოქმედო გეგმის მომდევნო ეტაპი კი შემდეგია: ზოგიერთ პოლიტიკურ ძალთა მიერ ზემოაღნიშნული მიზეზებით არჩევნების შედეგების ანულირების მოთხოვნასთან დაკავშირებით გამძაფრებული ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყება, რაც კრიზისს გამოიწვევს და ბაგაფში-ხაჯიმბას ტანდემს დაშლის. თუკი ყველა ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდება და არჩევნები გადაიდება მანამდე, სანამ სახელმწიფო პასპორტები არ გაიცემა, დაიწყება ხაჯიმბას, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატის, პროპაგანდის ახალი ეტაპი. მისი მომხრეები იმედოვნებენ, რომ ამჯერად უკვე შედეგები გაცილებით წარმატებული იქნება. გარდა ამისა, იგეგმება ადმინისტრაციული რესურსის ამოქმედებაც. უფრო სწორად კი, პასპორტებს აიღებს არა ყველა, არამედ მოსახლეობის მხოლოდ "სანდო" ნაწილი, ანუ ხაჯიმბას ელექტორატი. ცხადია, ასეთ შემთხვევაში პასპორტებს ვერ მიიღებს არამარტო გალის რაიონის მოსახლეობა, არამედ ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიონების ეთნიკური აფხაზი მოსახლეობის დიდი ნაწილიც, რომელიც ასევე არ ითვლება ხაჯიმბას მომხრედ.

ამ ვითარებაში ჯერჯერობით გაურკვეველია თავად ხაჯიმბას პოზიცია. ის თავისი მომხრეების მოქმედებებზე არავითარ კომენტარს არ აკეთებს, პირიქით, ბაგაფშთან ერთად, მისი სიით, წინასაარჩევნო კამპანიისათვის ემზადება. ყოველ შემთხვევაში, ტყვარჩელში ყოფნისას იგი მოსახლეობას მოუწოდებდა, ხმა ბაგაფშისათვის მიეცათ. მისი მომხრეებისათვის, სავარაუდოდ, უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო, ხელისუფლებაში ხაჯიმბას მოყვანის მცდელობისათვის თავი დაენებებინათ და მოქმედ ხელისუფლებასთან კოალიცია შეეკრათ, რადგან ამ ეტაპზე მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ახლა უკვე აშკარაა, რომ არჩევნების ჩაშლის სცენარის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ხელისუფლება თავის კანდიდატად უკვე არაერთხელ დამარცხებულ ხაჯიმბას კი არ წარადგენს, არამედ - ხაშბას. თუ იმ ფაქტს გავითვალისწინებთ, რომ ხაჯიმბას აქტიურ მხარდამჭერთა უმრავლესობა ხელისუფლებასთან დაახლოებული ხალხია, შესაძლოა ასეთი კავშირი საკმაოდ წარმატებულიც გამომდგარიყო. მაგრამ, ჯერჯერობით, ხაშბას თავი ისეუჭირავს, თითქოს ხაჯიმბისტთა საქმიანობას ვერ ამჩნევს. როგორც ჩანს, მას წარმატების დამოუკიდებლად მიღწევის იმედი აქვს თავის ჯგუფში, რომელმაც უკვე დაინაწილა პორტფელები, თუნდაც ძალიან პროგნოზირებადი, მაგრამ მაინც მოცემული მომენტისათვის უცხო გუნდის პოლიტიკოსების მიზიდვის გარეშე. ხაჯიმბისტებისაგან განსხვავებით, ხაშბას, სავარაუდოდ, არ უნდა ჰქონდეს არჩევნების ჩაშლის კონკრეტული გეგმა და თუ აქვს კიდეც, მაშინ ეს გეგმა მისი უახლოესი გარემოცვისთვისაც უცნობი უნდა იყოს. სამაგიეროდ, მუშაობა მიმდინარეობს სხვა მიმართულებით, კერძოდ, ჩატარებულია ხელისუფლების "კაპიტალური რემონტი". მასშტაბური რეფორმების, შემცირების, გაზრდისა და ახალი უწყებების შექმნის პარალელურად, კაბინეტიდან გაცხრილულია ოპოზიციის მეტად თუ ნაკლებად აქტიური მხარდამჭერი. თუმცა, თავიანთ თანამდებობებს მხოლოდ ისინი არ შელევიან. გათავისუფლებულნი არიან ისინიც, ვისაც პრეზიდენტი ყოველთვის ენდობოდა, მაგრამ ვერ გაამართლეს ეს ნდობა უკანასკნელი მოვლენების დროს. მაგალითად, სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის წარმომადგენელი ასტამურ აპბა, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანიც იყო, 3 ოქტომბრის არჩევნების შედეგების ნამდვილობის დამადასტურებელი პროტოკოლის ხელმოწერის ცერემონიალში მონაწილეობდა, რადგან მას ოპოზიციის მხრიდან "ზეწოლის" ეშინოდა. შექმნილია ახალი ძალოვანი უწყება – საგანგებო მდგომარეობათა სამინისტრო. მართალია, ოფიციალურად ამ უწყებაში არ შესულა, მაგრამ, ფაქტობრივად, მინისტრ სერგეი მატოსიანს დაექვემდებარება გაურკვეველი სტატუსითა და ასეთივე დავალებებით აღჭურვილი ახალი მილიტარიზებული ფორმირება, ანუ ამ უკანასკნელის ლეგალიზება მოხდება. გარდა ამისა, შეიქმნა ბეჭდვისა და ინფორმაციის სააგენტო, რომელიც სახელმწიფო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს კურირებას გაუწევს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ დამოუკიდებელ პრესაზე ზეწოლის მცდელობები ხაშბას უკვე ჰქონდა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომავალშიც მასმედიაზე ცენზურის განხორციელება სწორედ ამ სტრუქტურების მეშვეობით გაგრძელდება. თუმცა, ხაშბა როგორც მოსკოვს სავსებით დაქვემდებარებული პოლიტიკოსი, ნაკლებსავარაუდოა, ასეთ დინებაში კრემლთან შეუთანხმებლად ჩაერთოს. მასთან დაახლოებული წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ სფეროში მისი მიღწევები არცთუ ისე დიდია. როგორც ჩანს, კრემლს აფხაზეთში ახალი თამაშის დაწყება ჯერ არ სურს და ბაგაფშთან თანამშრომლობისათვის მზადაა. ვნახოთ, შეძლებს თუ არა ხაშბა მოსკოველების დარწმუნებას, ყოველ შემთხვევაში, ამჟამად ხაშბა ძალიან დიდ დროს ატარებს რუსეთის დედაქალაქში.

## სხვა მოთამაშეები

ახალი პოლიტიკური სცენარების ფორმირებასა და რეალიზებაში მნიშვნელოვან როლს მხოლოდ ხაჯიმბასა და ხაშბას ტიპის საკვანძო პოლიტიკური ფიგურები არ თამაშობენ, არამედ გასათვალისწინებელია შიდა საინფორმაციო ბაზარზე სხვა ნაკლებად ცნობილი პოლიტიკოსებიც, რომელთა მოღვაწეობა აფხაზეთში ძალიან თვალსაჩინოა და რომლებიც თავისებურად ბიძგის მიმცემნი არიან სხვა მსხვილი პოლიტიკოსებისთვისაც.

ერთ-ერთი წამყვანი როლი აკისრია არძინბასა და ხაშბასთან დაკავშირებულ პოლიტიკოსს, რომელიც კარგადაა ცნობილი როგორც რუსეთში, ისე საქართველოსა და დასავლეთში. ესაა სერგეი შამბა, რომელსაც მთელი 7 წლის განმავლობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. მან საგარეო უწყების ხელმძღვანელის თანამდებობა სწორედ წინასაარჩევნო კამპანიის კულმინაციისას დატოვა, მაგრამ ახლა, ხელისუფლების ხელმეორედ ფორმირებულ შემადგენლობაში ზემოაღნიშნული უფლებამოსილება კვლავ საკუთარ თავზე აიღო და ამასთან ერთად, ვიცე-პრემიერის პოსტიც დაიკავა, რომელიც ძალოვან ბლოკს კურირებს. აღნიშნული პოლიტიკოსის მოქმედების ლოგიკის გასაგებად ნამდვილად ღირს მისი პოლიტიკური კარიერის უკანასკნელ ეტაპზე საუბარი. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის ხმაურიანი დატოვება, ფაქტობრივად, მისი წინასაარჩევნო კამპანიის დასაწყისი იყო. აფხაზეთში კარგადაა ცნობილი მისი საპრეზიდენტო ამბიციები. მუდმივად ხელისუფლების გუნდში მყოფმა პოლიტიკოსმა გადაწყვიტა, თავისი ოპოზიციური განწყობის შესახებ ხმამაღლა განეცხადებინა. ამის შემდეგ, მან ერთმნიშვნელოვნად წამყვანი როლი ითამაშა მოძრაობა "ერთიანი აფხაზეთის" ჩამოყალიბებაში, რომელმაც არჩევნებზე თავის კანდიდატურად სერგეი ბაგაფში წამოაყენა. გასაგებია, რომ ამ მოძრაობის შექმნით შამბა საკუთარი კანდიდატურის წამოყენებაზე ფიქრობდა, მაგრამ "ერთიანი აფხაზეთის" ვეტერანების მოძრაობა "ამცახარა"-სთან ალიანსმა, სადაც უფრო პოპულარული ბაგაფში იყო, შამბას გეგმებს ანგარიში არ გაუწია და "ერთიანი აფხაზეთის" პოლიტსაბჭომ მხარდაჭერა ბაგაფშს გამოუცხადა. მაშინ შამბამ კარი გაიჯახუნა და არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურა დამოუკიდებლად წარადგინა. თუმცა, ასეთი ძლიერი ალიანსის მხარდაჭერის დაკარგვის ფონზე, მით უფრო, რომ აღნიშნულ ალიანსს მოგვიანებით "აიტაირა"-ც შეუერთდა ალექსანდრე ანქვაბთან ერთად, მას არჩევნებში გამარჯვების დიდი იმედი არც უნდა ჰქონოდა. მან ხმათა მხოლოდ 7 პროცენტის აღება მოახერხა. თუმცა, აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა მაინც გააგრძელა. ყველაზე დაძაბულ მომენტში იქმნება სოციალ-დემოკრატიული პარტია და იქვე ყალიბდება ძალიან ხელსაყრელი ვითარება. იწყება კონფლიქტი ბაგაფშისა და ხაჯიმბას მომხრეებს შორის. შამბა ამ დროს თავს მესამე ძალად აჩვენებს, რომელსაც დაპირისპირებული მხარეების შერიგება შეუძლია და სულ უფრო ხშირად საუბრობს ახალი არჩევნების ჩატარების აუცილებლობაზე, სადაც როგორც ხელისუფლების მომხრეების, ისე ოპოზიციის მიერ ერთობლივი "ნეიტრალური" კანდიდატი უნდა იქნეს წარდგენილი. ეს კანდიდატი, რა თქმა უნდა, შამბაა. თუმცა, მალე მიხვდა რა ოპოზიციასთან საკუთარი პოლიტიკური კარიერის უპერსპექტივობას, ღიად გადაინაცვლა ხელისუფლების მხარდამჭერ ძალთა გუნდში. მან აქ ხელისუფლებაში მეორე კაცის ადგილი დაიკავა, რომელიც ძალოვან სტრუქტურებს კურირებს. წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას შამბას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხარდამჭერი სერგეი მატოსიანი ხდება, რომელსაც შამბას გამარჯვების შემთხვევაში შინაგან საქმეთა მინისტრის სავარძელი ერგება. მანამდე კი მატოსიანი საგანგებო მდგომარეობათა სამინისტროს ხელმძღვანელი ხდება, რომლის შემადგენლობაშიც, კომპლექტაციის მეთოდითა და აღჭურვილობის ხარისხით, სპეცდანიშნულების რაზმის მსგავსი ახალი შეიარაღებული ფორმირებები შევიდა. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ შამბა აქტიურად ახორციელებს საკუთარ პოლიტიკურ სტრატეგიას, რომლის მიზანიც საპრეზიდენტო სავარძელია. ბევრი მართლაც უსაფუძვლოდ არ მიიჩნევს, რომ "ხაშბას გეგმის" რეალიზება შამბას პრეზიდენტის სავარძლისაკენ გაუხსნის გზას. საქმე იმაშია, რომ ხაშბას აფხაზეთის მმართველის სავარძლის დაკავებამდე დიდი პრობლემა აქვს გადასაჭრელი. ესაა ცენზი, რომელსაც კონსტიტუცია პრეზიდენტობის მოსურნე პირებს უწესებს. კონსტიტუციის ის მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი, სულ მცირე, ხუთი წლის განმავლობაში უნდა ცხოვრობდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე, ჯერ არავის შეუცვლია. ხაშბა კი თითქმის მთელი ომის შემდგომი წლები რუსეთში ცხოვრობდა. პარლამენტი კი, სადაც დეპუტატთა უმრავლესობა ბაგაფშს უჭერს მხარს, ზემოაღნიშნულ ცენზს არ შეცვლის. სწორედ ამიტომ, ყველა საფუძველი არსებობს იმის სავარაუდოდ, რომ ხელისუფლება ფსონს სწორედ შამბაზე დადებს, ხოლო ხაშბა პრემიერად დარჩება, მათ შორის ბალანსი კი უზრუნველყოფილი მათი ორმხრივი კულუარული შეთანხმების საფუძველზე იქნება. სიმართლე, რომ ითქვას, ისინი ამაზე თავიდანვე შეთანხმდნენ. შამბა თავისი წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას აცხადებდა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში პრემიერის პოსტს ხაშბა დაიკავებდა. ისინი დიდი ხანია, რაც ერთ გუნდში იმყოფებიან.

ამ გუნდში ძნელია მონახო სხვა ფიგურა, რომელიც ხელისუფლების პოლიტიკის ფორმირებაში ასეთ მნიშვნელოვან როლს შეიძლება ასრულებდეს. არძინბა და ხაშბა თავიანთ გუნდში წამყვან როლზე სხვა გავლენიანი პოლიტიკოსების მიზიდვისაკენ აშკარად არ ისწრაფვიან. თავისი არსით, ეს გუნდი არძინბა-ხაშბა-შამბას ტრიუმვირატს წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოს მართვის ფუნქციის მონოპოლიზებას იმედოვნებს. თვით ხელისუფლების ახალ შემადგენლობაშიც კი არ მოიძებნება მეტად თუ ნაკლებად დამოუკიდებელი ფიგურები, სამინისტრო პოსტების უმრავლესობაც სწორედ საკმაოდ მართვად და ხელისუფლებისათვის კარგად ნაცნობ ხალხს უკავია.

გაცილებით მრავალრიცხოვანია ხაჯიმბას მომხრეთა ბანაკი. არჩევნების ჩაშლის სამუშაოებს კოორდინირებას უწევს რამდენიმე ადამიანი. ეს ხალხიც ასევე დაახლოებულია ხელისუფლებასთან, მაგრამ შექმნილი გარემოებების გამო, ისინი სხვა თამაშს აწარმოებენ. მაგალითად, განათლების მინისტრი ტალი ჯოპუა დიდი ხანია, რაც კარიერას პრეზიდენტის მხარდაჭერით იკეთებს. 1996 წლის საპარლამენტო არჩევნებში არძინბამ ღიად მოუწოდა იმ ოლქის მოსახლეობას, სადაც ჯოპუა იყრიდა კენჭს, მისთვის დაეჭირათ მხარი. ბუნებრივია, ამის შემდეგ ჯოპუა გახდა კიდეც დეპუტატი. მოგვიანებით იგი აფხაზური ენის განვითარების ფონდს სათავეში ჩაუდგა. ბოლოს კი, ხაჯიმბას წინასაარჩევნო შტაბში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურის როლი მოირგო. თუმცა, პრეზიდენტის პოლიტიკური პრეფერენციების ცვლილება მან ვერ შეამჩნია და ახლა, ხელისუფლებაში ყოფნის მიუხედავად, ხაჯიმბას მხარდასაჭერად აგრძელებს ბრძოლას. ხაჯიმბას შტაბში პოლიტიკითაა დაკავებული განათლების სფეროს კიდევ ერთი წარმომადგენელი ფატიმა დაუთიაც – აფხაზეთში ყველაზე მსხვილი კერძო საბავშვო ზოგადსაგანმანათლებლო სტრუქტურის, სკოლა "ალფის" დამაარსებელი და დირექტორი. დღესდღეობით, "ალფა" სოხუმის საბაზისო სკოლაა, რომელსაც ფილიალები გუდაუთასა და გაგრაში აქვს. დაუთია პოლიტიკურ ბატალიებში აქტიურად ოქტომბრის არჩევნების დამთავრებისთანავე ჩაერთო. იგი შესაძლებელი იყო გენახათ გალში, სადაც 3 ოქტომბრის არჩევნებში დარღვევების დამამტკიცებელ სამხილებს აგროვებდა. ახლა დაუთია, პრეზიდენტის წარდგინებით, განახლებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობაშია. არსებობს მოსაზრება, რომ მისი პოლიტიკური აქტიურობის ძირითადი მიზეზი სახელმწიფო ბიუჯეტისადმი მისი დავალიანებაა. კერძო სკოლის დასაარსებლად ფული მან ეროვნული ბანკისა და სახელმწიფო საბაჟო კომიტეტისაგან მიიღო. თანხები საჭირო იყო არამარტო ინვენტარისათვის, სახელმძღვანელოებისა თუ ხელფასისათვის, არამედ სოხუმის ცენტრში ომის დროს დანგრეული შენობის აღსადგენადაც. ყველაფერი ეს პრეზიდენტის მეუღლის სვეტლანა ჯერგენიას პროტექციით კეთდებოდა, რომელიც სკოლის მეურვეცაა. ცხადია, ამ ვალების დაბრუნება დაუთიას ახლა არ შეუძლია - სკოლას ისეთი შემოსავალი არ აქვს, მიუხედავად იმისა, რომ იქ სწავლის საფასური აფხაზეთში, სხვებთან შედარებით, ყველაზე მაღალია. ხაჯიმბას კიდევ ერთი გამოკვეთილი მომხრე, ახალგაზრდა იურისტი თემურ გოლანძიაა, რომელიც ხალხს უზენაესი სასამართლოს შენობის წინ ტირილით დაამახსოვრდა, როდესაც მოსამართლე იური აქაბამ არჩევნების შემდგარად ცნობის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება, სადაც გამარჯვებულად სერგეი ბაგაფში ცნო. ამ კადრებმა მრავალი ტელეარხი მოიარა. გოლანძია საკმაოდ კვალიფიციური იურისტია. იგი არჩევნების შედეგებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესებზე ხაჯიმბას ადვოკატი იყო. ხაჯიმბას გამარჯვების შემთხვევაში მას იუსტიციის მინისტრის პოსტი უნდა დაეკავებინა. ამჟამად კი გოლანძია, ისევე როგორც დაუთია, პრეზიდენტის წარდგინებით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრია.

ხაჯიმბას გამოკვეთილ მომხრედ რჩება კიდევ რამდენიმე ცნობილი პირი. მაგალითად, აფხაზეთის ჰუმანიტარული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი ვასილ ავიძბა და პარლამენტის დეპუტატი მარინა ბარციცი, თუმცა, მოცემულ მომენტში მათი საქმიანობა მაინცდამაინც თვალსაჩინო არაა.

ბაგაფშის უახლოესი თანამებრძოლებიდან, კარგად ცნობილი ანქვაბის გარდა, აღსანიშნავია გურამ მიქვაბია და ლეონიდ ლაკერბაია. მიქვაბიამ მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ, სადაც მას წარმატებული ბიზნესი აქვს, აფხაზეთის ეკონომიკაში დაიწყო ინვესტიციების განთავსება. ამჟამად მისი ფირმა "მიკ-არტი" თავისებურ ჰოლდინგს წარმოადგენს, რომელიც სოხუმის მაღაზიათა ქსელს, რესტორნებსა და ბუნებრივი სასმელი წყლის საბადოს აერთიანებს.

"აიტაირას" ლიდერს ლეონიდ ლაკერბაიას პარლამენტის ახალ შემადგენლობაში სპიკერის პოსტს უწინასწარმეტყველებენ. ლაკერბაია საკმაოდ დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურაა. იგი ძლიერ პოპულარულია სხვადასხვა წრეებში. ბევრი მოელოდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ისიც წამოაყენებდა საკუთარ კანდიდატურას. უკანასკნელ ხანს მას სულ უფრო ხშირად უწოდებენ "მუდმივ ოპოზიციონერს". ახალმა პოლიტიკურმა რეალიებმა გამოკვეთეს ის პოლიტიკოსებიც, რომელთა ინტერესებიც საბოლოო ჯამში უგულებელყოფილი აღმოჩნდა როგორც დეკემბრის შეთანხმებებში, ასევე სახელისუფლო რეფორმების დროსაც. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, ისტორიკოსი სტანისლავ ლაკობა. ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე არჩევისთანავე იგი იძულებული გახდა, ამ თანამდებობაზე უარი ეთქვა, რადგან დეკემბრის შეთანხმების ხელმოწერა ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო. დღეს უკვე მას ამ ნაბიჯს ბევრი სიმამაცედ უთვლის, თუმცა, ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი პირველი იყო იმ პოლიტიკოსთაგან, ვინც 2003 წლის ზაფხულში საკუთარ საპრეზიდენტო ამბიციებზე ხმამაღალი განცხადება გააკეთა. საპრეზიდენტო კანდიდატად თავის წარდგენაში მას ხელი მხოლოდ აფხაზური ენის არცოდნამ შეუშალა, რომლის ფლობაც პრეზიდენტს მოეთხოვება.

მინისტრთა კაბინეტის რეფორმის შედეგად პოსტის დატოვება მოუწია არძინბას ერთ-ერთ გამორჩეულად ერთგულ ვლადიმერ ზანთარიასაც, რომელსაც ვიცე-პრემიერის თანამდებობა ეკავა და ზედიზედ რამდენიმე წლის განმავლობაში ჰუმანიტარულ ბლოკს კურირებდა. წინასაარჩევნო ბატალიების დროს იგი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო. ზანთარია იყო ერთ-ერთი ხელმომწერთაგანი, რომელმაც რუსეთის ხელისუფლებას აფხაზეთში ჯარის შემოყვანის თხოვნით მიმართა. აქტიურმა ქმედებებმა ზანთარია, მშობლიურ სოფელ ტამიშში, ფაქტობრივად, დევნილად აქცია, სადაც მოსახლეობის 90-მა პროცენტმა ხმა ბაგაფშს მისცა. ამ ყველაფერის შემდეგ, მას ბეჭდვისა და ინფორმაციის სააგენტოს ხელმძღვანელის უფლებამოსილება გადასცეს, სააგენტოსი, რომელსაც ჯერ არც კონკრეტული სამუშაო სქემა, არც შტატი და არც თვით შენობა გააჩნია. ამბობენ, იგი ფრიად გაოცებული იყო, როდესაც მას ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ აცნობეს.

ბევრი აღნიშნავს, რომ აფხაზეთს მსოფლიოში, ალბათ, პირველი ადგილი უკავია ერთ სულ მოსახლეზე პრეზიდენტის სავარძელზე მეოცნებე პოლიტიკოსთა რაოდენობის მიხედვით. შეიძლება ოცამდე ადამიანის ჩამოთვლა, რომლებმაც ან უკვე მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში ან სურდათ მაინც, გაეკეთებინათ ეს, ან მომავალში აპირებენ. ამდენად, სავსებით გასაგებია, რომ არანაირ შეთანხმებას, რამდენად კარგადაც არ უნდა ითვალისწინებდეს იგი რესპუბლიკაში ყველა პოლიტიკური ძალის ინტერესებს, არ შეუძლია, დააკმაყოფილოს პოლიტიკური ბაზრის აბსოლუტურად ყველა მონაწილის ინტერესები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დეკემბრის შეთანხმებებში აღნიშნულ პოლიტიკურ სტაბილურობამდე ჯერ კიდევ შორია. როგორიც არ უნდა იყოს იანვრის არჩევნების შედეგები, იგი უფრო ახალი, გაცილებით გაამწვავებული პოლიტიკური ბრძოლის დასაწყისი იქნება.

## "თბილგაზის" ხელმძღვანელობა, შესაძლოა, შეიცვალოს?!



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

"თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა დავით მორჩილაძემ, შესაძლოა, თანამდებობა დატოვოს - ამის შესახებ გუშინ სააგენტო მედია-ნიუსი იტყობინებოდა. სააგენტოს ინფორმაციით, მართალია, ამის შესახებ ოფიციალურად ჯერ არ საუბრობენ, თუმცა მისი მუშაობის გამო უკმაყოფილებას დედაქალაქის საკრებულოს ხელმძღვანელობა არ მალავს.

შესაძლო ცვლილებას, სახელისუფლებო კულუარებში, ეკონომიკის ყოფილი მინისტრის კახა ბენდუქიძის პოზიციების შესუსტებას უკავშირებენ. შეგახსენებთ, რომ დავით მორჩილაძე, რომელიც რუსეთში ფარმაცევტულ ბიზნესში საქმიანობდა, ამ თანამდებობაზე შარშან აგვისტოში, ეკონომიკის განვითარების მაშინდელი მინისტრის კახა ბენდუქიძის რეკომენდაციით დაინიშნა. თუმცა, ახლად დანიშნული დირექტორის მიერ კომპანიაში გატარებული რეფორმებით უკმაყოფილო იყო თბილისის საკრებულო და მისი თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი.

ამ უკანასკნელმა საკრებულოში "თბილგაზის" საფინანსო მდგომარეობის შესასწავლად სპეციალური კომისიაც კი შექმნა, რომელსაც დასკვნა, ჯერჯერობით, არ წარმოუდგენია.

სააგენტოს ინფორმაციით, "თბილგაზის" გენერალური დირექტორის საქმიანობით უკმაყოფილოა, აგრეთვე, უშიშროების სამსახურიც. ამის მიზეზი კი დავით მორჩილაძის მიერ "თბილგაზის" ერთპიროვნული მართვა გახდა. ასევე, უშიშროება მიიჩნევს, რომ დავით მორჩილაძე "თბილგაზში" ატარებს პოლიტიკას, რომელიც მიზნად ამ ორგანიზაციის საბოლოო გაკოტრებას და შემდგომ გაყიდვას ისახავს.

როგორც თბილისის მთავრობაში აცხადებენ, თუკი "თბილგაზის" ფინანსური მდგომარეობა გაუარესდება, შესაძლოა, მორჩილაძის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი დადგეს. 8 იანვრისთვის დაგეგმილ თბილისის საკრებულოს სხდომაზე სწორედ ეს საკითხი იქნება განხილული.

მანამდე კი ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ "თბილგაზმა" დედაქალაქის საბურთალოს რაიონში დაზიანებული გაზსადენის შეკეთება 3 იანვარს დაასრულა და ამ დროისთვის ქალაქის იმ უბნებს, რომელთაც ბუნებრივი აირი გათიშული ჰქონდათ, გაზის მიწოდება აღუდგათ.

ცნობისთვის: 1 იანვრიდან თბილისის ზოგიერთ რაიონს ბუნებრივი აირი შეზღუდვით მიეწოდებოდა. ყაზბეგის გამზირზე საშუალო წნევის გაზსადენზე მომხდარი ავარიის გამო, ბუნებრივი აირი გათიშული ჰქონდა ვაჟა-ფშაველას კვარტლებს, ყაზბეგის გამზირსა და ნუცუბიძის ფერდობის მესამე მიკრორაიონს.

### ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს ენერგოსექტორის განვითარების მიმართულებებს მთავრობის ინიციატივით შექმნილი სამუშაო ჯგუფი განსაზღვრავს. ამის შესახებ "პრაიმ-ნიუსს" პარლამენტის ენერგეტიკის საკითხთა შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარემ გია ნაცვლიშვილმა განუცხადა. მისი ინფორმაციით, სამუშაო ჯგუფში პარლამენტარები, ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლები და მეცნიერები შევლენ. ჯგუფი მუშაობას 4 იანვრიდან დაიწყებს და, ნაცვლიშვილის თქმით, საქართველოში ახალი ენერგოობიექტების მშენებლობის მიზანშეწონილობას მეცნიერულ და ეკონომიკურ დონეზე დაასაბუთებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ზესტაფონი.** ზესტაფონის რაიონმა ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტები ვადაზე ადრე და გეგმის გადაჭარბებით შეასრულა, რასაც გასული წლის ყველაზე დიდ მიღწევად მიიჩნევს რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი დავით ფერაძე. მისი თქმით, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში 8 მილიონამდე გაზრდილი ადგილობრივი ბიუჯეტი ზესტაფონს არ ჰქონია და იგი უპრობლემოდ შესრულდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილწყალკანალის" მიმართ 2002 წლამდე არსებული დავალიანებების მოსახლეობისთვის ჩამოწერის ვადა ამოიწურა. "თბილწყალკანალმა" მოსახლეობისთვის 2002 წლამდე არსებული დავალიანების - 15 მილიონი ლარის - ჩამოწერის შესახებ განცხადება 2003 წელს გააკეთა. ეს ვადები რამდენჯერმე შეიცვალა. ბოლოს თბილისის საკრებულომ იგი 2004 წლის დეკემბრის ბოლომდე გააგრძელა. თუმცა, ამ დროისთვის 12,5 მილიონი ლარი უკვე ჩამოწერილი იყო. **მედია-ნიუსი**


**ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის პროგრამა მენეჯერებისათვის**

*CERMA ტრეინინგი*

საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრის "CERMA ჯგუფის" წევრი, რომელიც ახორციელებს "ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის პროგრამას" კერძო სექტორის მენეჯერებისათვის, ამჟამად იწყებს დაინტერესებული პირების შერჩევას საფინანსო კურსის გასავლელად. სწავლება მიმდინარეობს ქართულად 3-ჯერ კვირაში, დღეში 2 საათი. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2005 წლის 5 იანვარი.

სასწავლო გრაფიკის, მეთოდოლოგიისა და სხვა დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ: www.mba.ge

**დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ მიმართოთ ნიკო მელითაურს.**
**ტელ.: 420 415 ან 420 417**
**ელფოსტა: nmelit@cerma.ge**



**ვაკანსია!**

**საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი (CERMA) აცხადებს კონკურსს ფინანსების, მარკეტინგის მენეჯმენტის სპეციალობის ბიზნესკონსულტანტის თანამდებობის დასაკავებლად.**

**აუცილებელია, მსურველებს ჰქონდეთ ამ სფეროებში მუშაობის მინიმუმ 2 წლის გამოცდილება, უმაღლესი განათლება, იცოდნენ ინგლისური ენა. განცხადების განხილვის შემდეგ შერჩეული კანდიდატები გაივლიან წერილობით ტესტირებას ინგლისურ ენაზე ანალიტიკურ, ლოგიკურ აზროვნებაში ფინანსებსა და მარკეტინგში. შერჩეული კანდიდატები იმუშავებენ უცხოურ საკონსულტაციო კომპანიასთან მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ საწარმოთა რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში.**

**მსურველებმა უნდა წარმოადგინონ დიპლომის ასლი, CV და განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ინგლისურ ენაზე.**

**საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2005 წლის 16 იანვარი.**

**დაწვრილებითი ინფორმაცია CERMA-ს შესახებ იხილეთ CERMA-ს ინტერნეტ-გვერდზე: www.cerma.ge.**

**მისამართი: ბახტრიონისა და ფანასკერტელის ქუჩების გადაკვეთა**
**ფაქსი: (995 32) 420 416**
**ელ-ფოსტა: mailbox@cerma.ge**


# ექსპერტები და ბიზნესმენები ძველ და ახალ წელზე

*2005 წლის პირველი ოთხი დღე, პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, საქართველო ისვენებდა. შესაბამისად, ქართულ ეკონომიკაში, გარდა რეგიონებში უკვე გათიშული დენისა, სხვა სერიოზული "ძვრა" არ მომხდარა. ჯერჯერობით, არც ის არის ცნობილი, საქართველოს ხელისუფლებისგან კონკრეტულად რა სიახლეებს უნდა ველოდოთ უახლოეს დღეებში. თუმცა, 2004 წელს საქართველოში ხელისუფლებამ უკვე გადადგა რამდენიმე ეკონომიკური ნაბიჯი, რომლებიც წლევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელად შეიძლება იქცეს. როგორია 2004 წლის სამი მთავარი ეკონომიკური მოვლენა და რა შედეგებს უნდა ველოდოთ წელს? ამ კითხვით მიმართა "24 საათმა" დღევანდელ რესპონდენტებს.*

დიანა ჩაჩუა

**ნიკო ლეკიშვილი: "2004 წელი ქართული ეკონომიკისთვის დამაიმედებელი აღმოჩნდა"**

საქართველოს დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის ნიკო ლეკიშვილის შეფასებით, 2004 წელი ეკონომიკისათვის დამაიმედებელი აღმოჩნდა. 2004 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენების ლეკიშვილისეული ვერსია ასე გამოიყურება: პირველი ადგილი - წლის ბიუჯეტის გაზრდილი შემოსავლები და კონტრაბანდასთან ბრძოლა; მეორე - ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება და მთავრობის ეკონომიკურ გუნდში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებები; და მესამე - დიდი პრივატიზაცია.

**"2004 წელს მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ის, რომ შევძელით ადმინისტრირების გაუმჯობესებით ბიუჯეტის შევსება. აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენას ძალიან დიდი გაგებით შეხვდნენ ჩვენი ბიზნეს-სტრუქტურები. ამავე პუნქტში გავაერთიანებდი კონტრაბანდის გადაკეტვის ფაქტსაც. ეს, რა თქმა უნდა, ბოლომდე ვერ მოვახერხეთ, მაგრამ მიღწეული შედეგი მაინც მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც წესიერად მუშაობს. წლის მეორე მოვლენა - საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებული მთელი რიგი განხილვები და საბოლოო ჯამში მისი მიღებაა. რა თქმა უნდა, გარკვეული შენიშვნები მაინც გვაქვს, თუმცა მას მაინც დადებით მოვლენად გამოვყოფდი. ამავე პუნქტში გავაერთიანებდი მთავრობის ეკონომიკურ გუნდში მომხდარ სტრუქტურულ ცვლილებებს, რომლებიც, ჩემი აზრით, ძალიან საინტერესოდ განხორციელდა. და ბოლოს: სახელმწიფომ დაიწყო იმ საწარმოებისგან და ობიექტებისგან გათავისუფლება, რომლებსაც იგი არ უნდა აკონტროლებდეს,"** - განაცხადა ნიკო ლეკიშვილმა "24 საათთან" საუბრისას.

**გია ჯანდიერი: "გასული წელი ბუნდოვანი იყო"**

ეკონომიკური ექსპერტი გია ჯანდიერი გასული წელს ბუნდოვანს უწოდებს. ქვეყანაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მოვლენად კი კახა ბენდუქიძის საქართველოში ჩამოსვლას ასახელებს. თუმცა, ჯანდიერისეულ მოვლენათა სიაში მხოლოდ ორი მოვლენა შევიდა. ნიკო ლეკიშვილისგან განსხვავებით, იგი ბიუჯეტის ზრდას და ლეგალიზაციას აღსანიშნავ მოვლენად არ მიიჩნევს.

**"ჩემი აზრით, წლის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მოვლენა კახა ბენდუქიძის საქართველოში ჩამოსვლა იყო. მეორე ადგილს საგადასახადო კოდექსის მიღების ფაქტს მივანიჭებდი, რომელშიც უამრავი შენიშვნის და ცუდი დებულების მიუხედავად, მაინც არის მნიშვნელოვანი მესიჯები. თუმცა, 2004 წელს მომხდარ ვერც ერთ სხვა მოვლენას ვერ ვუწოდებ წლის უმნიშვნელოვანეს მესამე მოვლენას. მაგალითად, ბიუჯეტის ზრდა ძალიან ცუდია. არც ლეგალიზაციას ვთვლი მნიშვნელოვან მოვლენად, რადგან არ მგონია, ამ კუთხით რამე განსკუთრებული მომხდარიყო. 2004 წლის ბიუჯეტის და საბაჟო შემოსავლები ჩვენი ჯიბის ხარჯზე ფინანსდებოდა. მე კი არ მიხარია, რომ ჩვენი ჯიბიდან მეტი ფული იყოს ამოღებული. ვიტყოდი, რომ გასული წელი ეკონომიკისთვის ბუნდოვანი იყო. ეს არც არის გასაკვირი - შეუძლებელია, რევოლუციის მერე ასე მალე შეიცვალოს ყველაფერი,"** - განაცხადა გია ჯანდიერმა.

**ირაკლი იაშვილი: "2004 წელს სანახაობა უფრო მეტი იყო, ვიდრე პური"**

სანახაობებით დატვირთული, რევოლუციური ეიფორიის ქვეშ განვლილი წელიწადი - ასე შეაფასა პარლამენტარმა ირაკლი იაშვილმა გასული ეკონომიკური წელი. საუბრის დასაწყისში მას ძალიან გაუჭირდა, წლის რომელიმე მოვლენისთვის "საპრიზო" ადგილი მიენიჭებინა. თუმცა, საბოლოოდ, იაშვილს და ნიკო ლეკიშვილს თითქმის ანალოგიური ვერსიები აღმოაჩნდათ. პარლამენტარის აზრით, ახლა ქართულ ბიზნესში დეპრესიაა და არ შეიძლება, გასულ წელს მომხდარ მოვლენებს ეკონომიკური ზრდა მივაწეროთ. წლის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ფინანსური ამნისტია კი, მისი თქმით, მხოლოდ სათაურად დარჩა.

**"სამი კი არა, ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური მოვლენა არ მახსენდება. თუმცა, გარკვეულწილად, საგადასახადო კოდექსის მიღების ფაქტი მოვლენაა. მეორე საკითხია, როგორ იმუშავებს იგი და რამდენად რეალური კანონი მივიღეთ. ასევე შეიძლება აღინიშნოს ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის დაწყება, რომლის პრინციპს ვეთანხმები, მაგრამ შინაარსი ბევრ ეჭვებს ბადებს. მესამე მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ პირველად, გასული წლების განმავლობაში, მთავრობა ბიუჯეტის გაზრდის მოთხოვნით შემოვიდა. ამ ჭრილში, ბიუჯეტის გაზრდა შედეგია, დანარჩენი ორი მოვლენა კი - პროცესი, რომელთა შედეგებსაც რამდენიმე წლის განმავლობაში ვერ ვნახავთ. რაც შეეხება ზოგადად მთელ ეკონომიკას: არ შეიძლება, ეკონომიკა მხოლოდ ბიუჯეტის ჭარბი შემოსავლებით შევაფასოთ. ეკონომიკის ზრდა გადასახადის გადამხდელთა რიცხვის ზრდაში გამოიხატება. ახლა ბიზნესში დეპრესიაა და ის, რომ იგივე რაოდენობის გადამხდელი უფრო მეტ ფულს იხდის, ეკონომიკის ზრდას არ ნიშნავს. შესაბამისად, ეს ძალიან დიდი პრობლემაა. ბიზნესის დეპრესიიდან გამოსაყვანად მთავრობამ ამნისტიას მიმართა, თუმცა, ამნისტია მხოლოდ სათაური გამოდგა. ამაზე ფარულად, მაგრამ თვითონაც ლაპარაკობენ. 2004 წელს სანახაობა უფრო მეტი იყო, ვიდრე პური. აი, პურის შექმნაზე კი ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილმა უნდა იმუშაოს. ვნახოთ რა გამოვა აქედან,"** - განაცხადა ირაკლი იაშვილი.

**დემურ გიორხელიძე: მთავრობამ მუშაობა პათეტიკის გარეშე უნდა გააგრძელოს**

როგორც ეკონომიკურმა ექსპერტმა დემურ გეორხელიძემ "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, გასული წელი არ იყო ის წელი, სადაც ეკონომიკაში რაიმე საეტაპო ხასიათის მოვლენა მოხდა. ჩრდილოვანი სექტორის ნაწილობრივი გათეთრება, ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა, მთავრობის მიერ წელს დაგეგმილი ცვლილებები - ასეთია მოვლენათა გიორხელიძისეული სამეული. შენიშვნების მიუხედავად, ექსპერტი საბოლოოდ ასკვნის, რომ გასულ წელს გამოთქმული ყოველი სურვილიც კი მნიშვნელოვან მომენტად შეიძლება ჩავთვალოთ.

**"ჩრდილოვანი სექტორის ნაწილობრივი გათეთრების მომენტი წლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. გასულ წელს წარმოებული პროდუქციის 40 პროცენტამდე ზრდა აღინიშნა, თუმცა ეს ეკონომიკური აღმავლობის შედეგი არ არის, ეს ჩრდილოვანი ეკონომიკის გათეთრების შედეგია. მეორე მნიშვნელოვან მოვლენად ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას დავასახელებდი, თუმცა აქაც ძალიან სერიოზული პრობლემებია, რადგან ბიუჯეტი არასწორადაა დაგეგმილი. პრაქტიკულად, მთავრობამ კერძო სექტორიდან იმაზე მეტი ფული წამოიღო, რაც მას 2004 წლის ბიუჯეტით ჰქონდა გათვალისწინებული. ეს კი ეკონომიკისათვის კარგი არ არის. მესამე მნიშვნელოვანი მომენტი შეიძლება იყოს ის, რომ 2005 წელს მთავრობა სერიოზულ ცვლილებებზე მიდის. საერთოდ, გასულ წელს სურვილიც კი შეიძლება დადებით მომენტად იქნეს მიჩნეული. მე არ მივანიჭებდი რაიმე მნიშვნელობას საგადასახადო კოდექსის მიღების ფაქტს, რადგან ეს არ წარმოადგენს იმას, რაც ქართულ ეკონომიკას დღევანდელ სიტუაციაში სჭირდება. 2005 წელს რევოლუციური პათოსიდან დაცლილმა მთავრობამ ქვეყანაში მუშაობა ყოველგვარი პათეტიკის და ემოციური დატვირთვის გარეშე უნდა გააგრძელოს. მთავრობის გასული წლის ყველაზე დიდ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მას უფრო დიდი ტემპებით შეეძლო ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ მან უარი თქვა იმ უდიდეს პოტენციალზე, რომელიც ხელისუფლებაში არსებულ პარტიებს გარეთაა,"** - განაცხადა დემურ გიორხელიძემ.

**ირაკლი ლექვინაძე: "ქვეყანაში არც ერთი ნორმალური ბიზნესი არ დაწყებულა"**

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის წევრი ირაკლი ლექვინაძე გასული წლის მოვლენების შეფასებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქვეყანაში დამძიმებულ ბიზნესგარემოს ანიჭებს. ამასთან, მისივე თქმით, ახალი საგადასახადო კოდექსი არ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რამაც ბიზნესის რეალური ზრდა უნდა გამოიწვიოს, ხოლო ამნისტიის კანონი - თავის დევიზს: ყველაფერი დავივიწყოთ და თავიდან დავიწყოთ. თუმცა, შენიშვნების მიუხედავად, შექმნილ სიტუაციას, პოსტრევოლუციური პერიოდის სახით, აქაც მოეძებნება გამართლება.

**"მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში პრივატიზაციის პროცესი დაიძრა. თუმცა დაგეგმილი საინვესტიციო ბუმი, ჯერჯერობით, არ ჩანს. შოკური თერაპია შეიძლება დავარქვათ იმას, რაც ახლა ხდება. ეს ყველაფერი ადრე რომ მომხდარიყო, დღეს ჩვენ ბევრად უკეთესი შედეგები გვექნებოდა. წლის მეორე მოვლენა - საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან ამის მიღწევა წინა ხელისუფლების დროს თითქმის შეუძლებელი იყო. მაშინ ეკონომიკა მზარდად ჩრდილოვან სექტორში მიდიოდა და გაუმჯობესება არ ხერხდებოდა. დღეს სხვა სიტუაციაა, რადგან ეკონომიკის ლეგალიზაცია ხდება. თუმცა, ბიუჯეტის შემოსავლების ზრდა რეალური ეკონომიკური ზრდის შედეგი არ არის. ის რესურსი, რითიც დღეს ბიუჯეტი ივსება, ამოწურვადია. ამიტომ გათვლები უნდა გაკეთდეს ეკონომიკურ ზრდაზე და არა ისეთ შემოსავლებზე, რომლებიც ადრე თუ გვიან ამოიწურება. წლის მნიშვნელობით მესამე მოვლენა იყო ის, რომ საგადასახადო კოდექსის და ფინანსური ამნისტიის კანონის მიღების მიუხედავად, ბიზნესისთვის კარგი პირობების შექმნა გასულ წელს ვერ მოხერხდა. ბოლო პერიოდში ქვეყანაში არც ერთი ნორმალური ბიზნესი არ დაწყებულა და ეკონომიკური აქტივობაც შემცირდა. ამას, პირველ რიგში, ხელს უწყობს ის, რომ ხელისუფლებამ შესცოდა, როცა დაჭერებზე მოახდინა აქცენტირება. შედეგად, ფულის წარმომავლობის გამხელასთან დაკავშირებით ბიზნესში შიშის სინდრომი გაჩნდა. არადა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფულის წარმომავლობას ნაკლებად ექცევა ყურადღება. მთავარია, საინვესტიციო პროექტებში ფულის ჩადება კანონის დაცვით მოხდეს,"** - განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

**ზურაბ მარგველაშვილი: "უზარმაზარი შვება იქნება საშემოსავლო და სოციალური გადასახადების შემცირების ფაქტი"**

მნიშვნელოვანი იყო საქართველოში დასაქმებული ბიზნესმენების აზრიც. კომპანია "თბილღვინოს" გენერალურმა დირექტორმა ზურაბ მარგველაშვილმა თავისი ბიზნესის მაგალითზე დაყრდნობით განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი იყო საგადასახადო კოდექსის და ფინანსური ამნისტიის კანონის მიღება. თუმცა, ბიზნესმენების კომენტარები, როგორც მოსალოდნელი იყო, მთავრობის მიმართ ნაკლები კრიტიკით გამოირჩეოდა.

**"გაიზარდა გადასახადების ადმინისტრირება და მეტი შემოსავლები შევიდა ბიუჯეტში. მივიღეთ ახალი საგადასახადო კოდექსი და ფინანსური ამნისტია. ეს წლის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენებია. გასულ წლებში არანორმალური საგადასახადო კანონმდებლობა მოქმედებდა, რაც უზარმაზარი კორუფციის წყაროს წარმოადგენდა, ის თანხები კი, რაც ბიუჯეტში შედიოდა, არამიზნობრივად იხარჯებოდა. ჩვენი კომპანიის მაგალითზე გეტყვით, რომ უზარმაზარი შვება იქნება საშემოსავლო და სოციალური გადასახადების შემცირების ფაქტი. ჩვენ ამას გულით და სულით მივესალმებით და ვფიქრობთ, რომ ეს წინგადადმული ნაბიჯია. ვიტყოდი, რომ ბევრ ბიზნესსტრუქტურას სურვილიც კი გაუჩნდა, ხელისუფლებას გვერდით დაუდგეს. ბევრ სახელმწიფო უწყებაში ხელფასები გაიზარდა და ძველი დავალიანებები დაფარული იქნა. ცალსახად გაიზარდა გადასახადების ადმინისტრირება, რაც ახალი ეკონომიკური გუნდის მუშაობის შედეგია. წელს ეკონომიკას ბევრად უფრო დადებითად შევაფასებდი, ვიდრე წინა წლებში,"** - განაცხადა ზურაბ მარგველაშვილმა.

**ბადრი ჯაფარიძე: "2004 წლის ეკონომიკა რთული იყო..."**

"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" გენერალური დირექტორის ბადრი ჯაფარიძის წლის ეკონომიკურ მოვლენათა სამეულში, "ტრადიციულ" ახალ საგადასახადო კოდექსის მიღებასთან და პრივატიზაციის დაწყებასთან ერთად, საქართველოში პირველი ტრანსნაციონალური კომპანიის შექმნის ფაქტიც შევიდა.

**"წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის წამოწყება და ახალი საგადასახადო კოდექსისი მიღება. ამ უკანასკნელის ნაკლოვანებებზე არ ვილაპარაკებ. ვიტყოდი, რომ იმაზე ცუდი კოდექსი, რაც მოქმედებდა, არ მგონია, არსებობდეს. მარტო ის რად ღირს, რომ საგადასახადოსთან დავა შეგიძლია კერძო არბიტრაჟში გაასაჩივრო. ამ შემთხვევაში ობიექტური განხილის მეტი შესაძლებლობაა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ ჩვენ ტრანსნაციონალური კომპანია შევქმენით. ეს არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი მოვლენაა. ვფიქრობ, ეს კარგი პრეცედენტია და სხვებმაც უნდა მოგვბაძონ. ერთი სიტყვით, 2004 წლის ეკონომიკა რთული იყო. თუმცა, რევოლუციური მოვლენების შემდეგ, ეს არც იყო გასაკვირი,"** - განაცხადა ბადრი ჯაფარიძემ.

**ვახტანგ ხომეზურაშვილი: "იყო მეტი "ხლაფორთი" და ნაკლები - რეალური ნაბიჯები"**

ეკონომიკური ექსპერტის ვახტანგ ხომეზურაშვილის თქმით, 2004 წელი უფრო მეტი "ხლაფორთის" და ნაკლები რეალური ნაბიჯების წელი იყო. წლის მოვლენად მან ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება დაასახელა. მიუხედავად იმისა, რომ ხომეზურაშვილმა ფართომასშტაბიან პრივატიზაციას წლის ეკონომიკურ მოვლენათა რეიტინგში მეორე ადგილი მიანიჭა, მისი კრიტიკა სწორედ პრივატიზაციის პროცესის მისამართით გაისმა.

**"გასული წლის მნიშვნელოვან ეკონომიკურ მოვლენებს ასეთ მიმდევრობას მივანიჭებდი: ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება, პრივატიზაცია და ეკონომიკის გამჭვირვალობის მიღწევა. ამ უკანასკნელზე საუბრის საშუალებას მაძლევს ის, რომ ეკონომიკის გარკვეული ნაწილის ლეგალიზება მოხერხდა. უფრო გამჭვირვალე გახდა თვით კორპორატიული სექტორი. პრივატიზაცია თავისთავად დადებითი მოვლენაა, მაგრამ ეს პროცესი მოუმზადებლად განხორციელდა. ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია ობიექტის ობიექტური ფასის დადგენა. ამ შემთხვევაში, მთელი მსოფლიო პროფესიონალურ შეფასებათა ინსტიტუტს იყენებს. სამწუხაროდ, ჩვენთან ეს ინსტიტუტი არ არსებობს. თავის დროზე, ამის ინიციატორად ეკონომიკის სამინისტრო უნდა გამოსულიყო, მაგრამ მან ეს ინიციატივა არ გამოიჩინა. დავობენ იმაზე, რომ ობიექტი უნდა გაიყიდოს ძვირად, ან იაფად, მაგრამ რასთან მიმართებაში, გაურკვეველია,"** - განაცხადა ვახტანგ ხომეზურაშვილმა.

# ბავარიელ პანცერკარდინალს რომის პაპობას უქადიან

*რომის პაპის იოანე პავლე მეორეს მემკვიდრე, შესაძლოა, გერმანელი კარდინალი იოზეფ რატცინგერი გახდეს, იუწყება ჟურნალი "თაიმი". კათოლიკურ ეკლესიაში რატცინგერი ტრადიციონალიზმის ერთ-ერთი ყველაზე მხურვალე მხარდამჭერია.*



*რომის პაპის შესაძლო მემკვიდრე ტრადიციონალიზმის ერთ-ერთი ყველაზე მხურვალე მხარდამჭერია.*

კარდინალი რატცინგერი 21 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ვატიკანის იდეოლოგიურ უწყებას, რომელიც ეკლესიური დოქტრინის განვითარებას და მის დაცვას უძღვება. 2002 წელს მან ეს თანამდებობა დატოვა. 77 წლის ბავარიელი რატცინგერი დიდი ხნის მანძილზე ითვლებოდა იოანე პავლე მეორეს ახლო თანაშემწედ და ბოლო 20 წლის განმავლობაში უამრავი მნიშვნელოვანი საეკლესიო დოკუმენტის ავტორად. კათოლიკური ეკლესიის ლიბერალური ნაწილისადმი შეურიგებელი პოზიციის გამო, რატცინგერმა კათოლიკეებში პანცერკარდინალის მეტსახელი დაიმსახურა.

ვატიკანის მაღალჩინოსანი წარმომადგენლის განცხადებით, რომელმაც ჟურნალისტებს მოუყვა იმ მდგომარეობის შესახებ, რასაც მიაღწია პანცერკარდინალმა კათოლიკურ იერარქიაში, რომის პაპის პოსტზე პრეტენდენტები ასევე არიან – იტალიელი დიონიჯი ტეტამანცი და კლაუდიო ჰუმესი სან-პაულოდან. 83 წლის პონტიფიკის ჯანმრთელობის მდგომარეობა ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე შეშფოთებას იწვევდა. თუმცა, ამერიკული ჟურნალის აზრით, მძიმე დაავადების მიუხედავათ, ვატიკანის იერარქიაში დღევანდელი ცვლილებები ავადმყოფობის გაუარესებას არ უკავშირდება. ფორმალურად, რომის პაპის პოსტზე პრეტენზიის გამოცხადება მამრობითი სქესის ნებისმიერ კათოლიკს შეუძლია, თუმცა 1378 წლიდან ამ პოსტზე ტრადიციულად ირჩევდნენ მხოლოდ კარდინალებს. რომის პაპს კარდინალების სპეციალურ დახურულ სხდომაზე (კონკლავი) ირჩევენ, რომელიც რომის პაპის გარდაცვალების არაუადრეს მეთხუთმეტე დღეს და არაუგვიანეს მეთვრამეტე დღეს იმართება. რომის პაპის პავლე მეექვსის 1975 წლის სამოციქულო კონსტიტუციის თანახმად, პონტიფიკის ამომრჩეველი კარდინალების რიცხვი 120-ს არ უნდა აღემატებოდეს. ამომრჩეველი-კარდინალის მაქსიმალური ასაკი 80 წლამდეა. რომის პაპის ასარჩევად კონკლავის მონაწილეთა ორი მესამედის ხმა არის საჭირო, პლუს ერთი დამატებითი ხმა.

# საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონისკენაა მიქცეული



*შვებულებიდან დაბრუნებული დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი, სტიქიური უბედურების ზონაში მოქცეული ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენისათვის საკითხების კოორდინირებას შეუდგა.*

გასული წლის უდიდესი სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზარალი კვლავ აღურიცხავია და ისევ იზრდება მსხვერპლთა რიცხვი. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი, რომელიც შვებულებას ეგვიპტეში ატარებდა, სამშობლოში დაბრუნებისთანავე სტიქიური უბედურების ზონაში მოქცეული ინდოეთის ოკეანის აუზის ქვეყნებისათვის დახმარების აღმოსაჩენად საკითხების კოორდინირებას შეუდგა. დადასტურებული ინფორმაციით, სტიქიის მსხვერპლთა შორის 40 ბრიტანელია, გაერთიანებული სამეფოს კიდევ 159 მოქალაქე კი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯეკ სთროს განცხადებით, მათი პოვნის იმედი უფრო და უფრო კლებულობს. მისი თქმით, ცუნამის მსხვერპლთა ამოცნობის მიზნით ტაილანდში უკვე გაგზავნილია 43 ბრიტანელი პოლიციელისაგან დაკომპლექტებული ჯგუფი. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში მყოფ ბრიტანელთათვის დახმარების აღმოჩენა ევალებათ ასევე კოლომბოსა და ჯაკარტაში დისლოცირებულ სამეფო საჯარისო ნაწილებს. ქვეყნის საკომუნიკაციო სისტემის აღდგენის მიზნით ინდონეზიაში იმყოფება უკვე 7 ბრიტანელი ინჟინერ-მეკავშირე. თავად ჯეკ სთრო კი უახლოეს დღეებში მოინახულებს ტაილანდსა და ინდონეზიას. ტაილანდის კუნძულ ფხუკეტზე საგანგებო საერთაშორისო სამიტს ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი "დიდი რვიანის" წარმომადგენლის რანგში დაესწრება.

ინდონეზიისათვის ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის მიზნით, სპეციალური რეისით დღეს რუსეთის საგანგებო მდგომარეობათა სამინისტრო ილ-76 სატრანსპორტო თვითმფრინავით კარვებს, თეთრეულს, გენერატორებსა და წყლის გასაფილტრ აპარატურას გაგზავნის. როგორც საგანგებო მდგომარეობათა სამინისტროში აცხადებენ, ზემოაღნიშნული დახმარება, უპირველეს ყოვლისა, აჩეხის პროვინციისა და ჩრდილოეთ სუმატრას მოსახლეობისათვისაა განკუთვნილი, რომლებიც 2004 წლის ბოლოს უძლიერესი მიწისძვრისა და ცუნამის დროს ყველაზე მეტად დაზარალდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან ეს პირველი ჰუმანიტარული დახმარება არ არის, რადგან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამ მიზნით, რუსეთმა უკვე ორჯერ გაგზავნა ჰუმანიტარული ტვირთი. გასული წლის 27 და 30 დეკემბერს საგანგებო მდგომარეობათა სამინისტროს თვითმფრინავებმა შრი ლანკაში ჩაიტანეს კარვები, პლედები და წყლის გასაფილტრი მოწყობილობები. "ამ ტვირთის საერთო წონა დაახლოებით 50 ტონა იყო", განაცხადეს სამინისტროში.

საერთაშორისო ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ "ექიმები საზღვრებს გარეშე" კი სტიქიური უბედურების მსხვერპლთათვის მატერიალური სახსრების შეგროვება შეწყვიტა, რადგან, შემოწირული თანხა მოსალოდნელზე მეტი აღმოჩნდა. "ჩვენ პირველად მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება", განაცხადა ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა პიერ სალინიონმა ინტერვიუში, რომელიც პარიზის შტაბ-ბინამ გაავრცელა. ინტერვიუში აღნიშნულია, რომ "ექიმები საზღვრებს გარეშე"-ს მხოლოდ ფრანგულმა სექციამ ტრაგიკული მოვლენის მერვე დღეს უკვე 4 მლნ ევროზე მეტი ოდენობის თანხა მიიღო, ხოლო ორგანიზაციას კიდევ ასეთი 18 სექცია აქვს სხვადასხვა ქვეყანაში. სალინიონის განცხადებით, მიღებული გადაწყვეტილება "საერთო მობილიზაციის პირობებში შესაძლოა, ალოგიკურად ჩანდეს, მაგრამ ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ არაა საჭირო ხალხის მიზიდვა დამატებით იმ ოპერაციაში, რომელიც უკვე დაფინანსებულია". შედარებისათვის კი გენერალურმა დირექტორმა გაიხსენა ერთი წლის წინ ირანის ქალაქ ბამში მომხდარი მიწისძვრა, სადაც დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით ორგანიზაციამ "ექიმები საზღვრებს გარეშე" ორი კვირის განმავლობაში 650 000 ევროს შეგროვება შეძლო. "მიმაჩნია, რომ ჩვენ უკვე იმაზე მეტი თანხა შეგვიგროვდა, ვიდრე საჭირო იყო. თუმცა, თანხის ნაწილი სასწრაფო დახმარების გარდა საშუალო ვადიან პერსპექტივაზეც გადანაწილდება", თქვა სალინიონმა.

დაზარალებულებს დახმარებას ამერიკის შეერთებული შტატებიც აღმოუჩენს. სტიქიური უბედურების მსხვერპლთათვის სპეციალურად მიძღვნილ პრესკონფერენციაზე აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ორ ყოფილ პრეზიდენტთან უფრო ჯორჯ ბუშსა და ბილ კლინტონთან ერთად სამძიმარი გამოუცხადა დაღუპულთა ოჯახებს და უბედურების ზონაში მოქცეულ სახელმწიფოებს სამხედრო და ფინანსური დახმარება აღუთქვა. თავიდან აშშ-ს ინდოეთის ოკეანის აუზის ქვეყნებისათვის 15 მლნ აშშ დოლარის ოდენობის თანხის გაგზავნა ჰქონდა განსაზღვრული, რისთვისაც აშშ სიძუნწეში დაადანაშაულეს. ამის შემდეგ დახმარებისათვის გამიზნული თანხის ოდენობამ 350 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. თუმცა, ტაილანდის საგარეო საქმეთა მინისტრის სურაქიარტ სათირათაის განცხადებით, მის ქვეყანას ფინანსურ დახმარებაზე მეტად პრევენციული სისტემის შექმნა ესაჭიროება.

სწორედ სტიქიური უბედურების პრევენციული საერთაშორისო სისტემის შექმნას ეძღვნება 6 იანვარს ინდონეზიის დედაქალაქში დაგეგმილი ასეან-ის წევრ-სახელმწიფოთა ლიდერების საგანგებო შეხვედრა. ასეან-ის 10 წევრი-სახელმწიფოს გარდა, აღნიშნულ ფორუმში მონაწილეობას საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებიც მიიღებენ.

*24 საათი*

# პუტინმა ილარიონოვი „ჩამოალაბორანტა"

ერთი კვირის შემდეგ, რაც რუსეთის პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში, ანდრეი ილარიონოვი ხელისუფლების კრიტიკით გამოვიდა, ვლადიმირ პუტინმა ილარიონოვი "დიდი რვიანის" შეხვედრებში რუსეთის სამუშაო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან მოხსნა. ამ პოსტზე პუტინის სხვა თანაშემწე – იგორ შუვალოვი დაინიშნა.

წინა კვირას ილარიონოვმა 2004 წლის ძირითად შედეგად რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური კურსის შეცვლა დაასახელა. მისი განცხადებით, კურსის ცვლას, პირველ რიგში, "იუკოსის საქმე" ცხადყოფს, რომლის კულმინაციას სახელმწიფო კომპანია "როსნეფტის" მიერ "იუგანსკნეფტეგაზის" შეძენა წარმოადგენდა. ილარიონოვმა "წლის თაღლითობა" უწოდა "იუკოსის" ძირითადი ნავთობმომპოვებელი აქტივის გაყიდვას საგადასახადო დავალიანების გამო, რომელიც მანამდე უცნობმა კომპანია "ბაიკალსურგუტგრუპმა" შეიძინა, ხოლო შემდეგ "როსნეფტმა". პრეზიდენტის მრჩეველმა იმავე კატეგორიას მიაკუთვნა "გაზპრომთან" "როსნეფტის" გაერთიანება. ილარიონოვის აზრით, რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების მოდელის შეცვლამ ვითარების მნიშვნელოვანი გაუარესება და ძალზედ ხელსაყრელი საგარეო ეკონომიკური კონიუნქტურის პირობებში – ქვეყნის თითქმის ყველა მაჩვენებლის ვარდნა. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების განზოგადებისას, ილარიონოვმა ამ ტენდენციას "რუსეთის ვენესუელიზაცია" შეარქვა.

# თურქმენეთი „ახალ" უკრაინას გაზს უძვირებს

თურქმენეთმა უკრაინაში გაზის ექსპორტი ახალი ტარიფით განაახლა.

როგორც თურქმენეთის პრეზიდენტმა საფარმურატ ნიაზოვმა სახელმწიფო ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა, ორშაბათს აშხაბადში "უკრაინის ნავთობგაზთან" ხელი მოეწერა კონტრაქტს, რომლის მიხედვითაც 3 იანვრიდან უკრაინა ათას კუბურ მეტრ თურქმენულ ბუნებრივ აირში 44 დოლარის ნაცვლად 58 დოლარს გადაიხდის. 2005 წელს თურქმენეთი უკრაინას 36 მილიარდ კუბურ მეტრ გაზს მიაწვდის. უკრაინა გაზის ღირებულების ნახევარს ვალუტით, დანარჩენს კი საქონლის მიწოდებითა და მომსახურებით გადაიხდის. ნიაზოვმა ასევე განაცხადა, რომ 2006 წელს ათასი კუბური მეტრი საექსპორტო გაზის ფასი უკვე 60 დოლარს შეადგენს. 31 დეკემბერს თურქმენეთმა რუსეთს და უკრაინას გაზის მიწოდება შეუწყვიტა და ბუნებრივი აირის ფასის გადახედვა მოითხოვა.

*ინტერ-პრესი*

# ერაყში აშშ-ს ყველაზე დიდი მტერი დაიჭირეს?

## ტერაქტები კი კვლავ გრძელდება



*ერთი ტერორისტის დაკავება მომავალ ტერაქტებს, სავარაუდოდ, ვერ შეაჩერებს.*

*როგორც გასულ წელს, სავარაუდოდ, 2005 წელსაც ერაყი საერთაშორისო ყურადღების ცენტრში იქნება. კოალიციის ძალების საახალწლო განწყობას, უდავოდ, საზეიმო ელფერს შეჰმატებდა ცნობა, რომელიც სამშაბათს არაბულმა გაზეთმა "ალ ბაიან"-მა გაავრცელა. გაზეთი ერაყში მოქმედი უდიდესი ტერორისტის დაკავების შესახებ საუბრობს. მართალია, უნდა ითქვას, რომ ერაყში ამერიკის შეიარაღებული ძალების სარდლობა, ჯერჯერობით, არც უარყოფს და არც ადასტურებს აღნიშნულ ცნობას. ასე რომ, რამდენად შეესაბამება არაბული გაზეთის ინფორმაცია სიმართლეს, ძნელი სათქმელია. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ალბათ ზარქავის დაჭერაც ვერ გამოდგება ერაყში მშვიდობის დამყარების პანაცეად. გუშინ ბაღდადში აფეთქებები კვლავაც ისმოდა და 66 ადამიანიც შეიწირა, მათ შორის ბაღდადის პროვინციის გუბერნატორი.*

იმ ადამიანის დაკავების შესახებ, რომელმაც ამერიკელებს გაცილებით მეტი უსიამოვნება მოუტანა, ვიდრე თავად სადამ ჰუსეინმა (ომის ოფიციალურად დასრულების შემდეგ აშშ-მ გაცილებით მეტი ჯარისკაცი დაკარგა, ვიდრე ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ საომარი ოპერაციებისას), გუშინ გავლენიანი არაბული გაზეთი "ალ ბაიანი" იუწყებოდა. გაზეთი ინფორმაციის წყაროდ იმ პირებს ასახელებს, რომლებმაც ადრე ერაყის ყოფილი დიქტატორის შეპყრობის შესახებ გაავრცელეს ცნობა. სწორედ ამ წყაროზე დაყრდნობით, აბუ მუსაბ აზ-ზარქავი ბაღდადის ჩრდილოეთით, ქალაქ ბააქუბას მახლობლად დაიჭირეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ცნობა არც დადასტურებულია და არც უარყოფილი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ თავის დროზე სადამ ჰუსეინის დაკავებასაც ასევე საგულდაგულოდ მალავდნენ.

აზ-ზარქავის დაჭერა კი, ამერიკელთათვის, მართლაც, უზარმაზარი საჩუქარი იქნებოდა. შეგახსენებთ, 30 იანვარს ერაყში საყოველთაო არჩევნები უნდა გაიმართოს, ხოლო ზარქავის დაპატიმრება უდავოდ წაადგება ამ მოვლენის მშვიდობიანად ჩატარებას.

იორდანიის მოქალაქე, რამდენიმე სახელმწიფოს მიერ ძებნილი ზარქავი ერაყში მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაცია "ათ-თაუჰიდ ვალ ჯიჰად"-ს ხელმძღვანელობდა და გასული წლის მიწურულს თავად უსამა ბინ ლადენმა დაასახელა ერაყში თავის ამირად. თუმცა, ბინ ლადენის განცხადებაც რომ არა, ზარქავი ისედაც ყველაზე გავლენიან ფიგურად გვევლინებოდა. მის სახელს უკავშირდება ათეულობით უცხოელის მძევლად აყვანა და სიკვდილით დასჯა. ასევე აფეთქებების ორგანიზება ერაყის სხვადასხვა ქალაქებში. ამერიკის სარდლობას მასზე ინფორმაციის სანაცვლოდ ფულადი ჯილდოც ჰქონდა დაწესებული (25 მლნ აშშ დოლარი).

თუმცა, შესაძლოა, ამერიკელებს ჯილდოს გადახდა აღარც მოუწიოთ. ჯერ კიდევ ახალი წლის დადგომამდე ამერიკელებმა მისი უახლოესი თანამებრძოლი, 26 წლის ფადილ ალ-ქურდი დაიჭირეს. მასთან ერთად ამერიკელებმა აიყვანეს ის პირებიც, რომლებიც "ალ ქაიდას" მთავარ ოფისსა და ერაყულ დაჯგუფებას შორის კავშირს უზრუნველყოფდნენ. სავარაუდოდ, ამ პირების დაკითხვების დროს მიღებული ინფორმაციით გახდა ზარქავის დაჭერა შესაძლებელი.

საგულისხმოა, რომ ზარქავის (ჯერ კიდევ დაუზუსტებელ) დაკავებას ტერაქტების რიცხვის შემცირებაზე არ უმოქმედია. როგორც გუშინ გახდა ცნობილი, დაუდგენელმა პირებმა ბაღდადის პროვინციის გუბერნატორი, ალი ალ-ჰაიდრი მოკლეს. ტელეკომპანია "სკაინიუსი" იტყობინება, რომ გუბერნატორის ავტოკოლონას შეიარაღებულმა პირებმა მანქანიდან გაუხსნეს ცეცხლი. ჯერ კიდევ ცოცხალი გუბერნატორი უახლოეს საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მიღებული ჭრილობებისგან გარდაიცვალა.

იმავე დღეს ბაღდადის ცენტრში, ე.წ. მწვანე ზოლის შესასვლელში დანაღმული ავტომობილი აფეთქდა. წინასწარი მონაცემებით, დაღუპულია ათეულზე მეტი (მათ შორის 8 პოლიციელია) და დაჭრილია 56 ადამიანი. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნულ ტერაქტებზე პასუხისმგებლობა ვითომდა უკვე დაჭერილი აბუ მუსაბ აზ-ზარქავის დაჯგუფებამ იკისრა.

*24 საათი*

# ხორვატიაში, შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართოს

ხორვატიის მოქმედი პრეზიდენტი სტიპე მესიჩი და ქვეყნის მთავრობის მეთაურის მოადგილე იადრანკა კოსორი, როგორც ჩანს, მეორე ტურში გააგრძელებენ პრეზიდენტის პოსტისთვის ბრძოლას.

ორშაბათს ხორვატიის ცენტრალური სარჩევნო კომისიის მიერ გაკეთებული განცხადებით, მესიჩს წინასწარი მონაცემებით, 2 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში ამომრჩეველთა დაახლოებით 49 პროცენტმა დაუჭირა მხარი. მისმა ძირითადმა მეტოქემ, მმართველი პარტიის "ხორვატიის დემოკრატიული კავშირის" კანდიდატმა, იადრანკა კოსორმა კი ხმების 20 პროცენტი მიიღო. ცესკო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს შედეგები საბოლოო არ გახლავთ და საზღვარგარეთ მიცემულ ხმებს არ ითვალისწინებს. შეგახსენებთ, ქვეყნის ფარგლებს გარეთ (განსაკუთრებით ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში) საკმაოდ დიდი რაოდენობით ხორვატები ცხოვრობენ.

ასე რომ, ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არაფერია, მით უმეტეს, რომ მესიჩსაც სანუკვარ 50 პროცენტამდე და მესამე ადგილზე გასულ ამერიკელ ბიზნესმენ ბორის მიკშიჩსაც წინ მყოფ კოსორამდე სულ რაღაც ერთი პროცენტი აშორებთ. თუმცა, კოსორმა ხმის მიცემის დასრულებისთანავე განაცხადა, რომ მეორე ტურში აპირებს მესიჩის წინააღმდეგ ბრძოლას.

არჩევნების მეორე ტური თუ მაინც გარდაუვალი გახდა, როგორც წინასწარვე ცნობილი იყო, 16 იანვარს გაიმართება.

ხორვატიის პრეზიდენტობაზე სულ 13 კანდიდატი აცხადებდა პრეტენზიას.

70 წლის სტიპე მესიჩი ამ არჩევნებში ფავორიტად ითვლებოდა. ის ხორვატიას 2000 წლიდან მართავს და ქვეყნის ბევრი მცხოვრები თვლის, რომ სრულმასშტაბიანი დემოკრატიული გარდაქმნები სწორედ მესიჩის დროს დაიწყო. თავად მოქმედი პრეზიდენტი აცხადებს, რომ მისი პრიორიტეტები ევროკავშირში და ნატო-ში გაწევრიანებაა.

*24 საათი*

# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო რეფორმებს აგრძელებს

*"გაუვნებელყოფილია ხუთი ბალონი არსინი და 13 ბალონი ფოსფინი, რვა ბალონი მონოსილანი კი, უსაფრთხოების წესების დაცვით, გატანილია უსაფრთხო ადგილას, სპეციალურად აღჭურვილ ბოქსებში", - განუცხადა გასული წლის ბოლო პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა თამარ ლებანიძემ. წლების განმავლობაში თბილისში, ქარხანა "მიონის" ტერიტორიაზე დატოვებული ამ მეტად საშიში ქიმიური ნივთიერებების პრობლემის გადაწყვეტა ერთადერთი არ ყოფილა იმ საკითხებს შორის, რომლის მოგვარებაც სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ, მისი პირველი პირის აზრით, გასულ წელს მოახერხა.*

გასული წლის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტად გარემოსდაცვით სფეროში თამარ ლებანიძე სამინისტროს ფაქტობრივი რეორგანიზების დაწყებას მიიჩნევს. **"სამინისტრო, ფაქტობრივად, ხელახლა ჩამოყალიბდა, მას რამდენიმე საქვეუწყებო დაწესებულება შეუერთდა და, რაც მთავარია, შეიქმნა ერთიანი სალიცენზიო სამსახური,** - ამბობს მინისტრი, - **ამ სამსახურის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ჩვენს სამინისტროს, რომელიც ბუნებრივი რესურსების გამოყენების პოლიტიკაზე მუშაობს, ამ საკითხში ერთიანი ხედვა უნდა ჰქონდეს. აქამდე ლიცენზირებას სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულები ერთმანეთთან შეუთანხმებლად აკეთებდნენ, რაც ბევრ უხერხულობას უქმნიდა როგორც მეწარმეებს, ასევე სამინისტროს. ახალი წლიდან ეს ხარვეზი აღმოიფხვრება."**

მნიშვნელოვან ცვლილებათა რიცხვს მიეკუთვნება ბიომრავალფეროვნების დაცვის სტრატეგიისა და მოქმედებათა ათწლიანი გეგმის დამტკიცება საქართველოს მთავრობის მიერ, ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტში ჩატარებული რეფორმა და რეფორმა, რომლის ჩატარებასაც სამინისტრო უკვე წელს სატყეო მეურნეობის დარგში გეგმავს. ამ რეფორმის პროექტი, რომლის თაობაზეც "24 საათი" მრავალგზის წერდა, უკვე დაგზავნილია ყველა შესაბამის უწყებაში და მინისტრი მის დამტკიცებას, შესაბამისად – ამოქმედებას, 2005 წლის პირველივე საპარლამენტო სესიაზე ვარაუდობს.

**"მნიშვნელოვანია ისიც, რომ 2004 წელს სამინისტრომ დაასრულა მუშაობა დაცული ტერიტორიების სისტემაზე,** - აგრძელებს თამარ ლებანიძე, - **დღემდე არსებულმა ხარვეზებმა ბევრი უხერხულობა შექმნა, იგივე კოლხეთის ეროვნულ პარკთან დაკავშირებით. შესაბამისი კონცეფცია უკვე ჩამოყალიბებულია, მუშავდება საკანონმდებლო ცვლილებები. მთავრობასა და პარლამენტს ამ დოკუმენტებს იანვარ-თებერვალში წარვუდგენთ და, იმედი გვაქვს, მათი მიღება არ დაგვიანდება. დაგეგმილია რამდენიმე ახალი დაცული ტერიტორიის შექმნაც"**

2004 წელს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი იმითაც გამოარჩევს, რომ ამ წელს, ფაქტობრივად, დასრულდა რადიაციული წყაროების მოძიება და რეესტრირება საქართველოში. ვენაში, საერთაშორისო ატომური სააგენტოს კონფერენციაზე აღინიშნა კიდეც, რომ ჩვენმა ქვეყანამ ეს წარმატებით მოახერხა და, ამ თვალსაზრისით, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის, გამოირჩევა. დღეს გარემოს დამცველებმა ზუსტად იციან, საქართველოს ტერიტორიის რომელ წერტილში რა რადიაციული წყაროა. გასულ წელს მათი ნაწილის უსაფრთხო ადგილას გატანაც მოხერხდა. თავს ვერავინ დადებს, რომ რეესტრი სრულია, მაგრამ ის, რომ მასში ძირითადი ინფორმაციაა დაცული, ყველა ექსპერტი აღიარებს.

რაც შეეხება მომავლის გეგმებს. სისტემის სრული რეორგანიზაციისა და გეოლოგიის დეპარტამენტში დაგეგმილი რეფორმის გარდა, 2005 წელს გარემოსდაცვითი ინსპექტირების გამარტივებაცაა დაგეგმილი. **"ახალი წლიდან გარემოსდაცვითი ინსპექტირება არ იქნება გადანაწილებული ორ უწყებას – ჩვენსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის,** - აცხადებს თამარ ლებანიძე, - **ჩვენს სამინისტროში ამ საქმეს ზედამხედველობის სამმართველო ახორციელებდა, შსს-ში კი – ეკოპოლიცია. ეკოპოლიცია დღეს აღარ არსებობს, ჩამოყალიბდება ახალი სტრუქტურა, რომელსაც გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლი დაევალება. ეს აუცილებელი ნაბიჯია, რადგან, ასეთი სტრუქტურის არარსებობის პირობებში გარემოსდაცვითი საკითხების მოგვარებაზე საუბარიც კი შეუძლებელია. შესაბამისი კანონი უკვე შეთანხმებულია და იანვრის თვეში იგი, ალბათ, დამტკიცებულიც იქნება. შესაბამისად, ახალი წლიდან ეს სამსახურიც ამოქმედდება."**

ახალი წლიდან გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მისამართსაც შეიცვლის. იგი, მთელი თავისი შემადგენლობით, თამარაშვილის 15 ნომერში დაიდებს ბინას. თებერვლის ბოლოსთვის გაირკვევა ისიც, თუ რამდენი ახალი და რამდენი ძველი სახის დანახვა იქნება შესაძლებელი ამ უწყებაში, მინისტრის მიერ გასული წლის ბოლოს გამოცხადებული კონკურსის შემდეგ, რომელიც სამინისტროში თანამდებობების დაკავების მსურველებს წელს ტესტირებაზე ეპატიჟება.

*24 საათი*

# გასულ წელი და პერსპექტივა განათლებაში

*რა მოხდა მნიშვნელოვანი გასულ წელს და რას ველოდებით წლევანდელ წელს? - გვპასუხობს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია.*

- განათლების სისტემაში 2004 წლის მნიშვნელოვან შესრულებულ საკითხად გამოვყოფდი: პირველი, რომ დავხურეთ სამარცხვინო თემა - პედაგოგთა სახელფასო დავალიანება. წლების განმავლობაში დაგროვებული გაუცემელი ხელფასები მთელი საქართველოს მასშტაბით დარიგდა.

მეორე - მივიღეთ ეტაპობრივი მნიშვნელობის მქონე კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, რომელიც პრაქტიკულად ჩვენ გვიხსნის კარს ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედებისკენ.

ზოგადად, ჩემი შესაფასებელი არ არის, მაგრამ ათასობით ადამიანისგან მესმის, რომ განათლების სისტემას რაღაც გამოცოცხლება ეტყობა. ირონიის გარეშე ვგულისხმობ თუნდაც ბევრ კრიტიკულ და საპროტესტო გამოსვლას. ეს არის ცოცხალი სისტემა, ძალიან მნიშვნელოვანი ერისთვის და საზოგადოებისთვის და ამიტომ, ვინაიდან ბევრი ადამიანი ენერგიულად ჩაერთო რეფორმის განხილვის პროცესში, ეს იმაზე მიუთითებს და იმის წინაპირობაა, რომ ჩვენ შეგვწევს უნარი, შევცვალოთ განათლების სისტემა უკეთესობისკენ, საზოგადოების და ქვეყნის საკეთილდღეოდ, ჩემთვის ეს არის მთავარი. რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია ყველა სხვა შემადგენელი ნაწილი - ეროვნული უმცირესობები, სახელმწიფო ენა, უცხოეთში მცხოვრები ქართველები, რეგიონების პროგრამები, კონფლიქტური რეგიონები...

მაგრამ, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რამაც უნდა განსაზღვროს ჩვენი საგანმანათლებლო და სამეცნიერო მომავალი.

ამ წელს რაც მომთავრდება: დასრულდება უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაციის პროცესი; დაიხვეწება და დასრულდება მეცნიერების მართვის ახალი სისტემა; ჩატარდება ერთიანი ეროვნული გამოცდები, რითაც ბოლო უნდა მოეღოს წლების განმავლობაში ერთი მუჭა ადამიანებისგან დამკვიდრებულ მექრთამეობას განათლების სისტემაში...

*24 საათი*

# რამდენიმე სიახლე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი 2005 წლიდან რევოლუციურ ცვლილებებს დაგვპირდა, მაგრამ ამ ცვლილებების კონკრეტული შინაარსი, ჯერჯერობით, უცნობი რჩება. ცნობილია მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროგრამის გაფართოების შესახებ. პირველ რიგში ეს არის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ასე, მაგალითად, პირველი მაისიდან სასწრაფო დახმარება ყველგან უფასო იქნება. 6 მილიონ ლარამდე გაიზარდა ურგენტული სტაციონარული დახმარების პროგრამის დაფინანსებაც, რაც მინისტრის შეფასებით, მოსახლეობისთვის საგრძნობი იქნება. საუბარია მშობიარობის პოლისის ღირებულების გაზრდაზეც და, როგორც მინისტრმა ბრძანა, თუ ქვეყანას ყოველწლიურად ერთი ასეთი პროგრამა შეემატება, ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა თანდათანობით მნიშვნელოვნად გამოსწორდება. წლის შემაჯამებელ სიტყვაში მინისტრმა აღნიშნა მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაც. აქ მთავარია უმწეოთა კონტინგენტის ზუსტი დადგენა, რაც თავისთავად დიდ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ მინისტრის თქმით, სიებში 70 პროცენტი თუ მაინც იქნება მართლა უმწეო, პროგრამა წარმატებულად ჩაითვლება. **24 საათი**

# თბილისის წლევანდელი პერსპექტივა

*საქართველოს დანარჩენი ქალაქებისა და რეგიონების რა მოგახსენოთ, მაგრამ თბილისისთვის 2005 წელი, შარშანდელთან შედარებით, უდავოდ პერსპექტიულად დაიწყო. ერთი უპრეცედენტო ფაქტი უკვე თითქმის სახეზეა. მთავრობამ გასული წლის მიწურულს ქალაქის 2005 წლის ბიუჯეტი მიიღო, სავარაუდოდ დღეს მას საკრებულოც დაამტკიცებს. თუმცა, ქალაქის მთავრობის დაპირებების ფონზე, ეს მხოლოდ დასაწყისია.*

ნანა ქადაგიშვილი

თბილისის მთავრობის ყველაზე შთამბეჭდავ დაპირებას ჩვენი დედაქალაქის უცხოელი ტურისტებისთვის მიმზიდველ ქალაქად გადაქცევა წარმოადგენს. მართალია, "ლეიბორისტები", "მემარჯვენეები" და მოსახლეობის ნაწილი სრულიად საწინააღმდეგოს ფიქრობდა და ფიქრობს, მაგრამ ქალაქის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ დასახული მიზნისკენ პირველი ნაბიჯი სწორედ საახალწლო შოუთი გადადგა. **"თბილისი გახსნილი ქალაქი უნდა იყოს, რაც მეტ უცხოელს დავპატიჟებთ, მით მეტი დაინტერესდება ჩვენით,"** – ასე ამართლებს ქალაქის მთავრობა 326 ათას ლარიან საახალწლო ზეიმს. ანუ, დღევანდელ კვერცხს ხვალინდელი ქათამი ურჩევნია. იმედია, მერია იმედებს მხოლოდ ინგლისურ შოუზე არ ამყარებს და თბილისში ტურიზმის გასავითარებლად უფრო სერიოზული გეგმებიც აქვს.

გემოვნებაზე არ დავობენ, ვილაცას შეიძლება, შარშანდელივით, ეროვნული ესტრადის ვარსკვლავების მოსმენა ერჩია, მაგრამ იმას ვერავინ უარყოფს, რომ 2005 წლის დამდეგს თავისუფლების მოედანი, წინა წლებთან შედარებით, ბევრად ორიგინალურად გამოიყურებოდა. თეთრ-წითელი ნაჭრებისგან შემდგარი ნაძვისხე გადასარევი იყოო, ვერ ვიტყვით, მაგრამ ის ფაქტი რომ ქალაქის ხელმძღვანელობა ბუნებას უფრთხილდება, ნამდვილად მისასალმებელია. რაც შეეხება საახალწლო შოუს, მთლად ანტიეროვნულობას ვერ დავწამებთ. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე პირადად, "ნაბადის" ერთი ცეკვა ჩვენი ესტრადის მომღერლების მთლიან კონცერტს მირჩევნია. შთაბეჭდილების გარეშე არც შოუს უცხოურ ნაწილს ჩაუვლია, ფოიერვერკიც წელს უფრო შთამბეჭდავი იყო. 326 ლარად უზედამხედველო პატარებისთვის კანფეტების ყიდვაც არ იყო ურიგო იდეა, მაგრამ 326 ლარიანი შოუთი იმათაც კარგად ისიამოვნეს, ვისაც საახალწლო ზეიმზე ამდენი თანხის დახარჯვა ქართულ კოკობზიკობად მიაჩნდა.

ასე რომ, თბილისში ტურიზმის გასავითარებლად პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია. ახლა მთავარია, ქუჩები გავარემონტოთ, რომ ტურისტებმა დაუბრკოლებლად იმოძრაონ. 400 მილიონამდე გაზრდილ წლევანდელ ბიუჯეტში ყველაზე მეტი თანხა, 80 მილიონი ლარი, გზების აღსადგენად არის გამოყოფილი. ამ თანხით 100 ქუჩის რეაბილიტაციის დასრულებას თუ არა, დაწყებას მაინც გვპირდებიან. საინტერესოა, ჩვენი "სამკუთხედი" ტურისტებს როგორ მოეწონებათ. თუმცა, სანამ ისინი თბილისით დაინტერესდებიან, იმედია, ეს სამკუთხა მარშრუტი ისტორიას ჩაბარდება. მერმა და პრემიერმა ორ ახალგაზრდა, უცხოეთში სწავლა-განათლებამიღებულ ურბანისტს სთხოვეს, "სამკუთხედის" შედეგები შეაფასონ. ეს შეფასება, სავარაუდოდ, "სამკუთხედის" სასარგებლოდ არ უნდა დასრულდეს.

გზების, უფრო სწორად უგზოობის, პრობლემის მოგვარებას ტრანსპორტის მოძრაობის მოწესრიგებაც უნდა მოჰყვეს. ამისთვის ბიუჯეტში 9 669 ლარი დევს. ეს თანხა, ძირითადად, ახალი ავტობუსების ჩამოყვანას მოხმარდება. "სამკუთხედისგან" განსხვავებით, ჰოლანდიურმა ავტობუსებმა მგზავრების კეთილგანწყობა დაიმსახურა (განსაკუთრებით, ზამთარში. თუმცა, გვპირდებიან, რომ წლევანდელ ზაფხულს ავტობუსებში კონდიცირების სისტემაც ამოქმედდება).

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ უცხოელ ტურისტებს გაშანშალებული ასფალტითა და ავტობუსებით ვერ გავაკვირვებთ. მთავარი, რამაც ტურისტი უნდა მოიზიდოს, დღითიდღე თავზე გვენგრევა. თბილისის ისტორიული ნაწილის აღდგენის უნარი ქალაქის ბიუჯეტს, ზრდის პერსპექტივის მიუხედავად, სამუდამოდ თუ არა, კარგა ხნით მაინც არ ექნება. მრავალსართულიანი სახლების აშენების აკრძალვამ კი დედაქალაქის ძველ უბანს ინვესტორების თვალში მიმზიდველობა დაუკარგა. ქალაქის მთავრობას ინვესტორების მოსაზიდი რამდენიმე იდეა აქვს - **"შეიძლება, ინვესტორს მოგების სანაცვლოდ კომპენსაცია შევთავაზოთ. არსებობს მოსაზრება, რომ ინვესტორებს საგადასახადო შეღავათები დაუწესდეს, მაგრამ მსგავსი პრეცედენტის დაშვება რამდენად გამართლებული იქნება, ჯერ მოსაფიქრებელია. თუმცა, შეიძლება სანებართვო მოსაკრებელზე ან მუნიციპალურ ფონდში შენატანზე ვთქვათ უარი. ასეთი იდეაც მაქვს, დანგრეული ისტორიული ძეგლის ადგილას ახალი შენობა ცნობილი ევროპელი არქიტექტორის პროექტით ავაშენოთ. დროთა განმავლობაში ესეც ისტორიულ ძეგლად იქცევა,"** – აცხადებს პრემიერი. მართალია, ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ თბილისის ისტორიული ზონის გადარჩენა მთავრობის წლევანდელ დაპირებებში შედის.

# საქველმოქმედო აქცია ილია მეორეს დაბადების დღეს

თამარ ჭაჭანიძე

*საპატრიარქოსთან არსებულ სათნოების სახლს გუშინ ახალგაზრდები ესტუმრნენ და საჩუქრად საკვები პროდუქტები მიიტანეს. ახალგაზრდები არასამთავრობო ორგანიზაციის "სტუდენტები მშვიდობიანი კავკასიისთვის" წარმომადგენლები და ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის ფაკულტეტის სტუდენტები არიან. მათ ამ აქციით მოახლოებული შობის ბრწყინვალე დღესასწაული, ახალი წლის დადგომა და უწმინდესის და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დაბადების დღე აღნიშნეს.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*რა ვქნათ შვილო, აქ მოვდივართ და დღეში ერთხელ, შიმშილით რომ არ მოვკვდეთ, საჭმელს გვაჭმევენ.*

იმ ადამიანებისთვის, ვისაც ახალი წლის დღეებში სუფრა მრავალფეროვანი კერძებით და ტკბილეულით აქვთ დატვირთული, ძნელი წარმოსადგენია, რომ სათნოების და მოწყალების სახლებში მარტოხელა მოხუცები და სხვა მიუსაფარი ადამიანები ერთი თეფში წვნიანის საჭმელად სტუმრობენ, მაგრამ ეს სიმართლეა. უმწეო ადამიანები საქართველოში მრავლად არიან. ისინი თავიანთ მიუსაფრობას სადღესასწაულო დღეებში განსაკუთრებით მწვავედ შეიგრძნობენ. საპატრიარქოსთან არსებულ სათნოების სახლს დღეში სამასამდე გაჭირვებული ადამიანი სტუმრობს და არც ახალი წლის დღეებია გამონაკლისი.

**"რა ვქნათ შვილო, აქ მოვდივართ და დღეში ერთხელ, შიმშილით რომ არ მოვკვდეთ, საჭმელს გვაჭმევენ. ახლა პენსია ოცდარვა ლარი გახდაო, ამბობენ, მაგრამ ოჯახში მარტო არ ვარ, შვიდი შვილიშვილი მყავს, რას უნდა ეყოს თუნდაც ოცდარვა ლარი. ამ სათნოების სახლს, მართალია, ძალზე ვემადლიერები, მაგრამ უმეტესწილად ჭიან ლობიოს გვაჭმევენ. ერთი ქალია თამარა, თუ ის არის, იმ დღეს სულ წყალწყალა კეძია,"**- აღნიშნა მოხუცმა ქალმა, რომელიც თავისი ინიციატივით გამოელაპარაკა ჟურნალისტებს და ურჩია: ამ საცოდავ, უკბილო მოხუცებს მაინც ნუ გადაუღებთ სურათებს, ხანდახან უკოვზოდ რომ ჭამენ. წადით მთავრობასთან და უთხარით, კიდევ რამდენიმე ლარით გაზარდოს პენსია, უფრო კარგ საქმეს გააკეთებთთქო. ჟურნალისტების მიმართ თავისი გაღიზიანება არც სხვებმა დაფარეს და, თავისი კუთვნილი ულუფით ხელში, სასწრაფოდ მიიმალნენ.

**"დღეს შედარებით ნორმალური კერძი იყო და პურის გატანებაც მოვახერხეთ მათთვის,"**- აცხადებენ სათნოების სახლში. აქ ახალგაზრდების ძღვენი ორი დღე მაინც ეყოფათ.


# თარჯიმანი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს თარჯიმნის თანამდებობის დასაკავებლად. თარჯიმანი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს დახასიათება:**

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**
თარჯიმნის მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:
- ზეპირი თარგმნა შეხვედრების, დისკუსიების და სხვა ღონისძიებების დროს;
- შემომავალი და გამავალი წერილების, სტატიების და სხვადასხვა სახის დოკუმენტების თარგმა;
- თარგმნილი დოკუმენტების კორექტირება;
- ნებისმიერი სხვა დახმარების აღმოჩენა პროექტით დაწესებული ვადების შესრულების მიზნით;
- ყოველდღიური კორესპონდენციის თარგმნა დაწესებულ ვადებში;
- თარგმნილი დოკუმენტების აღრიცხვის სისტემის წარმოება და გამოყენება;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**
კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:
- ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- საერთაშორისო კომპანიაში თარჯიმნად მუშაობის მინიმუმ 4 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის დარგში, ენების გაძლიერებული სწავლებით;
- კომპიუტერთან მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები;
- პრიორიტეტების დაგეგმვის და ორგანიზების შესანიშნავი უნარი გამომდინარე იქიდან, რომ სათარგმნი მასალები შეიძლება სხვადასხვა ტიპის კლიენტებისგან შემოვიდეს;
- მრავალეროვან გარემოში ადაპტაციის უნარი;
- გუნდური მუშაობის გამოცდილება.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **ორშაბათი, 2005 წლის 17 იანვარი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP ჯორჯია
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

# საკადრო ცვლილებები პოლიციაში

თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში საკადრო ცვლილებები განხორციელდა.

როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, მთავარი სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსად დავით კუპატაძე დაინიშნა, რომელიც ამ დრომდე ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა.

ვაკე-საბურთალოს პოლიციის სამმართველოს უფროსად თბილისის პოლიციის სამმართველოს კრიმინალური პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელი ზურაბ ბაქრაძე დაინიშნა.

გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოს უფროსად გოჩა ალფაიძე დაინიშნა, რომელიც თბილისის N1 საპყრობილის უფროსის თანამდებობაზე მუშაობდა.

თბილისის პოლიციის სამმართველოს კადრების განყოფილების უფროსად სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის კადრების განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი ბადრი ღვინჯილია დაინიშნა.

*ინტერ-პრესი*

# ჩეჩენ პატიმრებს სასჯელის ვადა ამოეწურათ

*სამართლებრივი დავა, რომელიც თითქმის ორი წელიწადი გრძელდებოდა, დასრულდა. საზღვრის უკანონო გადმოკვეთის ბრალდებით დაკავებულ ჩეჩენ და ქისტ პატიმრებს სასჯელის ვადა ამოეწურათ. მსჯავრდებულების ადვოკატის არჩილ ჩოფიკაშვილის ცნობით, ასლანბეგ ხანჩუკაევს, ახმედ მაგამედოვს, ჰამზად ისაევს და გიორგი კუშტანაშვილს პირველი საპყრობილედან დღეს გაათავისუფლებენ.*

აღნიშნული პირები, სხვა 6 ჩეჩენთან ერთად, 2002 წლის 3-4 აგვისტოს, საზღვრის უკანონოდ გადმოლახვის ბრალდებით, დააკავეს რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე. დაკავებული ჩეჩნებიდან ხუთის რუსეთში ექსტრადიცია იმავე წელს განხორციელდა. მეექვსე - აბდულ ხანი ალიევი, უდანაშაულოდ ცნეს და რამდენიმე თვის წინ გაათავისუფლეს პატიმრობიდან, თუმცა იგი საქართველოს ტერიტორიაზე დააკავეს და რუს სამართალდამცველებს გადასცეს. დანარჩენი ოთხი კი, რომლებსაც 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდათ მისჯილი, მიმდინარე წლის ნოემბერში უზენაესმა სასამართლომ საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის ეპიზოდში უდანაშაულოდ ცნო, ხოლო 5 ჩეჩენის ექსტრადიციის დროს ციხის ადმინისტრაციისათვის წინააღმდეგობის გაწევისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა საქმიანობისათვის ხელის შეშლისათვის, 2 წლით და 5 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის ლაშა კლდიაშვილის განცხადებით, სასამართლოდან მიღებული ოფიციალური დოკუმენტაციის თანახმად, ჩეჩნებს საპატიმრო ვადა 5 იანვარს ეწურებათ. აქედან გამომდინარე, ასლანბეგ ხანჩუკაევი საპყრობილეს დღეს დატოვებს, მასთან ერთად დაკავებული ხამზატ ისაევი - 6 იანვარს, ახმედ მაგამედოვი - 7 იანვარს, ხოლო ქისტი გიორგი კუშტანაშვილი – 18 თებერვალს.

დასახელებულ პირებთან ერთად თბილისის N1 საპყრობილეს დატოვებს კიდევ ერთი ჩეჩენი პატიმარი აბდულხამიდ ალიევი, რომელსაც საპატიმრო ვადა 2005 წლის 2 იანვარს ეწურებოდა და ვინაიდან ახალი წლის პირველი დღეები არასამუშაო დღეებია, მისი გათავისუფლება 31 დეკემბერს მოხდა.

ჩეჩენ პატიმართა ადვოკატების ინფორმაციით, დაკავებულებს საპატიმრო ვადა 4 იანვარს ეწურებათ და ამიტომ ისინი საპყრობილედან გუშინვე უნდა გათავისუფლებულიყვნენ.

სხვათა შორის, ჩეჩენ პატიმართა უკანონო დაკავების ფაქტზე საქმეს სტრასბურგის სასამართლო იხილავს. ევროსასამართლოს მოსამართლეთა 12-კაციანი ჯგუფი რამდენიმე თვის წინ საქართველოში იმყოფებოდა და ხსენებულ საქმესთან დაკავშირებით დამოუკიდებელი გამოძიება ჩაატარა. სტრასბურგელმა მოსამართლეებმა ისე დატოვეს საქართველო, რომ კომენტარი არც გაუკეთებიათ. ევროსაბჭო ჩეჩნების საქმესთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში გამოაცხადებს. ეს იყო პირველი საქმე, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ინიციტივით ევროსასამართლოში შევიდა და რომელსაც ლოგიკური სამართლებრივი გაგრძელება მოჰყვა – სტრასბურგმა საქმე წარმოებაში მიიღო.

*24 საათი*






# გალის აფხაზურ მილიციას, შესაძლოა, ცნობილმა კრიმინალმა უხელმძღვანელოს

გალის აფხაზური მილიციის უფროსად ცნობილი კრიმინალური დაჯგუფების მეთაურის ოთარ ტურამბას დანიშვნის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების გალის რაიონის უშიშროების სამსახურის უფროსი ზურაბ ლოგუა არ ადასტურებს, თუმცა, მისი თქმით, ამ დროისათვის მიმდინარეობს აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება.

ოთარ ტურამბას დაჯგუფება ერთ-ერთი მათგანია, რომელიც პერიოდულად, ვალმერ ბუთბას დაჯგუფების მსგავსად, ქართულ მოსახლეობას აწიოკებს, ართმევს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს, იტაცებს ქართველებს. ქართული მხარე კარგა ხანია, სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლებისგან ამ დაჯგუფების ალაგმვას მოითხოვს, თუმცა, უშედეგოდ. ტურანბას დაჯგუფება სწორედ სეპარატისტული ხელისუფლების წაქეზებით მოქმედებს.

**"ოთარ ტურამბას გალის რაიონის მილიციის უფროსად დანიშვნის საკითხი დღის წესრიგშია და მისი კანდიდატურის განხილვა აფხაზეთის სეპარატისულ მთავრობაში გრძელდება,"** – აცხადებს ექსპერტი აფხაზეთის საკითხებში პაატა დავითაია.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ გამთენიისას გალის რაიონის ქართულ სოფლებში ოთარ ტურამბასა და ვალმერ ბუთბას კრიმინალური დაჯგუფებების 300-მდე წევრი შევიდა. გავრცელებული ინფორმაციით, სოხუმში შიშობენ, რომ გალელი ქართველები 12 იანვრის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებენ, დამსჯელი რაზმები მათ სწორედ არჩევნებში მონაწილეობასა და ბაგაფში-ხაჯიმბასთვის ხმის მიცემას აიძულებენ.

ამ ინფორმაციას პაატა დავითაიაც ადასტურებს. მისი განცხადებით, **"გამორიცხული არ არის, დაშინების გარდა, სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლებამ არჩევნებში მონაწილეობის სანაცვლოდ, გალის რაიონის მოსახლეობას რუსული პასპორტებიც დაურიგოს. სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლება 12 იანვრისთვის უსაფრთხოების ზომებსაც ამკაცრებს და 7-8 იანვრიდან ენგურის ხიდზე მოძრაობის აკრძალვას აპირებს."**

რაც შეეხება ბოლო დღეებში გალის რაიონიდან გატაცებულ სამ ქართველს, მათი ადგილ-სამყოფელი კვლავ გაურკვევლია. ვრცელდება ინფორმაცია, რომ აფხაზი კრიმინალები ერთ-ერთის ოჯახს უკვე დაუკავშირდნენ და გამოსასყიდის სახით საკმაოდ სოლიდური თანხა მოითხოვეს.

ქართული მხარე გატაცებულთა ვინაობას, მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, არ ახმაურებს. არის ვერსია, რომ გატაცებულთაგან ერთ-ერთი ტყვარჩელის რაიონში ჰყავთ დატყვევებული.

შეგახსენებთ, აფხაზმა კრიმინალებმა ზემოაღნიშნულ სამ ქართველთან ერთად გატაცებული 20 წლის მამუკა გოგოხიას გათავისუფლების სანაცვლოდ, მის ოჯახს 20 ათასი დოლარი გამოსძალეს.

*მედიანიუსი*

# პროკურატურის სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსი გრძელდება

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ პროკურატურის ორგანოებში სტაჟიორების მიღების მიზნით, კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის განცხადებების შეტანის ვადა 6 იანვრამდე გააგრძელა.

როგორც გენერალურ პროკურატურაში აცხადებენ, კონკურსი, რომელიც დეკემბრის ბოლო კვირაში გამოცხადდა, მსურველთა საბუთების მიღების ვადის ამოწურვიდან 7 დღის შემდეგ ჩატარდება ორ ეტაპად - წერილობითი ტესტირებისა და ზეპირი გასაუბრების სახით.

კონკურსის პირველ ეტაპზე სტაჟიორობის კანდიდატმა დადებითი შეფასების მისაღებად სწორად უნდა უპასუხოს შემოთავაზებული ტესტების 75 პროცენტს.

წერილობითი კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, ტესტირების ჩატარებიდან მეშვიდე დღეს, მოეწყობა გასაუბრება სტაჟიორობის კანდიდატთა თეორიული ცოდნის, პირადი თვისებებისა და შესაძლებლობების, დასაკავებელი თანამდებობისთვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებლად.

როგორც გენპროკურატურაში აღნიშნავენ, პროკურატურაში სტაჟირების საერთო ვადა ერთი წელია, რომელიც სამ ეტაპად იყოფა.

სტაჟიორი პროკურატურის შესაბამის ორგანოში ექვსი თვის განმავლობაში გადის სტაჟირებას, საგამოძიებო მუშაობისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად, შემდგომი სამი თვის განმავლობაში - საპროკურორო საზედამხედველო მუშაობისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევების შესაძენად, ხოლო დასკვნით ეტაპზე, სამი თვის განმავლობაში აგრძელებს სტაჟირებას სასამართლოში სახელმწიფო ბრალმდებლისთვის დამახასიათებელი გამოცდილების მისაღებად.

სტაჟირების საერთო ვადის გასვლის შემდეგ, სტაჟიორები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს სტაჟირება, ჩაირიცხებიან პროკურატურის რეზერვში, რომლის მიზანს წარმოადგენს პროკურატურის მუშაკთა კანდიდატების შერჩევა სისტემაში არსებული ვაკანსიების დასაკავებლად.

*პრაიმ-ნიუსი*

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი..........

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..........

საკონტაქტო ტელეფონი..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

# სიბრძნისა და სიყვარულის წელი

ზაზა ფარუაშვილი

*ცნობილი ქართველი მწერალი გურამ ოდიშარია ის ადამიანია, რომელსაც ქართველები და აფხაზები ერთნაირი სიყვარულით, ნდობითა და პატივისცემით ეპყრობიან. ომის შემდეგ მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება ორი მოძმე ხალხის შერიგებას ემსახურება. ამიტომ, "თქვენი აფხაზეთის" ფურცლებზე ახალი წლის პირველი დიალოგი სწორედ მასთან გავმართეთ.*



*ნოდარ სარჭველაძე და გურამ ოდიშარია. სოხუმი, 2004 წელი, იანვარი.*



*პორტი. სოხუმელ მეთევზეთა თავშესაყარი.*

**- ბატონო გურამ, თქვენ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრაზე ბრძანდებოდით, სადაც დაიწყო საუბარი აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით. როგორ შეაფასებდით ამ შეხვედრას?**

- გასული წლის დამლევს არასამთავრობო ორგანიზაციების ოცამდე წარმომადგენელს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გვქონდა საქართველოს პრეზიდენტთან. ეს იყო ხალხი, ვინც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების სფეროში წლების განმავლობაში მუშაობს. გაიმართა ძალიან გულღია დიალოგი, რომელსაც ჩვენ, არასამთავრობოების წარმომადგენლები ძალიან დიდი ხანი ველოდით. ამ 8-9 წლის განმავლობაში აფხაზურ მხარესთან მრავალი შეხვედრა გვქონია, მაგრამ ხელისუფლებიდან ამის თაობაზე არასოდეს არავინ დაინტერესებულა. არავის უკითხავს ჩვენთვის, ვის შეხვდით და რაზე ისაუბრეთო. ამიტომ ბატონ მიხეილს მოწვევისათვის დიდი მადლობა გადავუხადე. თავის მხრივ, პრეზიდენტმა ბრძანა, რომ ეს არ იქნება ბოლო შეხვედრა და რომ პერიოდულად კვლავ შევიკრიბებით. ყოველივე ამის მიზანია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების სხვადასხვა კონცეფციების განხილვა და ოპტიმალური, შეჯერებული ვარიანტის ჩამოყალიბება, რომელიც შემდეგ განსახილველად გადაეცემა აფხაზურ მხარეს.

ამით დამთავრდება უსაგნო საუბარი აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით და ჩვენ უკვე შეგვეძლება, აფხაზურ მხარეს კონკრეტული წინადადებები სამთავრობო დონეზე შევთავაზოთ.

მიმაჩნია და პრეზიდენტსაც ვუთხარი, რომ ნამდვილად უნდა არსებობდეს სამოქალაქო დიალოგის გამოცდილების მქონე ისეთი კომპეტენტური გუნდი, რომელთანაც ხელისუფლება მუდმივად ითანამშრომლებს. უნივერსალური კონცეფცია რომ მივიღოთ, არ იმუშავებს, თუ მეორე მხრიდან პარტნიორები არ გვეყოლება. აქ კი არასამთავრობოების გამოცდილება უნიკალურია.

**- ამის შემდეგ, შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ხელისუფლებამ კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი გზა აირჩია და რომ აფხაზური მხარის შიში ამასთან დაკავშირებით უსაფუძვლო გამოდგა?**

- რა თქმა უნდა, პრეზიდენტმა რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვირჩევთ მშვიდობიან გზას, მხოლოდ მშვიდობიანს. პრეზიდენტი საკუთარი სიტყვის გარანტია და მის სიტყვას აფხაზურ საზოგადოებაში გატანა და გამაგრება სჭირდება. ყველანი უნდა ვეცადოთ, რომ ეს გავაკეთოთ და აფხაზური მხარე ჩვენს მშვიდობიან განწყობილებაში დავარწმუნოთ. ბევრი მეკითხება, წამოვლენ თუ არა აფხაზები მოლაპარაკებებზე. როცა საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით და გვექნება შესათავაზებელი კონკრეტული წინადადებები, ლოგიკით, მოლაპარაკებები უნდა დაიწყოს და ვფიქრობ, დაიწყება კიდეც.

**- თუ არის თქვენთვის ცნობილი, როგორია ჩვენი დევნილი მოსახლეობის დამოკიდებულება აფხაზეთის ავტონომიის განსაკუთრებული სტატუსის მიმართ?**

- არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სხვადასხვა კონცეფცია არსებობს და ყოველ მათგანს თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები ჰყავს. მეც არ ვეთანხმები ცალკეულ მუხლებს, მაგრამ იმედი მაქვს, რომ შეჯერებული ვარიანტი ჩვენთვის მისაღები იქნება. ჩემთვის მთავარია, მოლაპარაკებები დაიწყოს. როდემდე უნდა ვიყოთ ასე? აღარ დადგა დრო, რომ წინააღმდეგობები გადავლახოთ და დიალოგი დავიწყოთ?!

**- თქვენ აფხაზურ მხარესთან მუდმივი კავშირი გაქვთ. როგორ ფიქრობთ, ამ წლების მანძილზე აფხაზები დაგვიახლოვდნენ თუ უფრო დაგვშორდნენ?**

- ზუსტად ერთი წლის წინათ მე და ჩემი მეგობარი ნოდარ სარჯველაძე სოხუმში ვიმყოფებოდით. ჩემი მეგობრების გარდა, უამრავ სხვა ხალხსაც შევხვდი. მათი მხრიდან ყველაზე ხშირად ერთი ფრაზა ისმოდა – ჩვენ შორის არ არსებობს ისეთი პრობლემა, რომლის გადაჭრა მოლაპარაკების გზით შეუძლებელია.

რაც შეეხება აფხაზური საზოგადოების ცვლილებას, აღსანიშნავია ერთი ფაქტი. აქამდე იყო ილუზია, თითქოს, აფხაზები იმას გააკეთებენ, რასაც "ზემოდან" ეტყვიან. ეს მცდარი აზრია და ამის ნათელი მაგალითი აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნები იყო. აფხაზმა ხალხმა მხარი არ დაუჭირა პუტინის, ჟირინოვსკისა და არძინბას ფავორიტს. პირდაპირი მუქარის მიუხედავად, ხაჯიმბას თუ არ აირჩევთ, საზღვარს ჩავკეტავთო, აფხაზებმა ბაგაფში აირჩიეს.

სოხუმში ისეთ ადამიანებსაც შევხვდით, ვინც სააკაშვილზე დადებითად მსჯელობს. ამბობს, რომ მას ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ბრალი არ მიუძღვის; რომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს თავად ჩავიდეს სოხუმში და მოლაპარაკებები გამართოს და ა.შ. ამრიგად, აფხაზური საზოგადოება მრავალფეროვანი და სხვადასხვა აზრის მატარებელია, მაგრამ, ვფიქრობ, მოლაპარაკებებისთვის კარგი შანსი გაგვიჩნდა. 2004 წელი კარგად დავამთავრეთ, პრეზიდენტთან შეხვედრას ვგულისხმობ. 2005 წელიც კარგად იწყება, მიმდინარეობს მუშაობა კონცეფციაზე.

**- თქვენ შარშან იანვარში, ახალი წლის დღეებში იმყოფებოდით სოხუმში, როგორ შეგხვდნენ აფხაზეთში?**

- მე სოხუმელი კაცი ვარ და, ცხადია, ბევრი აფხაზი მეგობარიც მყავს. ძველით ახალ წელს იქ შევხვდით. საფრთხის მიუხედავად (ქართველებთან კარგი ურთიერთობა, იქაური სპეცსამსახურების მხრიდან, ლამის სამშობლოს ღალატად მოინათლოს), ყველა სახლში გვეპატიჟებოდა, ყველა სუფრას გვიშლიდა. 9 წელია, ჩართული ვარ სამოქალაქო დიალოგში, მაგრამ სოხუმში პირველად ვიყავი, რაც სწორედ მოლაპარაკებების შედეგი იყო. როგორც მოგახსენეთ, მეგობრების გარდა, უამრავი სხვა ადამიანიც ვნახე. ბევრი ყოფილი მეომარიც იყო (საერთოდ, აფხაზეთში ოჯახი არ არის, რომ ომში დანაკლისი არ განეცადოს). მათ წაკითხული ჰქონდათ ჩემი მოთხრობა "ძმისშვილი" (ქართველი მეომარი აფხაზ ბავშვს გადაარჩენს და სიკეთე სიკეთით დაუბრუნდება) და ბევრ მსგავს ისტორიას მომიყვნენ. ეს არის საოცარი ისტორიები იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინეს ადამიანებმა ერთმანეთი. კაცი ვნახე, რომელმაც ომში თავისი ქართველი დეიდაშვილი ვერ იცნო და კინაღამ დახვრიტა. ყველაფერი ჩავიწერე და მინდა წიგნი გავაკეთო, სადაც გამოჩნდება, რომ აფხაზებმა და ქართველებმა ვიცით ერთმანეთის ტკივილი.

**- აფხაზებს ახალი წლის შეხვედრის თავისებური ტრადიცია ხომ არა აქვთ?**

- აფხაზები და ქართველები, ორივე, დღესასწაულის მომლოდინე ხალხი ვართ და ახალ წელსაც ერთნაირად ვხვდებით. შემდეგ ვდღესასწაულობთ შობას და ხაზგასმით აღვნიშნავთ ძველით ახალ წელსაც.

ჩემს ბავშვობაში სოხუმში და გაგრაში იყო ტრადიცია, დავდიოდით კარდაკარ სიმღერით – "სეიუ, ბეიუ, პოსევაიუ, ს ნოვიმ გოდომ პოზრდავლიაიუ!" და ვაგროვებდით ტკბილეულს. ძალიან გამიხარდა, როცა შარშან, სოხუმში ყოფნისას, ბავშვების ეს სიმღერა გავიგონე. ასე რომ, ტრადიცია შემონახულია.

**- ყველა კუთხეს თავისი კოლორიტი ჰყავს, ასეთი ხომ არავინ გახსენდებათ სოხუმიდან?**

- აფხაზეთში ბევრი კოლორიტული პიროვნება იყო, მაგრამ ერთი მათ შორისაც გამოირჩეოდა - ბლაჟბა მიხეილ "თემუროვიჩი". ეს იყო საოცარი კაცი, თავის დროზე საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე, რომელიც მთელ კომუნისტურ იდეას ირონიით უდგებოდა. მისთვის სულ ერთი იყო აფხაზი და ქართველი, ყველასთვის სიკეთეს აკეთებდა. ომის დროს სოხუმში გარდაიცვალა, ვერ გაუძლო იმ სისხლისღვრას. საოლქო კომიტეტში ყოფნისას ბევრი რესტორანი ააშენა. მერხეულისა და ეშერის ცნობილი რესტორნებიც მისი აშენებულია. ომის დროს მერხეულთან ქართველების "გრადი" იდგა, ეშერასთან – აფხაზების და ერთმანეთს ესროდნენ. ამას ვერ გაუძლო, გული გაუსკდა.

ამჟამად ვმუშაობ რომანზე "პრეზიდენტ კენედის კატა." ეს წიგნი, ფაქტობრივად, მიხეილ ბლაჟბას ცხოვრებაზეა.

**- ახლახან თქვენ წიგნის პრეზენტაცია მოაწყეთ, სადაც შესულია ქართველი, აფხაზი, ოსი, სომეხი და აზერბაიჯანელი მწერლების მოთხრობები. ხომ არ არის მოსალოდნელი ასეთი ერთობლივი პროექტების გაგრძელება?**

- კავკასიაში ხუთენოვანი ლიტერატურა და სამი კონფლიქტი გვაქვს, რის გამოც ჩვენი ურთიერთობები მთლიანად დაირღვა. აღარაფერი ითარგმნება და ჩვენ ერთმანეთის არაფერი ვიცით. ამიტომ, მე და ჩემმა აფხაზმა მეგობარმა ბათალ კობახიამ გადავწყვიტეთ, ჩვენი მუშაობა მშვიდობისმყოფელ პროცესად ვაქციოთ. მოვიარეთ კავკასია, შევაგროვეთ მოთხრობები და 12 ათასი ტირაჟით გამოვეცით. ამ წიგნის პრეზენტაცია გაიმართა ბაქოში, ერევანში, სტეფანაკერტში და ბოლოს, თბილისში. ბევრმა წაიკითხა და გაგრძელების გაკეთება გვთხოვა, მაგრამ ჩვენ არა მარტო წიგნის, არამედ პერიოდული ალმანახის გამოშვებასაც ვფიქრობთ, სადაც მწერლების გვერდით წარმოდგენილი იქნებიან მხატვრები, მუსიკოსები...

"24 საათის" მკითხველს ერთ საიდუმლოსაც გავანდობ. ჩვენს დიდ რეჟისორთან, თემურ ჩხეიძესთან ერთად ვმუშაობთ სპექტაკლზე ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ. ერთი სიტყვით, გვინდა, ხელოვნება შერიგების სამსახურში ჩავაყენოთ.

**- როგორ მიულოცავდით აფხაზებს ახალ წელს?**

- სიამოვნებით მივულოცავ ახალ წელს ყველას – ჩვენს დევნილ მოსახლეობას და აფხაზებს. ჩვენ ადრეც ვყოფილვართ მძიმე სიტუაციებში, მაგრამ სიბრძნითა და სიყვარულით მდგომარეობიდან ღირსეულად გამოვსულვართ. ვისურვებდი, რომ ახლაც ასე მოხდეს. მჯერა, 2005 წელი სიბრძნისა და სიყვარულის წელი იქნება.

# სინანული და შერიგება

*25 დეკემბერს, თბილისის წმინდა სამების ახლადაშენებულ საკათედრო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, საყოველთაო სინანულისა და შერიგებისთვის საგანგებო წირვა-ლოცვა აღავლინა. მსახურებაში მონაწილეობდნენ აფხაზეთიდან ჩამოსული ქალბატონები და თბილისში მცხოვრები ოსი და აფხაზი ეროვნების მოქალაქეები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაცია "ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების" წევრები არიან.*

ლელა მარგიანი

**"ჩვენთვის ძალიან ამაღელვებელი და განსაკუთრებული დღე იყო. სამების ტაძარში პირველად ვიყავით, მივიღეთ ილია მეორეს ლოცვა-კურთხევა, სამშვიდობო დოკუმენტს მოვაწერეთ ხელი, დავესწარით პატრიარქის აღსაყდრების ოცდამეშვიდე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებას. შემდეგ საპატრიარქოში სადილზე მიგვიპატიჟეს, რომელზეც პატრიარქმა სიტყვა წარმოთქვა. ოცდაორი ადამიანი, მათ შორის - აფხაზეთიდან და ოსეთიდან ჩამოსულებიც, ვესწრებოდით საზეიმო მიღებას საპატრიარქოში. გამომშვიდობებისას პატრიარქმა კიდევ ერთხელ დაგვლოცა ყველანი და მშვიდობა გვისურვა. მან აღნიშნა, რომ მონანიება და ურთიერთშერიგება არის ერთადერთი გზა, რომელიც გადაარჩენს ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს. ჩვენ ყველამ ერთად ვილოცეთ. ვფიქრობ, მართლაც ყველამ უნდა აღიაროს თავისი შეცდომები, რომ ერთი ნაბიჯი მაინც გადავდგათ წინ, შერიგებისაკენ,"** - განაცხადა ჩვენთან საუბარში არასამთავრობო ორგანიზაცია "ქართულ-აფხაზური ოჯახების" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა წევრმა, ეროვნებით აფხაზმა ქალბატონმა ნატო მარშანიამ, რომელიც თავის ქართველ მეუღლესა და შვილთან ერთად თბილისში ცხოვრობს.

ქალბატონი ნატო, როგორც თავისი ხალხის ღირსეული წარმომადგენელი და, იმავდროულად, ქართველი შვილის დედა, მტკივნეულად განიცდის თავსდატეხილ უბედურებას. იგი, როგორც რიგითი მოქალაქე და სახალხო დიპლომატიის კუთხით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი, თავდაუზოგავად იღწვის იმისთვის, რომ მამების მიერ ჩადენილი შეცდომა ისევ მამებმა გამოასწორონ და შვილებს დაჩეხილი საქართველო აღარ დარჩეთ.

ქალბატონ ნატოს და ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ბატონ რეზო ბენდელიანს მიაჩნიათ, რომ შერეული ოჯახები ძალიან დიდი რესურსია ხელისუფლებისთვის კონფლიქტის მოგვარების საქმეში, რომ საჭიროა, ორივე მხარემ გულწრფელად აღიაროს დაშვებული შეცდომები, რომ კონფლიქტის გაშუქებისას მასმედიის წარმომადგენლებმა "ცეცხლზე ნავთი კი არ დაასხან," არამედ მართლა შეუწყონ ხელი კონფლიქტის მოგვარებას.

**"ჟურნალისტებმა დაპირისპირებული მხარეებიდან მტრის სახე არ უნდა შექმნან. ერთ მაგალითს მოგიყვებით. გახსოვთ, ალბათ, "ფსიქოში" უჩვენეს ორი ფილმი აფხაზეთზე. ერთი ქართველი რეჟისორის მიერ იყო გადაღებული, მეორე - აფხაზის. შესაბამისად, ნაჩვენები იყო ათი წლის შემდეგ ქართველის მიერ დანახული აფხაზეთი და აფხაზი რეჟისორის მიერ დანახული თბილისი. როდესაც ფილმის გადაღების დროს, აფხაზი ჟურნალისტი სვეტლანა კორსაია შემეკითხა, როგორ მოიგონებთ თბილისში ჩამოსვლასო, მე მას ჩემს თავს გადამხდარი ისტორია ვუამბე, რომელშიც იყო დადებითი მუხტი. მან კი ფილმში ჩემი პასუხი მთლიანად არ გაუშვა და სწორედ ის დადებითი ამოიღო. ძალიან დამწყდა გული, რადგან მინდოდა ყველას, და განსაკუთრებით, აფხაზებს გაეგოთ, თუ როგორ შემხვდნენ ომის დამთავრებისთანავე თბილისში ჩამოსულს მე, ეროვნებით აფხაზს. მოვიგონე ეპიზოდი, როდესაც თბილისში ჩამოვედით. მეც და დედაჩემსაც პასპორტში ეროვნება "აფხაზი" გვეწერა. უნდა აგვეღო დევნილის მოწმობა. შეშინებული დედაჩემი არ მაძლევდა პასპორტს და მეუბნებოდა: "მოწმობის ასაღებად რიგში გამწარებული ხალხი დგას, შენ ჩვენს პასპორტებს ამოიღებ და ყველა გაიგებს, რომ აფხაზი ხარ. რა იცი, გამწარებული ხალხი რას იზამსო." თავიდან მართლა მეშინოდა, ამდენი გაჭირვებისაგან არაადამიანური სახე მქონდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო. შეშინებული და გაფითრებული მივედი მერიაში, სადაც დევნილის მოწმობა უნდა ამეღო. დიდი ხნის დგომის შემდეგ, როგორც იქნა, რიგმა მომიწია, მივუახლოვდი მამაკაცს, რომელიც მოწმობებს იძლეოდა. ეტყობა, ისეთი შეშლილი სახე მქონდა, მან მითხრა, - აქეთ მობრძანდით ქალბატონო, რატომ ნერვიულობთო. მივაწოდე ჩვენი პასპორტები. ჩახედა და მითხრა, ქალბატონო, თქვენ სანერვიულო აბსოლუტურად არაფერი გაქვთ, ამ წუთში გაგიკეთებთ ყველა საბუთსო. მართლაც, იმ კაცმა მეც და დედაჩემსაც დევნილების მოწმობები მალე გაგვიმზადა. აფხაზი ნათესავები მეკითხებიან ხოლმე, შენ აფხაზი ხარ, დადიხარ თბილისის ქუჩებში და არ გეშინიაო?! სწორედ ამ ისტორიის მოყოლით მინდოდა მეთქვა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, რაც ჩვენს შორის მოხდა, თბილისში თავს უსაფრთხოდ ვგრძნობთ მეც, დედაჩემიც და აფხაზი ეროვნების სხვა ქალბატონებიც. მაგრამ, სამწუხაროდ, აფხაზმა ჟურნალისტმა ჩემი ეს მოგონება ფილმიდან ამოიღო. რატომ?! რატომ ამოიღეს ის დადებითი, რაც ვთქვი?! არ შეიძლება ასე ცალსახად ყველა მოვლენის განხილვა, რაღაც დადებითი ხომ უნდა ვუთხრათ ერთმანეთს?! იყო შეცდომები, მაგრამ უნდა ვაპატიოთ ერთმანეთს, შევრიგდეთ და გავერთიანდეთ,"** - გულისტკივილს ვერ ფარავს ქალბატონი ნატო.

მას ეთანხმება ბატონი რეზო ბენდელიანი, რომელმაც გვითხრა, რომ მათმა არასამთარობო ორგანიზაციამ სულ ცოტა ხნის წინათ სამშვიდობო აქცია ჩაატარა ენგურის ხიდზე, სადაც ქართული, აფხაზური, სვანური და მეგრული ხალხური სიმღერები ჟღერდა.

**"აქციის მოსაწყობად შაბათი დღე საგანგებოდ შევარჩიეთ, რადგან იმ დღეს ლილოში სავაჭროდ ჩამოსული აფხაზი ქალბატონები უკან ბრუნდებიან. ბევრი ხალხი მოგროვდა, ყველა კითხულობდა, თუ რა ხდებოდა. როცა ავუხსენით აქციის სამშვიდობო მიზანი, ცრემლისა და სიყვარულის მეტი იქ არაფერი ყოფილა. ჩვენ მომავალში ვაპირებთ კულტურული ღონისძიებების ჩატარებას ენგურის ხიდის მიმდებარე სოფლებში, ტყვარჩელსა და ოჩამჩირეშიც. ჩვენ მიერ ჩატარებულ ყველა კონცერტზე გაიჟღერებს ქართული, აფხაზური, სვანური და მეგრული სიმღერები, ხოლო საგანგებო წირვა-ლოცვაზე აფხაზეთიდან ჩამოსული ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციის წევრი აფხაზი ქალბატონები პატრიარქის მიმართვას აფხაზეთში გაავრცელებენ, რათა აფხაზეთის მოსახლეობა უწმინდესის მოწოდებას გაეცნოს. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან აფხაზეთში არ იციან სიმართლე. იქ ჩვენი საერთო მტრები უარყოფით ინფორმაციას საგანგებოდ ავრცელებენ (თუმცა, ზოგ საკითხში ქართული მედიაც ცოდავს).**

**ამავე დროს, ისეთი შთაბეჭდილებაც გვრჩება, რომ ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია (თქვენი გაზეთის საშუალებით უახლოეს მომავალში მათ სახელებსაც გავახმოვანებთ) ხელოვნურად ბლოკავს კონფლიქტის მოგვარებისკენ მიმართულ ღონისძიებებს. მოგეხსენებათ, ომი დიდი ფულია და ვიღაცას აწყობს მოუგვარებელი-გაყინული კონფლიქტები! ერთ-ერთმა უცხოელმა, რომელიც ჩვენს პროექტს კურირებდა, გულახდილად გვითხრა: "თქვენს პროექტს კინაღამ გადამაყოლესო?!" აფინანსებენ რაღაც უაზრო წიგნებს და პროექტებს. ჩვენი ორგანიზაციის წევრები, ქართველებიც და აფხაზებიც ამას ვერ შევურიგდებით. ჩვენ ხუთასზე მეტი წევრი გვყავს, ათას სამასზე მეტი განცხადება გვაქვს მიღებული, სადაც შერეული ოჯახების წარმომადგენლები შეხვედრების მოწყობის ორგანიზებას გვთხოვენ, ოთხასამდე ადამიანი უკვე შევახვედრეთ ერთმანეთს. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ ჩატარებული ღონისძიებებით ხელს ვუწყობთ კონფლიქტის მოგვარებას და ბოლოს, ჩვენი წევრების საშუალებით პატრიარქის მიმართვას აფხაზეთში თუნდაც რამდენიმე ათეული ადამიანიც რომ გაეცნოს, ესეც ძალიან კარგი იქნება,"** – გვითხრა რეზო ბენდელიანმა.

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

ეროვნული მუზეუმის დირექტორს 10 იანვრამდე დაამტკიცებენ



B2

ლუქსემბურგის ბრაზილიური ფილოსოფია



B4

ფეხბურთელი სცენაზე



B8

# საქართველოს განვიხილავთ როგორც პერსპექტიულ ქვეყანას

*"ჭიათურმანგანუმის" ახალი მფლობელის ვინაობა სულ რამდენიმე დღეში გაირკვევა. "ჭიათურმანგანუმის" ტენდერში მონაწილე კომპანიათა შორის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად კორპორაცია "ინტერპაიპს" ასახელებენ.*
*რა მიზნები და ამოცანები აქვს საქართველოში უკრაინის ამ უმსხვილეს კომპანიას? ამის შესახებ "24 საათს" ესაუბრება ნომრის სტუმარი, კორპორაცია "სამეცნიერო-სამრეწველო საინვესტიციო ჯგუფ "ინტერპაიპის" მმართველი საბჭოს წევრი ეკატერინა კრასნოვა.*

სოფო ბუკია



- კორპორაცია "ინტარპაიპს" თოთხმეტწლიანი ისტორია აქვს და უკრაინის ხუთ უმსხვილეს კომპანიაში შედის. ჩვენი ბიზნესი ფოლადის მილების წარმოებითა და გაყიდვით დაიწყო – აქედან მოდის ჩვენი კორპორაციის სახელწოდებაც. დღეს "ინტერპაიპი" არის ჯგუფი, რომელიც სამ ათეულზე მეტ სამრეწველო, სავაჭრო და მომსახურების კომპანიას აერთიანებს. ჩვენი ჯგუფის მოღვაწეობის სფერო საკმაოდ ვრცელია: შავი მეტალურგია, სპეციალური და ნაგლინი ფოლადები, რკინის მადანი, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, სახალხო მოხმარების საქონელი. კორპორაციას გახსნილი აქვს საკუთარი წარმომადგენლობები ბელარუსში, რუსეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში, უზბეკეთში. ჩვენი ოფისები მოქმედებენ აშშ-ში და შვეიცარიაში. წელს ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ჩვენი წარმომადგენლობის ოფიციალური გახსნა საქართველოში. "ინტერპაიპის" შტაბ-ბინა დნეპროპეტროვსკში მდებარეობს. უკრაინასა და სხვა ქვეყნებში, სადაც ჩვენ ვართ, შექმნილი გვაქვს 100 ათასი სამუშაო ადგილი.

კორპორაციის საკვანძო ბიზნესი ფეროშენადნობებზე მუშაობა და მილებისა და ბორბლების წარმოებაა. ფოლადის მილების წარმოების მხრივ, "ინტერპაიპი" მეოთხე ადგილზეა მსოფლიოში (ყოველწლიურად მოცულობა 1 მილიონ ტონას შეადგენს). ასევე, "ინტერპაიპი" მსოფლიოში მესამე ადგილზეა სარკინიგზო ბორბლების წარმოების მხრივ.

გასულ წელს "ინტერპაიპი" მსოფლიოში ფეროშენადნობების უმსხვილესი მწარმოებელი და მიმწოდებელი გახდა. ჩვენ გავუსწარით უმსხვილეს ტრანსნაციონალურ კორპორაციას "ერამეტს", რომელიც უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე აღნიშნულ ბიზნესში პირველობას არავის უთმობდა.

ჩვენი ფეროშენადნობთა ბიზნესის ღერძია ნიკოპოლის ფეროშენადნობთა ქარხანა. ეს არის მსოფლიოში უმსხვილესი საწარმო მსხვილტონაჟიანი ფეროშენადნობების წარმოების მხრივ. ამ საწარმოს მაქსიმალური სიმძლავრე, დაახლოებით, 1,2 მილიონი ტონაა წელიწადში. პროდუქციის 70 პროცენტს სილიკომანგანუმი შეადგენს, 30 პროცენტს - ფერომანგანუმი.

1999 წელს, "ინტერპაიპის" ნიკოპოლში მისვლის მომენტში წარმოების მოცულობა მაქსიმუმ 500 ათასი ტონა იყო. ხუთ წელიწადში ჩვენ წარმოებისა და გაყიდვის მოცულობის ორჯერ გაზრდა შევძელით. გასულ წელს, 24 დეკემბერისთვის ნიკოპოლის ფეროშენადნობთა ქარხანამ მილიონი ტონა ფეროშენადნობი გამოადნო. დღევანდელი მონაცემებით, ჩვენი წილი ფეროშენადნობთა მსოფლიო ბაზარზე 11,4 პროცენტს შეადგენს.

**- რას უნდა მივაწეროთ ასეთი კარგი დინამიკა?**

- პირველ რიგში, ეს არის ინვესტიციები, რომლებიც საწარმოო სიმძლავრეების განვითარებისთვის იხარჯება. ყოველწლიურად ამ მიზნით გამოყოფილია 10-15 მილიონი დოლარი. 2005 წლიდან წარმოების განვითარებისთვის გამოყოფილი ინვესტიციების მოცულობა მკვეთრად გაიზრდება. უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ დაგეგმილი გვაქვს, სიმძლავრეების მოდერნიზაციისთვის დაახლოებით 200 მილიონი დოლარი გამოვყოთ.

რას გვაძლევს ინვესტიციები? - უპირველეს ყოვლისა, წარმოების მოცულობის ზრდას, ენერგორესურსების მოხმარების ოპტიმიზაციას, სხვადასხვა სახის ნედლეულის მაქსიმალური გამოყენებისთვის დანადგარების მოდერნიზებას, მეორადი ნედლეულის გადამუშავების უნიკალური ტექნოლოგიების დანერგვას.

მეორე – ეს არის გასაღების ქსელისა და გასაღების ტექნოლოგიების განვითარება. ფეროშენადნობთა მსოფლიო ბაზარზე მუშაობის განმავლობაში ჩვენ გრძელვადიანი კავშირები დავამყარეთ ჩვენი პროდუქციის უმსხვილეს მომხმარებლებთან მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ ჩვენი პროდუქციის მომხმარებლები არიან მსოფლიოს უმსხვილესი ფოლადჩამომსხმელი გიგანტები: Arcelor, US Steel, Danieli, Duferco, Ispat International Ltd, LNM Group, Lucchini SpA, Thyssen Krupp, Voest-Alpine AG, Huta Czestochowa. დღეს ჩვენ მათთან პირდაპირი კავშირი გვაქვს და, ასევე, ჩვენი მომხმარებლების მოთხოვნილებათა და პროდუქციის ხარისხის მუდმივ მონიტორინგს ვაწარმოებთ.

გარდა ამისა, ჩვენ საწყობების ქსელი გვაქვს მსოფლიოს უმსხვილეს პორტებში, რაც საშუალებას გვაძლევს, კონტრაქტის ხელმოწერისთანავე, უმოკლეს ვადებში დავიწყოთ შეკვეთის მიწოდება. ასეთი საბაზრო პოლიტიკის წყალობით, ჩვენ მსოფლიო ბაზრის ერთ-ერთი ლიდერი ვართ და საშუალება გვაქვს, გაყიდული პროდუქციის მოცულობა მუდმივად გავზარდოთ.

ცოტა ხნის წინათ კორპორაციის ბიზნესის განვითარების ათწლიანი სტრატეგია შემუშავდა, სადაც პრიორიტეტად ფეროშენადნობთა ბიზნესი დასახელდა. ჩვენ არა მხოლოდ ჩვენი საბაზრო პოზიციებისა და მსოფლიო ლიდერობის შენარჩუნებას ვცდილობთ, არამედ მუდმივად ვზრდით მიწოდების მოცულობას. მილიონი ტონა - ეს ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი არ არის. შემდგომი განვითარებისთვის სამი რამეა საჭირო: პირველი - ფლობდე ბაზარს, მეორე – გქონდეს საკუთარი ნედლეულის ბაზა და მესამე – ფლობდე საკმარის საწარმოო სიმძლავრეებს.

**- რამ გამოიწვია ისეთი მსხვილი კორპორაციის, როგორიც "ინტერპაიპია," ჭიათურის ნედლეულით დაინტერესება? ამბობენ, ჭიათურის ნედლეული მსოფლიოში საუკეთესო არ არისო? და კიდევ, რაც შეეხება ბაზარს, ხომ არ დარჩება ჭიათურის მანგანუმი გამოუყენებელი?**

- ნიკოპოლის ფეროშენადნობთა ქარხანა წელიწადში 2 მილიონ ტონა მანგანუმის მადანს მოიხმარს. ეს საკმაოდ დიდი მოცულობაა და ჩვენი ამოცანაა, შევამციროთ მადნის შესყიდვა და, ძირითადად, საკუთარი მადნის გამოყენებაზე გადავიდეთ. ამდენად, ჩვენი დაინტერესება ჭიათურის საბადოთი სრულიად გასაგებია. "ჭიათურმანგანუმში", პირველ რიგში, ჩვენ გეოგრაფიული მდებარეობა – უკრაინასთან და, შესაბამისად, ნიკოპოლის ქარხანასთან სიახლოვე გვხიბლავს. მეორე – "ჭიათურმანგანუმს" ჩვენ განვიხილავთ როგორც პერსპექტიულ კომბინატს მოპოვების მოცულობისა და მანგანუმის მადნის გამდიდრების კუთხით. რაც შეეხება "მსოფლიოში არცთუ ისე საუკეთესო ნედლეულს" - ნიკოპოლის ფეროშენადნობთა ქარხნის სიმძლავრეების დღევანდელი მდგომარეობა ჭიათურის ნედლეულისგან ხარისხიანი ფეროშენადნობების წარმოების საშუალებას იძლევა. მე უკვე აღვნიშნე, რომ მილიონი ტონა ფეროშენადნობი ნიკოპოლის ქარხნის შესაძლებლობათა ზღვარი ნამდვილად არ არის და საწარმოო სიმძლავრეები 1,2 მილიონ ტონაზეა ორიენტირებული. ჩვენ დაგეგმილი გვაქვს, ეს მოცულობა უახლოეს მომავალში ავითვისოთ. გარდა ამისა, ნედლეულის მუდმივ მომხმარებლად რჩება ასევე ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა. ამდენად, კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა – ჩვენ შეგვიძლია უზრუნველვყოთ გასაღების სანდო არხი ჭიათურის ნედლეულისთვის, ამასთან - არა მხოლოდ ამჟამინდელი მოცულობებით, არამედ გაცილებით უფრო დიდი მოცულობით. ჩვენ, ალბათ, ერთადერთი კომპანია ვართ მსოფლიოში, რომელიც დაინტერესებულია არა მხოლოდ "ჭიათურმანგანუმის" შეძენით, არამედ ამ კომბინატზე მადნის წარმოების მოცულობის მკვეთრი გაზრდით.

**- "ჭიათურმანგანუმის" შეძენის შემთხვევაში როგორია თქვენი საინვესტიციო გეგმები?**

- პირველ რიგში, ჩვენ დაგეგმილი გვაქვს მოპოვების მოცულობის გაზრდა და მანგანუმის მადნის გამდიდრება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, დღეს კომბინატი დაახლოებით 150 ტონა კონცენტრატს აწარმოებს წელიწადში. ჩვენი გათვლებით, საშუალოვადიანი პერსპექტივით, ჩვენ შევძლებთ მოპოვების მოცულობის გაზრდას 400 ათას ტონამდე. ეს რეალურია. ჩვენ გვაქვს გამოცდილება – აღმოსავლეთ ევროპაში შევისყიდეთ და საპროექტო სიმძლავრეებზე გავიყვანეთ საბადოები. ჩვენ ვფლობთ საამისოდ საჭირო ტექნოლოგიებს.

ცხადია, მოპოვების გაზრდა მნიშვნელოვან თანხებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ჩვენ ამისთვისაც მზად ვართ.

**- თქვენ, ალბათ, იცით, თუ რა მძიმე მდგომარეობაშია დღეს ქალაქი ჭიათურა. "ჭიათურმანგანუმის" შეძენის შემთხვევაში, როგორი იქნება თქვენი სოციალური პოლიტიკა?**

- სოციალურ სფეროში "ინტერპაიპს" საკუთარი სტანდარტები აქვს, რომელთაც ჩვენ განუხრელად ვიცავთ ნებისმიერ საწარმოში. ამ სტანდარტების ფილოსოფია მარტივია: საწარმოს ეფექტური მუშაობა შეუძლებელია სტაბილური და კომფორტული სოციალური გარემოს გარეშე. იმის გასაგებად, თუ რამდენად რეალურად მუშაობს ჩვენი სტანდარტები პრაქტიკაში, საკმარისია ნიკოპოლის ფეროშენადნობთა ქარხნის სოციალურ სფეროს გადავხედოთ. ამ ქარხანაში სოციალური სფეროს განვითარებისთვის ყოველწლიურად 200 ათასი დოლარი გამოიყოფა. მოქმედებს სამედიცინო-სანიტარული ნაწილი, დღის სტაციონარი, გამაჯანსაღებელი სანატორიუმ-პროფილაქტორიუმი. მუშებს 8 სასადილო და ორი მაღაზია ემსახურება. ორგანიზებულია პროფილაქტიკური კვება მუშებისთვის, რომლის ხარჯებსაც მთლიანად ქარხანა ფარავს. ქარხანა ინახავს ბავშვთა გამაჯანსაღებელ ბანაკს, აგრეთვე - დასასვენებელ ბაზას შავი ზღვის სანაპიროზე. საწარმოს სპორტულ ბაზაში შედის სტადიონები, სამი სპორტ-დარბაზი, ტირები, მსუბუქი ათლეტიკისთვის განკუთვნილი მანეჟები, საჩოგბურთო კორტები და ა.შ. ნიკოპოლის ქარხანას საკუთარი საფეხბურთო გუნდიც ჰყავს.

საწარმო აფინანსებს განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდა თანამშრომლების სწავლას რეგიონის პროფილურ უმაღლეს სასწავლებლებში. ასევე საწარმო ფინანსურ დახმარებას უწევს თანამშრომელ ქალებს ბავშვის გაჩენისას, შეფობს პენსიონრებსა და სამამულო ომის ვეტერანებს. სოციალური გარანტიების პაკეტი, რომლებსაც ინვესტორი და საწარმოს ხელმძღვანელობა მოსამსახურეებს სთავაზობს, ქვეყნის მეტალურგიულ კომპლექსში ერთ-ერთი ყველაზე პროგრესულია. დავამატებ მხოლოდ იმას, რომ ქარხნის სოციალური სფეროთი სარგებლობს ნიკოპოლის ყველა მოქალაქე – ნიკოპოლი არის ქალაქი 120-ათასიანი მოსახლეობით.

**- "ინტერპაიპის" ჭიათურაში გამოჩენა კადრების შემცირებას ხომ არ გამოიწვევს? საკადრო პოლიტიკა საკმაოდ მტკივნეული თემაა და აქვე გკითხავთ, როგორია საშუალო ხელფასი თქვენს საწარმოებში?**

- კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა: ჩვენ ჭიათურაში შესამცირებლად კი არა, წარმოების მოცულობის გასაზრდელად მოვდივართ. მოპოვების მოცულობის ზრდის პირობებში კადრების შემცირება შეუძლებელია. ასე რომ, ჩვენ ამას არც ვგეგმავთ. ალბათ, უფრო პირიქით იქნება – ჩვენ შეიძლება საკადრო დეფიციტის წინაშე აღმოვჩნდეთ. ეს დეფიციტი, ალბათ, უფრო მაღალკვალიფიციური კადრებისა და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის ნაკლებობაში გამოიხატება. ამდენად, ჩვენ მოგვიწევს ახალი თანამშრომლების ძიება.

რაც შეეხება საშუალო ხელფასს – მილების მწარმოებელ საწარმოებში საშუალო ხელფასი დღეს 180 დოლარია, ხოლო ფეროშენადნობთა ქარხნებში – 220 დოლარი. ძირითად წარმოებებში მომუშავენი, კერძოდ მარტენის საამქროში, ფეროშენადნობების წარმოების საამქროში მომუშავენი თვეში 300-450 დოლარს იღებენ.

**- თქვენი კორპორაციის სრული სახელწოდებაა "სამეცნიერო-წარმოებითი საინვესტიციო ჯგუფი "ინტერპაიპი". გვითხარით ცოტა რამ თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ...**

- სამეცნიერო სფეროში ჩვენი ამოცანაა, წარმოებაში დავნერგოთ თანამედროვე მეცნიერული ტექნოლოგიები. ამასთან, საუბარია მეტალურგიაზე, მილების წარმოებაზე, ანუ იმ დარგებზე, სადაც მსგავსი ტექნოლოგიების დანერგვა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული და, ამავე დროს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დღეს სამეცნიერო ტექნოლოგიებით შექმნილი პროდუქციის წარმოება არის მთავარი, ზოგჯერ კი ერთადერთი კონკურენტუნარიანი უპირატესობა ბაზარზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მძიმე მრეწველობას ეხება. უკრაინის, რუსეთის და დსთ-ს სხვა ქვეყნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დახმარებით, ჩვენ ახალი ტექნოლოგიებისა და პროდუქციის ახალი სახეობების შემუშავებაზე ვმუშაობთ. ამ მიზნით, 2001 წელს ჩვენმა კორპორაციამ, პირველმა მთელს დსთ-ს სივრცეში, შექმნა განვითარების ინსტიტუტი, რომელიც მილების წარმოებაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მთელს პროცესს უწევს კოორდინირებას.

სამეცნიერო მუშაობა ნიკოპოლის ფეროშენადნობთა ქარხანაშიც მიმდინარეობს. კერძოდ კი, 2003 წელს დაინერგა ელექტროღუმელის რეკონსტრუქციის პროექტი, ფეროსილიციუმის გამოდნობისთვის. ანალოგიური რამ მსოფლიოში არ არსებობს. სწორედ ამ ტექნოლოგიის დახმარებით, წელს ნიკოპოლის ფეროშენადნობთა ქარხანამ საკუთარ წარმოებაში პრინციპულად ახალი პროდუქტის - ფეროსილიციუმ-65-ის გამოშვება დაიწყო.

**- საქართველოში უმსხვილესი უკრაინული კორპორაციის "ინტერპაიპის" გამოჩენა ნიშნავს თუ არა ორ ქვეყანას შორის უფრო მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების დასაწყისს? როგორია თქვენი შემდგომი გეგმები საქართველოში?**

- ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს ასეა. ჩვენ დაინტერესებული ვართ უკრაინასა და საქართველოს შორის პარტნიორული ურთიერთობების განვითარებითა და გაღრმავებით, როგორც ეკონომიკურ, ასევე კულტურულ სფეროში. ჩვენს ქვეყნებს შორის, 2003 წლის მონაცემებით, 180-მილიონიანი საქონელბრუნვა მოქმედებს. დამეთანხმეთ, ეს ძალიან, ძალიან ცოტაა. აქ უზარმაზარი პოტენციალია. "ინტერპაიპი", როგორც უკრაინის ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია, ყველანაირად ხელს შეუწყობს საქართველო-უკრაინის ურთიერთობების განვითარებას.

**- კონკრეტულად როგორ აპირებთ ხელშეწყობას?**

- ჩვენ იმ პროდუქციის მწარმოებლები და მიმწოდებლები ვართ, რომელიც დღეს საქართველოს ძალიან სჭირდება და დაინტერესებულნი ვართ მიწოდების მოცულობის ზრდით. კერძოდ კი, საუბარია მილებზე – 2004 წელს ჩვენ საქართველოში 200 ტონაზე ოდნავ მეტი პროდუქცია შემოგვქონდა, მაშინ, როცა აზერბაიჯანს ჩვენ 9 600 ტონას ვაწოდებთ. საუბარია სარკინიგზო ბორბლებზე, რომლებსაც ჩვენ ვაწარმოებთ და რომლებსაც იყენებენ რუსეთში, ყაზახეთში, გერმანიაში, ინდოეთსა და ჩინეთში. ჩვენ მზად ვართ რეგულარულად მივაწოდოთ ჩვენი პროდუქცია თბილისის ვაგონშემკეთებელ ქარხანას, რომელთანაც ჩვენ გვიმუშავია და მზად ვართ, ურთიერთობა მომავალშიც გავაგრძელოთ. ჩვენ საქართველოს განვიხილავთ როგორც პერსპექტიულ ქვეყანას სამრეწველო სფეროში ინვესტიციების განხორციელებისათვის; განვიხილავთ, ასევე, როგორც ჩვენი პროდუქციის მნიშვნელოვან ბაზარს. მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ საქართველოში ჩვენი ფულით, ჩვენი პროდუქციით და კონკრეტული საქმიანი წინადადებებითა და პროექტებით მოვდივართ, რომელთა განხორციელება საგრძნობ ეკონომიკურ ეფექტს მოუტანს როგორც ჩვენს კომპანიას, ასევე თქვენს მშვენიერ ქვეყანას და მის მოქალაქეებს. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ეს პოზიცია საქართველოში გაგებული და მხარდაჭერილი იქნება.







სამსონ ლექავას სვეტი

## საშობაო და საახალწლო ზეიმები - გაცოცხლებული ტრადიცია



დღევანდელ საქართველოში, მნიშვნელოვანწილად მაინც, აღორძინდა მრავალი ტრადიციული სადღესასწაულო რიტუალი, თუმცა ისიც ხაზგასასმელია, რომ საბჭოთა ეპოქაში ხალხი დიდ სულიერ სიმტკიცეს იჩენდა და არ თმობდა განსაკუთრებული საზრისის მქონე ზეიმებს, რისი უცილობელი მაგალითიცაა, თუ გნებავთ, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული.

უახლეს პერიოდში ჩვენმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ მრავალ სასიკეთო საქმესთან ერთად, საბედნიეროდ აღადგინა საშობაო "ალილოს" ტრადიცია - მისი მნიშვნელობის შესაბამისი მასშტაბურობით. ამასთან, ზოგ შემთხვევაში თავი იჩინა ამ წეს-ჩვეულების გარკვეულწილად თითქოსდა "საერო", უფრო ყოფითი ხასიათის გამოხატულებებმაც, რომელთა პირველსაფუძვლები კვლავ და კვლავ რელიგიის სფეროდან მომდინარეობს.

ვინაიდან ერთ-ერთი მსგავსი მცდელობის თანამონაწილე ვიყავი, გაგიზიარებთ ჩემს შთაბეჭდილებებს.

მეალილენი დიდებულ საშობაო სიმღერებს ასრულებდნენ ხოლმე ყოველ სახლთან და ჯილდოვდებოდნენ კიდეც მასპინძლის მიერ. მათ, ამ საკრალური სივრციდან მოვლენილად აღქმულ სტუმრებს, ეგებებოდნენ როგორც მადლის, სიუხვის, ღვთიური ენერგიის შემომტანთ. ისინი ქრისტეს შობის ღამის მწყემსთა მსგავსად, არსებითად მაცხოვრის განკაცების მახარებლებად მიიჩნეოდნენ, რასაც ზოგიერთი "ალილოს" ტექსტიც ცხადად ადასტურებს (მიუხედავად ამ და სხვა რიტუალებში ჩენილი, წარმართობიდან მომდინარე ინფორმაციისაც).

ამ არაჩვეულებრივ ზეიმში მონაწილეობის დროს, სრულად განვიცადეთ, თუ რაოდენ დიდი და უეცარი სიხარულის მომტანი აღმოჩნდა (მით უფრო დღევანდელ ყოფაში) ნებისმიერი ოჯახისათვის მეალილეთა სტუმრობა. განსაკუთრებით, ეს ჩანდა ძველ თბილისურ ეზოებში, სადაც მეზობლები როგორც კი ყურს მოჰკრავდნენ რაჭულსა თუ იმერულ "ალილოს", გამოდიოდნენ, იქვე გვეცნობოდნენ და უხვადაც გვასაჩუქრებდნენ. შესაძლოა, თამაშის წესები დავარღვიეთ კიდეც, მაგრამ სხვაგან მისვლისას ამ ძღვენს უკვე ახალ მასპინძლებს ვუწილადებდით ხოლმე. ერთ-ერთ საცხობში რაჭველებმა უგემრიელესი პურებიც მოგვცეს, რომელთა ნაწილი სანტა კლაუსს მივართვით - შეთავსებით იგი ეგრეთწოდებული "ქუჩის მუსიკოსიც" აღმოჩნდა და ფლეიტაზე ჩინებულად უკრავდა. (სანტა კლაუსი, როგორც მოვლენა, "კოკა-კოლას" მიერ განხორციელებული, როგორც ჩანს, გაცილებით უფრო ძველი ტრადიციის "სახეცვალებაა"; პირობითად "ფოლკლორიზაციაა" გაჭირვებულთა დაუღალავი და გულმხურვალე შემწე-თანამდგომის, უდიდესი ქრისტიანი წმინდანის - ნიკოლოზისა, რომელიც უკვე ახალგაზრდობაშიც თავისი ცხოვრების წესით განბრძნობილ უხუცესად აღიქმებოდა. თოვლის პაპა კი, სავარაუდოდ, “дед мороз”-ის ქართული, საკმარისად დამოუკიდებლობაშეძენილი "ვერსია" უნდა იყოს, თუმცა ძირეულად იგი არქეტიპული ჩანს).

შობის ბრწყინვალე და ამაღლებულ დღესასწაულს მოჰყვებოდა ახალი წლის დიდი ზეიმი. ამ დღეს უკვე მეკვლე ეახლებოდა ხოლმე ოჯახს, და იგი ისევ ფეხბედნიერ, სიუხვის მომტან, საღვთო სტუმრად მიიჩნეოდა, რომელსაც შეეძლო სასიკეთო ძალთა სახლში შემოტანა და დამკვიდრება. სათანადო შესწავლით დადგინდა, რომ მეკვლის შემოსვლა კოსმოსის კვლავ ქმნას, თავისებურ დემიურგულ აქტს გულისხმობდა... ყოველ მსგავს ზეიმს, არაორდინარულ მკვლევარ-მისტიკოს რენე გენონზე დაყრდნობით, გამორჩეული ინტენსიურობა ახასიათებს. იგი ხომ არარიგითია, ჩვეული განზომილებებიდან გამყვანი, რელიგიის ისტორიის გამოჩენილი მესაიდუმლის მირჩა ელიადეს თანახმად კი თვით "დასაბამიერ დროში" გადამრთველი. შესაბამისად იზრდება ჩვენი სამყაროსადმი სულიერი და თუგინდ ემოციური მიმართების ინტენსიურობაც. რიტუალში ჩართულობისას ადამიანი გაცილებით ღრმად სჭვრეტს მის საიდუმლოებებს, განიცდის საღვთო ენერგიებისადმი წილნაყარობას, საკუთარ თავშიცა და სოციუმშიც აღმოაჩენს უსასრულო შემოქმედებით მუხტს...

მით უფრო ასეთ დროს, წმინდა რელიგიური და "საერო" არც კი არის მკვეთრად გამიჯნული. როგორც ეთნოლოგ-მუსიკათმცოდნე მანანა შილაკაძე რაჟდენ ხუნდაძეზე დაყრდნობით გვაუწყებს, 1850 წლამდის ქორწილი და ნადიმი ჩვენში "ნახევარლოცვას" წარმოადგენდა, ხოლო სმა-ჭამასა და მხიარულებას, ღვთის სადიდებელი სძლისპირები ახლდა. ამ კონტექსტში სრულებით გასაზიარებელია რევაზ თვარაძის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ჩვენი სასულიერო და საერო მწერლობა უმჭიდროვეს კავშირშია და საეკლესიო ლიტერატურასთან ერთად მაგალითად რუსთაველისათვის, საერო პოეზია სწორედაც რომ საღმრთო სიბრძნის დარგია...

საშობაო და საახალწლო ზეიმებს ერთგვარი "კომპლექსური ურთიერთგამაძლიერებლობა" ახასიათებდა. მაგალითად, "ალილოს" უმაღლეს ჰარმონიას მეტ ძალას სძენდა, თუ გნებავთ, ახლა უკვე აღდგენილი საახალწლო ჩიჩილაკი, რომლის ამოუწურავი საზრისი სიცოცხლის ხესთან, როგორც მთელი სამყაროს ღერძის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და საყოველთაო გამოხატულებასთან, არის შეკავშირებული. იგი ირაკლი სურგულაძის თანახმად, იმავე სემანტიკური წრის მოვლენაა, როგორც დარბაზის დედაბოძი და გვირგვინი. მასშიც ერთიანდება ვეგეტაციური და ასტრალური საწყისები. იგი სკნელთა ღრმად შემაკავშირებელიცაა. თუკი ჩიჩილაკს ზემოდან დავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ მისი ჰორიზონტალური ჯვარი და ეგრეთწოდებული "ბასილას წვერად" აღქმული განტოტება თავისი ბრუნვითი ტრაექტორიით, აყალიბებს ჯვრიდან ამოსხივოსნებულ ბორჯღალას, რაც გვხვდება ადრექრისტიანულ რელიეფებშიც, დედაბოძის დეკორშიც და მოგვიანებით აივანთა აჟურულ მორთულობაშიც... ნაძვის ხე და ჩიჩილაკი შინაარსით უთუოდ ერთი რიგის მოვლენებია. ორივე კონცენტრულად "მსხმოიარე" კოსმოსია, ოღონდაც სხვადასხვა ნიუანსით: ნაძვის ხის ხატი უფრო მეტად ჰენრი პერსელის კლავესინით აჟღერებულ, სრულებით დაუვიწყარ საშობაო მელოდიებს მაგონებს თავისი სიცოცხლით აღსავსე, მოფუსფუსე და იმავდროულად დღესასწაულს შეგებებული პატარა ევროპული ქალაქის რიტმის გამოხატვით, თუმცა მის მელოსში განუზომლად ამაღლებული, სევდით მოსილი, და უღრმესად მისტიკური ზეიმურობაცაა. ჩიჩილაკი კი სულ სხვა რიგის სურათს უკავშირდება: მისი გაცილებით უბრალო და სადა სილამაზის აღქმისას, სწორედ ძველებური "ალილო" შემოგვესმის მთელი თავისი საზეო სიმწყობრით. ჩვენს წინაშე აღმოცენდება მიკარგული ქართული სოფლის ხედები, თვალსაჩინოვდება სუსხშეპარული, თოვლით გადაბურულ-განწმენდილი მიდამო...

დავძენ, რომ ამ წერილის გზის გამკვალავია ეთნოლოგი ნინო ღამბაშიძე, რომელმაც გულისხმიერი მეგზურობა გამიწია როგორც თავისი საუბრებით, ისე ძალზე საინტერესო და მრავლისდამტევი წიგნითაც.

# მუნიციპალური კინოთეატრი



წლების მანძილზე "რუსთაველი" თბილისის ყველაზე პოპულარული კინოთეატრი იყო.

*5 ოქტომბერს თბილისის მე-5 საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში კინოხელოვნების ცენტრ "პრომეთეს" ინიციატივით, გოეთეს ინსტიტუტისა და ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით გოეთეს ინსიტუტის შენობაში ჩატარდა სემინარი და კონფერენცია თემაზე "მუნიციპალური კინოთეატრი".*
*სემინარი ჩაატარეს გერმანელმა კინომცოდნეებმა ერიკა და ულრიხ გრეგორებმა, რომლებმაც 70-იან წლებში გერმანიაში ჩამოაყალიბეს მუნიციპალური კინოთეატრების ქსელი.*
*სემინარისა და კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თბილისისა და საქართველოს სხვა რეგიონების კულტურის მუშაკებმა, რომლებიც კინოს დარგში სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიით არიან დაინტერესებულნი და აღელვებთ კინოთეატრების ბედი.*
*ესენი არიან კულტურის საქალაქო თუ რაიონული სამსახურების უფროსები, გამგეობების წარმომადგენლები, კინოთეატრების დირექტორები და მენეჯერები, კინომცოდნეები, რეჟისორები, ჟურნალისტები და ა.შ. სულ კონფერენციაში მონაწილეობდა 40 ადამიანი. მათ შორის იყვნენ ს/ს "ქართული ფილმის" წარმომადგენლებიც.*
*შედგა ძალიან პრინციპული საუბარი კინოთეატრებში დღესდღეობით არსებული სავალალო ვითარების შესახებ და დაისახა ამ ვითარების გამოსწორების გზები. კონფერენციამ საჭიროდ ჩათვალა, ღია წერილით მიემართა იმ პირებისა და ორგანიზაციებისთვის, რომელთაც ხელეწიფებათ არსებული მდგომარეობის გამოსწორება.*
*გთავაზობთ ამ წერილს:*

## ღია წერილი

**საქართველოს პრეზიდენტს, ბ-ნ მიხეილ სააკაშვილს,**
**საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბ-ნ ზურაბ ჟვანიას,**
**საქართველოს ეკონომიკის მინისტრს, ბ-ნ ალექსი ალექსიშვილს,**
**ს/ს "ქართული ფილმის" დირექტორს, ბ-ნ რეზო ჩხეიძეს**

**პატივცემულო ბატონებო,**

მოგეხსენებათ, თუ რა მძიმე ვითარებაა დღეს საქართველოში კულტურის სფეროში.

საქართველოს მოსახლეობა ქვეყნის ახალი მთავრობისგან ელის ახალ კონცეფციას კულტურის პოლიტიკის განხრით...

ჩვენ ვთვლით, რომ სახელმწიფომ უპირველეს ყოვლისა მხარი უნდა დაუჭიროს არაკომერციულ ხელოვნებას და არაკომერციულ სტრუქტურებს, რომლებიც დამოუკიდებლად არსებობას ვერ შეძლებენ.

პოლიტიკას კინოსა და ზოგადად კულტურის დარგში სახელმწიფო ახორციელებდა ქალაქებსა და სოფლებში არსებული კინოთეატრებისა და კულტურის სახლების მეშვეობით.

კინოთეატრების უმრავლესობა დღესდღეობით არ ფუნქციონირებს. შენობები სანახევროდ ან მთლიანად დანგრეულია. ბევრი შენობა გამოიყენება, როგორც ფართი სავაჭრო თუ სამეწარმეო საქმიანობისთვის.

მოგეხსენებათ, რომ კინოთეატრები ს/ს "ქართული ფილმის" საკუთრებაა (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - აკაკი ჩარგეიშვილი, დირექტორი - რეზო ჩხეიძე).

სამწუხაროდ, სააქციო საზოგადოებამ დღემდე ვერ მოახერხა კინოთეატრების აღდგენა და ამუშავება და არა გვგონია, რომ რამე შეიცვალოს სასიკეთოდ უახლოეს მომავალში.

როგორც ჩანს, "ქართულ ფილმს" არ ძალუძს ან არ სურს არსებული მდგომარეობის შეცვლა.

ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, გამოვდივართ ინიციატივით, ს/ს "ქართულმა ფილმმა" ქალაქების (მათ შორის თბილისის), რაიონული ცენტრების და გნებავთ, სოფლების მუნიციპალურ სტრუქტურებს უსასყიდლოდ გადასცეს **თითო კინოთეატრი**. ეს საშუალებას მოგვცემს, საქართველოში შევქმნათ ე.წ. მუნიციპალური კინოთეატრების ქსელი (ასეთი ქსელები კარგა ხანია, წარმატებით მუშაობს ევროპის განვითარებულ ქვეყნებში).

ბატონებო, უმორჩილესად გთხოვთ, გაგვიწიოთ შუამდგომლობა, იმისათვის რომ ს/ს "ქართულმა ფილმმა" უმოკლეს ვადებში მოიწვიოს აქციონერთა საერთო კრება, რომელზეც განხილული იქნება თითო-თითო კინოთეატრის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისთვის გადაცემის საკითხი.

1. **მაია ნეფარიძე** - ქვემო ქართლის კულტურის სამმართველოს უფროსი
2. **მაია ტაბაღუა** - რუსთავის კულტურის განყოფილების უფროსი
3. **ნანა დევნოზაშვილი** - ბოლნისის კულტურის განყოფილების გამგე
4. **ბექა ხუცურაული** - (თელავი)
5. **ვალოდია დარჩიაშვილი** - გურჯაანის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე
6. **ირაკლი ლომსაძე** - მცხეთის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე
7. **ზაქაიძე თემური** - კინოთეატრ “კარიბჭეს” დირექტორი (მცხეთა)
8. **რობერტ მაღლაკელიძე** - შიდა ქართლის სპორტისა და კულტურის სამმართველოს გამგე
9. **გიორგი ჩიტაია** - კინოდარბაზის დირექტორი (გორი)
10. **მამია შარიქაძე** - ბორჯომის რაიონის კულტურის განყოფილების უფროსი
11. **ვახტანგ კვესელაძე** - კულტურის სახლის დირექტორი (ახალციხე)
12. **ნათელა იაძე** - ახალციხის კულტ. განყოფილბის გამგე
13. **ირა კურტანიძე** - შ.პ.ს. ახალციხის კინოვიდეოს დირექტორი (ახალციხე)
14. **ლეილა მახარაძე** - ზესტაფონის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე
15. **როლეზ გოგიშვილი** - სამტრედიის კულტურის განყოფილების გამგე
16. **დავით ქვირია** - გამგებლის მოადგილე (სამტრედია)
17. **გია მეფარიშვილი** - კინოთეატრის დირექტორი (ტყიბული)
18. **რუსუდან გიორგაძე** - ტყიბულის კულტურის განყოფილების გამგე
19. **ბონდო კუბლაშვილი** - ტყიბულის გამგებელი
20. **ნანა დოლონაძე** - კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი
21. **პაატა მილორავა** - კინორეჟისორი
22. **ბელა მოსია** - ზუგდიდის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე
23. **ლალი მოსია** - (ზუგდიდი)
24. **ასმათ ასათიანი** - ზუგდიდის კულტ. საქ. სამსახურის უფროსის მოადგილე
25. **ლევან მგელაძე** - კინოთეატრის დირექტორი (ოზურგეთი)
26. **ზაურ ოსეფაშვილი** - ჩოხატაურის რაიონის გამგებელი
27. **ლია ურუშაძე** - ლანჩხუთის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე
28. **ბაგრატ თავბერიძე** - ბათუმის ხელოვნების სახ. ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, კინოთეატრ "იბერიის" დირექტორის მოადგილე
29. **მარინა კერესელიძე** - კინომემკვიდრეობის დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი
30. **დინარა მაღლაკელიძე** - კინომცოდნე, დოქტორი
31. **ნანული თვაური** - მხატვარი
32. **ნონა გიუნაშვილი** - რეჟისორი
33. **არზუ ელიფ-აქდემირი** - რეჟისორი
34. **თემურ ფაილოძე** - თეატრისა და კინოს სახ. უნივერსიტეტის სტუდენტი
35. **ალექსანდრე ქორიძე** - რეჟისორი
36. **იური მგალობლიშვილი** - კინომცოდნე
37. **ნათია მიქელაძე** - გოეთეს ინსტიტუტის თანამშრომელი
38. **დ. ნოზაძე** (თბილისი)
39. **ერიკა გრეგორი** - კინომცოდნე (ბერლინი)
40. **ულრიხ გრეგორი** - კინომცოდნე (ბერლინი)
41. **ერნსტ შტაინჰოფი** - ბრემენის მუნიციპალური კინოთეატრის წარმომადგენელი
42. **კლაუს ედერი** - კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი
43. **გაგა ჩხეიძე** - კინოხელოვნების ცენტრ "პრომეთეს" დირექტორი
44. **ნინო ანჯაფარიძე** - ხელოვნებათმცოდნე

# ეროვნული მუზეუმის დირექტორს 10 იანვრამდე დაამტკიცებენ

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი ახლად შექმნილი ეროვნული მუზეუმის დირექტორს 10 იანვრამდე დაამტკიცებს. ამ თანამდებობას სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, პროფესორი დავით ლორთქიფანიძე დაიკავებს.

ეროვნულ მუზეუმში ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი, ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა), თბილისის ღია ცის ქვეშ ეთნოგრაფიული და ვანის მუზეუმები გაერთიანდა.

*მედიანიუსი*



# ის, რაც 2005-ში აღარ გამეორდება

## დანაკლისი

*გრაფიკული ახალი ამბების სააგენტომ Graphic News-მა გაიხსენა ყველა ის დიდი ადამიანი, რომლებიც 2004 წელს გარდაიცვალნენ:*




1. **რონალდ რეიგანი.** 93 წლის ასაკში აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი 5 ივნისს გარდაიცვალა. ათი წლის განმავლობაში ის ალცჰაიმერის დაავადებით იტანჯებოდა. რეიგანის საზოგადოებრივ პანაშვიდს მრავალი ცნობილი პირი და სახელმწიფო მოღვაწე დაესწრო. ყველა იხსენებდა მის დიდ დამსახურებას ცივი ომის დასრულებაში და იმ რწმენის გაღვივებაში, რომ "ამერიკაში კვლავ დილა დადგა".

2. **ჯანეტ ლი.** ამ მსახიობ ქალს ყველა იცნობს. საკმარისია, გავიხსენოთ ალფრედ ჰიჩკოკის "ფსიქოდან" აბაზანის საზარელი სცენა, რომ ჯანეტ ლიც თვალწინ დაგვიდგება. 77 წლის ასაკში მსახიობი 3 ოქტომბერს გარდაიცვალა. მისი ეპიზოდი "ფსიქოში" კი კინემატოგრაფის ისტორიაში კლასიკურ მომენტად იქცა. ჯანეტ ლი გახლდათ ჰოლივუდის ვარსკვლავის ჯეიმი ლი კერტისის დედა.

3. **2004 წელს გარდაიცვალა "დნმ"-ის ორი პიონერი.** წარმოშობით ბრიტანელი მეცნიერი ფრენსის კრიკი (მარცხნივ), რომელმაც ამერიკელ კოლეგასთან ჯეიმს უატსონთან ერთად აღმოაჩინა "დნმ"-ის ბისპირალური სტრუქტურა (double helix structure). ბიძგი მათ მორის უილკინსის (მარჯვნივ) ნაშრომში იპოვეს. უილკინსის მიერ შემუშავებული - რენტგენის სხივების გარდატეხვის ტექნიკის წყალობით მათ "დნმ"-ის იმდენად ნათელი სურათები მოიპოვეს, რომ ზუსტად შეძლეს გაერჩიათ იმიჯზე თითოეული ხაზი და ქსოვილი. წარმოშობით ახალზელანდიელი უილკინსის რენტგენის სხივებით განხორციელებულმა შემდგომმა კვლევებმა კი კრიკ-უატსონის ნაშრომი უფრო სრულყოფილი გახადა. უკვე 1962 წელს კი მათ სამივეს ერთად გადასცეს ნობელის პრემია მედიცინის დარგში. 87 წლის უილკინსი 5 ოქტომბერს გარდაიცვალა. ფრენსის კრიკი კი 88 წლის ასაკში - 29 ივლისს.

4. **პიტერ უსტინოვი.** მსახიობი, რომელსაც სიცოცხლეშივე მიენიჭა ბრიტანეთის იმპერიის წოდება და სერი გახდა. კაცი, რომელმაც მოიპოვა ორი "ოსკარი", იყო სცენარისტი, მწერალი და ჟურნალისტი. 82 წლის ასაკში უსტინოვი 29 მარტს გარდაიცვალა. მას ასევე იცნობდნენ, როგორც დიდ ქველმოქმედს, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ უსტინოვი UNICEF-ის ელჩიც გახლდათ.

უსტინოვი რუსი მშობლების ოჯახში ლონდონში დაიბადა. მას შესრულებული აქვს ერთმანეთისგან ძალიან განსხვავებული მრავალი როლი: ის ხან იმპერატორ ნეროს განასახიერებდა, ხანაც - ბელგიელ დეტექტივს ჰერკულ პუაროს.

5. **რეი ჩარლზი.** კაცი-ლეგენდა რიტმ-ენ-ბლუზიდან ღვიძლის მწვავე დაავადებით 73 წლის ასაკში 10 ივნისს გარდაიცვალა. გლაუკომის გამო სახელგანთქმული მუსიკოსი ექვსი წლისა დაბრმავდა. უამრავი სტრესის მიუხედავად, რეი ჩარლზმა მაინც საოცრად ლაღი და თავისუფალი მელოდიებით დაამახსოვრა მსმენელს თავი. Georgia on My Mind, Hit the Road Jack, I Can't Stop Loving You... - ეს ის სიმღერებია, რომლებიც პოპ-მუსიკას ხანგრძლივად შეუნარჩუნებს რეი ჩარლზის სახელს. 2004 წელსვე ამერიკულ კინოთეატრებში გამოვიდა მხატვრული ფილმი "რეი", რომელიც მუსიკოსის ბიოგრაფიის მიხედვით არის გადაღებული. სურათი ბლოკბასტერების ნუსხაშიც ლიდერობდა.

6. **მარლონ ბრანდო.** კიდევ ერთი ლეგენდა, რომელმაც კინოფილებს დასწყვიტა გული. 80 წლის ბრანდო 1 ივლისს გარდაიცვალა. თავისი თაობის უდიდესი მსახიობი "ოსკარზე" რვაჯერ იყო წარდგენილი, ორჯერ ეს ჯილდო მოიპოვა კიდეც - 1954 წელს ფილმისთვის On the Waterfront და 1972 წელს სურათისთვის "ნათლია". მიუხედავად იმისა, რომ მუდამ სისხლსავსე, სრულყოფილ, ხშირად დრამატულ პერსონაჟებს ქმნიდა, თავად ბრანდოს ცხოვრებაც ზედგამოჭრილია ბობოქარი ეპიზოდებით სავსე კინოსურათისთვის. მას სამი ცოლი და უამრავი საყვარელი ჰყავდა. დარჩა 11 შვილი. გაუძლო რამდენიმე ოჯახურ ტრაგედიას, ბოლო წლებში კი განდეგილივით დაიწყო ცხოვრება, თავისი ქონების უდიდესი ნაწილი გაანიავა და წონაშიც საშინლად მოიმატა. მისივე ანდერძის თანახმად, მარლონ ბრანდოს ფერფლი ტაიტის კუნძულებზე მიმოაფრქვიეს.

7. **ალისტერ კუკი.** ვეტერანი ტელეწამყვანი და მწერალი 95 წლის ასაკში 30 მარტს გარდაიცვალა, რადიო "ბი ბი სი"-ს გადაცემა "წერილი ამერიკიდან" წამოსვლიდან რამდენიმე კვირის შემდეგ. "ბი ბი სი"-ს მსმენელებმა კარგად იციან, რომ ეს გადაცემა მთელი 58 წლის განმავლობაში გადიოდა ეთერში. 15-წუთიან ყოველკვირეულ პროგრამას 50-მდე ქვეყანა იღებდა. ალისტერ კუკი დიდი მონდომებით ამოწმებდა ხოლმე ამერიკული ცხოვრების პულსს და აშუქებდა ისტორიულ მოვლენებს - ჯონ კენედის მკვლელობიდან 11 სექტემბრის ჩათვლით.

8. **ესტე ლაუდერი.** ამ ქალბატონს კოსმეტიკის დედოფალსაც ეძახდნენ. ქალი, რომელმაც ბიძის რეცეპტით შექმნილ კრემებზე 10-მილიარდიანი პარფიუმერიული იმპერია დააფუძნა, 95 წლის ასაკში 25 აპრილს გარდაიცვალა. ესტე ლაუდერს ბიზნესის უტყუარი ალღო აღმოაჩნდა. ის ერთადერთი ქალბატონი იყო, რომელიც ფიგურირებდა 1998 წელს ჟურნალ "თაიმის" მიერ შედგენილ ნუსხაში - "მეოცე საუკუნის ყველაზე გავლენიანი ბიზნესმენების ოცეული".

9. **კრისტოფერ რივი.** ამ სახელთან მაყურებლისთვის ერთადერთი პერსონაჟი - "სუპერმენი" ასოცირდება. თუმცა, ჰოლივუდურ რეალობაში დიდების მოსაპოვებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა. კრისტოფერ რივმა ხომ მართლა სუპერმენივით შესწირა თავი კინოს: გადაღებების დროს ის ცხენიდან ჩამოვარდა და სამუდამოდ დაინვალიდდა. თუმცა, ნებისყოფით სავსე მსახიობი სულით არ დაცემულა. მან დააარსა ზურგის ტვინის გამოკვლევისთვის საჭირო ფონდი, რომელიც გათვლილია როგორც დამბლის გამოკვლევის, ისე ამ დაავადების მკურნალობისთვის. კრისტოფერ რივმა ისიც კი მოახერხა, რომ მსგავსი სამეცნიერო კვლევა ამერიკული პოლიტიკის დღის წესრიგის ნაწილადაც ექცია.

მსახიობი 52 წლის ასაკში 10 ოქტომბერს გარდაიცვალა. მას გულმა უმტყუნა.

10. **ჯონ ფილი**, ბრიტანელი წამყვანი, რომლის ენთუზიაზმის წყალობით მრავალმა ვარსკვლავმა მოიპოვა მსოფლიო დიდება. ფილი თავისი რადიოშოუთი წინსვლასა და პირველ "გარღვევაში" ყველას ეხმარებოდა - ჯიმი ჰენდრიქსსაც, დევიდ ბოუისაც, ჯგუფებს - The Smiths-საც და White Stripes-საც. ფილი პროპაგანდას უწევდა ცალკეულ მუსიკალურ ჟანრებსაც. სანამ რეგე, ჰიპ-ჰოპი და პანკი მთავარ მუსიკალურ დინებაში მოხვდებოდა, ბრიტანელი წამყვანი მათი პოპულარიზაციისთვის ძალებს არ იშურებდა. მთელი 30 წლის განმავლობაში მას შოუბიზნესზე უდიდესი გავლენა ჰქონდა. 65 წლის "მუსიკის აქტივისტი" 25 ოქტომბერს გარდაიცვალა.

11. **ფენი ბლენქერს-კოენი**, ლეგენდარული ჰოლანდიელი ათლეტი, რომელიც 85 წლის ასაკში 25 იანვარს გარდაიცვალა. 30 წლის ასაკში ეს მარტოხელა დედა გახდა ერთადერთი ქალბატონი, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებზე ინდივიდუალურ ასპარეზობაში ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა. ეს 1948 წელს, ლონდონში მოხდა. მას შემდეგ ბლენქერს-კოენმა ოცი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. 1999 წელს კი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ის მეოცე საუკუნის საუკეთესო ქალ ათლეტად დაასახელა.

12 საშა დისტელი - 71 წლის მომღერალი 22 ივლისს სიმსივნესთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ გარდაიცვალა. ბრიჯიტ ბარდოსთან და ჯულიეტ გრეკოსთან ურთიერთობის გარდა, მან 60-70-იან წლებში ჰიტების მთელი სერიით გაითქვა სახელი. თუმცა, ამ სახელსა და გვარს ყველაზე მეტად მაინც სიმღერის Raindrops Keep Falling On My Head-ის შესრულების გამო იცნობენ.

13. **ანრი კარტიე-ბრესონი.** კრიტიკოსთა დიდი ნაწილი მას ფოტოჟურნალისტიკის ფუძემდებლად მიიჩნევს. 95 წლის ფოტოლეგენდა 2 აგვისტოს სამხრეთ საფრანგეთში გარდაიცვალა. რობერტ კაპასთან და დევიდ სეიმურთან ერთად დღეს სახელგანთქმული და პრესტიჟული ფოტოსააგენტო "მაგნუმი" მან 1947 წელს ჩამოაყალიბა. მის შემოქმედებას უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. თითქმის ოცწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში კარტიე-ბრესონი უამრავ თემას აშუქებდა - ჩინეთში მაო ძედუნის გამარჯვებით დაწყებული და მაჰათმა განდის მკვლელობით დამთავრებული. კარტიე-ბრესონმა საქართველოშიც იმოგზაურა. ასე რომ, ამ ფოტოგრაფთან ქართველებსაც განსაკუთრებით ძვირფასი მოგონებები აკავშირებთ.

14. **ფეი ვრეი.** გიგანტური გორილას კინგ-კონგის მკლავებში მოქცეული ქერა ლამაზმანი ნიუ იორკის ცათამბჯენების ფონზე - ეს ეპიზოდი კინემატოგრაფის ისტორიაში ერთ-ერთი გადამწყვეტია. ფეი ვრეი კი სწორედ ის ლამაზმანია, რომელიც რეჟისორმა გორილას მკლავებისთვის გაიმეტა. ჟურნალისტებთან საუბარში მსახიობი იხსენებდა, თუ როგორ დაჰპირდა მას რეჟისორი, რომ ფილმში ჰოლივუდის "ყველაზე მაღალ, შავგვრემან მამაკაცთან" ერთად გადაიღებდა და როგორ ბოლომდე სჯეროდა ვრეის, რომ ეს მამაკაცი კინგ-კონგი კი არა, კლარკ გეიბლი იქნებოდა.

15. **იასირ არაფატი.** პალესტინის ლიდერს მისი ხალხი ლამის 40-წლიანი ბრძოლის სიმბოლოდ აღიქვამდა. თუმცა, დანარჩენებისთვის ის რეგიონის ყველაზე საშიში ტერორისტი იყო. 75 წლის არაფატი 11 ნოემბერს ფრანგულ სამხედრო ჰოსპიტალში გარდაიცვალა. მისი გვამი ქაიროში გადაასვენეს, სადაც პანაშვიდს სახელმწიფო ლიდერები ესწრებოდნენ. არაფატი რამალაში დაკრძალეს.

ფეხბურთი

# ლუშემბურგოს ბრაზილიური ფილოსოფია

"რეალის" ვარსკვლავების უფლებები იქ მთავრდება, საიდანაც ჩემი იწყება"

2004 წლის უკანასკნელი დღეები მეტად მნიშვნელოვანი იყო მადრიდის "რეალისთვის". გუნდში საკმაოდ მასშტაბური ცვლილებები განხორციელდა და ახალ, 2005 წელს, ჩვენ უკვე სახეშეცვლილ "რეალს" ვიხილავთ, ახალი მენეჯერით, ახალი მწვრთნელითა და ახალი ფეხბურთელებით.

პირველი მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც სამეფო კლუბის რიგებში მოხდა, სპორტული დირექტორის ემილიო ბუტრაგენიოს ვიცე-პრეზიდენტად გადაყვანა, მის ადგილზე კი წარსულში სახელგანთქმული იტალიელი მწვრთნელის არიგო საკის დანიშვნა იყო. თუმცა, ბუტრაგენიოსგან განსხვავებით, იმ თანამდებობას, რომელსაც ახლა საკი იკავებს, სპორტული დირექტორის სანაცვლოდ საფეხბურთო დირექტორი ეწოდება.

მართალია, არიგო საკი აცხადებდა, რომ ის სრულ თანადგომას უცხადებდა კლუბის იმჟამინდელ მწვრთნელს მარიანო გარსია რემონს, თუმცა, სწორედ საკის მოსვლას მოჰყვა რემონის გათავისუფლება. 2004 წლის 30 დეკემბერს ცნობილი გახდა, რომ რემონი მთავარი მწვრთნელის თანამდებობას დატოვებდა და მის ადგილს ბრაზილიური "სანტოსის", წარსულში კი ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი ვანდერლეი ლუშენბურგო დაიკავებდა. ეს უკანასკნელი იმავე დღეს, 30 დეკემბერს ჩაფრინდა მადრიდში და რამდენიმე საათის შემდეგ სამეფო კლუბთან კონტრაქტი გააფორმა. მოგვიანებით ითქვა, რომ ყველაფერი 24 საათში გადაწყდა...

მანამ, სანამ "რეალი" ლუშენბურგოს "წაართმევდა" "სანტოსს", მადრიდელებმა ბრაზილიური კლუბის ვუნდერკინდს რობინიოს დაადგეს თვალი. "სანტოსი" რობინიოს გაშვებაზე ყოყმანობდა, თუმცა, მას შემდეგ, რაც ლუშემბურგო "რეალის" მწვრთნელად დაინიშნა, რობინიოს პრობლემაც მოგვარდა. ახალგაზრდა ფეხბურთელმა თამაშის გაგრძელება სწორედ ლუშემბურგოსთან ანუ "რეალში" ისურვა. "სანტოსი" რობინიოს სურვილს წინ ვეღარ აღუდგა და დათანხმდა, რომ თავისი უკაშკაშესი ვარსკვლავი ივლისიდან "რეალში" გაუშვას.

რობინიოს სახით მადრიდელებს ივლისში კიდევ ერთი თავდამსხმელი შეემატებათ, თუმცა, უკვე გადაწყვეტილია, რომ მიმდინარე ზამთრის სატრანსფერო პერიოდში "რეალი" საყრდენ ნახევარმცველს იყიდის. თუ ვინ იქნება ეს, ჯერ უცნობია.

მანამდე კი მადრიდელი გულშემატკივარი გამალებული ელის, თუ როგორი გახდება "რეალი" მათი ახალი მწვრთნელის ხელში. ლუშემბურგოს დებიუტი დღეს საღამოს შედგება, თუმცა, ბრაზილიელი მწვრთნელის "ნახელავით" მხოლოდ 7 წუთს დავტკბებით. "რეალი" და "სოსიედადი" დღეს იმ მატჩის უკანასკნელ წუთებს ითამაშებენ, რომელიც დეკემბერში ტერორისტული აქტის მუქარის გამო შეწყდა.

მადრიდის "რეალის" მთავარი მწვრთნელის ამპლუაში თავის პირველ პრესკონფერენციაზე ლუშემბურგომ ამ მეტად უჩვეულო დებიუტზეც ისაუბრა, თავის საფეხბურთო ფილოსოფიაზეც და მომავალ გეგმებზეც.

**- რას გრძნობთ მადრიდის "რეალში" მოსვლის გამო?**

- ძალიან ბედნიერი და კმაყოფილი ვარ. ბრაზილია პირველად მივატოვე, რათა ევროპული კლუბი გავწვრთნა, მაგრამ პასუხისმგებლობის არ მეშინია. ეს არის შანსი იმისა, რომ ჩემს კარიერაში ახალი, დიდებული მომენტები განვიცადო. ფეხბურთში ჩემთვის ოთხი ფაქტორია უმთავრესი: დისციპლინა, ერთიანობა, შრომა და პროფესიონალიზმი. სწორედ ეს ფაქტორები განსაზღვრავენ წარმატებას.

**- თქვენმა ყოფილმა კლუბმა კონტრაქტის გაგრძელება შემოგთავაზათ, მაგრამ "რეალის" წინადადებაზე უარის თქმა, ალბათ, ძალიან ძნელია.**

- "სანტოსთან" ხელშეკრულების გაგრძელების თაობაზე მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი, მაგრამ "რეალიდან" მიღებული მოწვევა ჩემს პროფესიულ კარიერაში ახალი შანსი იყო და "სანტოსში" ეს კარგად ესმოდათ. მათ არავითარი სიძნელე არ შეუქმნიათ ჩემთვის და უპრობლემოდ გამომიშვეს.

**- მწვრთნელის ამპლუაში თქვენ უდიდეს მწვერვალებს მიაღწიეთ: ბრაზილიის ნაკრებს ხელმძღვანელობდით, ახლა კი მსოფლიოს უდიდეს კლუბს ჩაუდექით სათავეში.**



ლუშემბურგო "რეალისთვის" მომწიფდა.

- დიახ, ჩემს კარიერაში მართლაც მნიშვნელოვან რამეებს მივაღწიე. მე ბრაზილიის ნაკრებს ვწვრთნიდი, ეს კი ყველაზე პრესტიჟული თანამდებობაა ჩემს ქვეყანაში. ახლა მადრიდის "რეალს" ჩავუდექი სათავეში, რაც მსოფლიოს ნებისმიერი მწვრთნელის ოცნებაა. მიღწევები მართლაც შთამბეჭდავია.

**- რა უნდა შეიცვალოს "რეალში"?**

- კლუბი კარგად უნდა გავიცნო, რომ გავიგო, თუ რა ხდება აქ.

**- ამბობენ, რომ მკაცრი მწვრთნელი ხართ. მართალია?**

- მკაცრი არა, მე პროფესიონალი ვარ. სწორედ ეს არის წარმატების გასაღები.

**- იცნობთ თუ არა "რეალის" ვარსკვლავებს? როგორი ურთიერთობა გექნებათ მათთან?**

- საქმე ძალიან მარტივადაა: "რეალის" ვარსკვლავების უფლებები იქ მთავრდება, სადაც ჩემი იწყება. მათთან ურთიერთობა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. სჯობს, დიდ ფეხბურთელებთან იმუშაო, ვიდრე საერთოდ არ გყავდეს ასეთები. მთავარია, ერთმანეთს პატივისცემით მოვეპყრათ. მოთამაშეებმა თავი უნდა გაწირონ საკუთარი გუნდისთვის.

**- ამ გუნდში თქვენი თანამემამულეები - რონალდო და რობერტო კარლოსი თამაშობენ. ეს საქმეს გაგიადვილებთ?**

- დიახ, რობერტოს ჯერ კიდევ "პალმეირასში" ვავარჯიშებდი, როდესაც ის ძალიან პატარა იყო. შემდეგ ნაკრებშიც მოგვიხდა ერთად მუშაობა. მაგრამ პროფესიონალური ურთიერთობები რონალდოსთან, კარლოსთან, ბექჰემთან, ფიგუსთან და ყველა დანარჩენ ფეხბურთელთან არ არის ეროვნებაზე დამოკიდებული. ყველას ერთნაირად უნდა მოვექცე.

**- კარგი შედეგების მიღწევას, იმავდროულად, ლამაზი ფეხბურთით შეეცდებით?**

- ჩემი საფეხბურთო კულტურა ბრაზილიურ ფეხბურთს ეფუძნება: ტექნიკას და კლასს. მაგრამ ეს კომპონენტები დისციპლინასთან, ტაქტიკასთან და სხვა ფაქტორებთან უნდა გავაერთიანოთ. გუნდი ძლიერად უნდა იყოს მომზადებული და ხარისხიანი ფეხბურთი ითამაშოს. ამისთვის ბევრი შრომაა საჭირო.

**- რაიმე მიზნები უკვე დაისახეთ? ტიტულს თუ ვერ მოიპოვებთ, გადადგებით?**

- წინ ნელ-ნელა უნდა წავიდეთ, ნაბიჯ-ნაბიჯ, რადგან შეუძლებელია ყველაფრის ერთბაშად გაკეთება. თავდაპირველად ქვეყნის ჩემპიონატში უნდა გამოვისწოროთ მდგომარეობა, შემდეგ კი ჩემპიონთა ლიგისთვის მოვემზადოთ. ტიტულებს არ გპირდებით. მე მხოლოდ დიდ შრომას გპირდებით, რათა ეს ტიტულები მოვიგოთ. არ მიყვარს მოვლენების დაჩქარება. და, საერთოდ, რატომ უნდა გავაკეთო ეს? მე რატომ უნდა დავისახო მიზნები? ეს ყველამ ერთად უნდა გავაკეთოთ. ჩვენ ერთ მთლიან ორგანიზმად უნდა ვიქცეთ.

**- "ბარსელონასთან" 13 ქულა გაშორებთ. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია მათი დაწევა, თუ სხვა ტურნირებზე კონცენტრირება ჯობს?**

- წინა სეზონში "ბარსელონამ" ცუდი სტარტი აიღო, მაგრამ შემდეგ მოგება დაიწყო და ზემოთ აიწია. ფეხბურთში ყველაფერი შესაძლებელია. ახლავე გეტყვით, რომ ტურნირის ამ სტადიაზე მასზე უარის თქმა სისულელე იქნებოდა. ასეთ ხანგრძლივ ტურნირზე სამ გამარჯვებას ყველაფრის შეცვლა შეუძლია. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, იქ ჩვენ მეოთხედფინალში გასვლის ისეთივე შანსი გვაქვს, როგორიც "იუვენტუსს".

**- რას იტყვით იმ სამწვრთნელო შტაბზე, რომელიც თქვენთან ერთად მოვიდა "რეალში"?**

- მე აქ ჩემს თანაშემწესთან და ფიზმომზადების მწვრთნელთან ერთად მოვედი. ყველაფრის შეცვლას აზრი არა აქვს, რადგან იმ ხალხს, ვინც აქ ჩვენამდე მუშაობდა, დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია.

**- ასე სწრაფად რატომ დათანხმდით "რეალის" წინადადებაზე?**

- ფეხბურთი სწრაფი თამაშია. ყველაფერი დაიწყო და დამთავრდა 24 საათის განმავლობაში. ამ წინადადებისთვის მზად ვიყავი, რადგან ამისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე ვმუშაობდი. ვგრძნობ, რომ საამისოდ მოვმწიფდი.

# ბრიგელს ალბანეთის სწამს

*ალბანეთის ნაკრების გერმანელ მწვრთნელს ჰანს-პეტერ ბრიგელს სწამს, რომ ალბანურ ფეხბურთს დიდი მომავალი აქვს. მოგეხსენებათ, ალბანეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენი ქვეყნის ნაკრების მეტოქეა, ამიტომ ვფიქრობთ, საინტერესო იქნება, რას ამბობს ალბანელთა მწვრთნელი საკუთარ გუნდზე.*

ალბანეთის ნაკრებისთვის შესარჩევი ტურნირის უფრო უკეთესი დასაწყისი ძნელი წარმოსადგენი იყო. ჯგუფური ტურნირის პირველივე შეხვედრაში ბალკანელებმა - 2:1 დაამარცხეს ევროპის ჩემპიონი საბერძნეთის ნაკრები. არადა, ოტო რეჰაგელის გუნდის პორტუგალიური ტრიუმფი ჯერ კიდევ ცხელი ამბავია და ბერძნებიც ბალკანეთის ნახევარკუნძულის ამ პატარა ქვეყანაში იოლი გასეირნების იმედით ჩავიდნენ. თუმცა, გერმანელი სპეციალისტის ჰანს-პეტერ ბრიგელის ახალგაზრდა გუნდი სერიოზულად განეწყო თამაშისთვის და კონტინენტის საუკეთესო გუნდი დაამარცხა.

"ეს დიდი დღე იყო ჩემი ნაკრებისა და პირადად ჩემთვის, როგორც ალბანეთის ნაკრების მწვრთნელისთვის, - განაცხადა ჰანს-პეტერ ბრიგელმა, - ევროპის ჩემპიონების დამარცხება - ეს მართლა ძალიან კარგია. თუმცა, ისევე როგორც ნებისმიერი მოგება, ამ გამარჯვებამ ჩვენ მხოლოდ სამი ქულა მოგვიტანა. არც მეტი და არც ნაკლები. ამიტომ ეს ჩვენი ტრიუმფი წარსულს ჩაბარდა და ახლა მხოლოდ წინ ვიყურებით".

ოთხ ტურში ალბანეთის ნაკრებმა მეორე შესარჩევ ჯგუფში 6 ქულა მოაგროვა და ამჟამად სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზეა. გუნდი ხუთი ქულით ჩამორჩება ჯგუფის ლიდერს, უკრაინის ნაკრებს. თურქებსა და ბერძნებს კი ალბანეთს მოკლე მანძილი აშორებს და მათაც სწამთ, რომ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლისთვის ბრძოლა შეუძლიათ.

თუმცა, ბრიგელისთვის სასწორზე უფრო მეტი დევს, ვიდრე მხოლოდ ფინალურ ეტაპზე გასვლაა. "ჯგუფში ჩვენი მდგომარეობა ჩემთვის უმნიშვნელოვანესი არ არის, - განაცხადა ალბანელთა მწვრთნელმა, - ჩემთვის ნაკრების პროგრესი უფრო მნიშვნელოვანია. მინდა, ალბანეთის ნაკრების მომავალ წარმატებებს საფუძველი ჩავუყარო".

მწვრთნელის თქმით, ალბანეთში ფეხბურთის შემდგომი განვითარების გზაზე მთავარი წინაღობა ცუდი ინფრასტრუქტურაა. "ალბანური ფეხბურთის ინფრასტრუქტურა სხვა ქვეყნებთან შედარებით უაღრესად მძიმე მდგომარეობაშია, - ამბობს მწვრთნელი, - თუმცა, ორი წლის წინათ ყველაფერი გაცილებით უარესად იყო".




49 წლის გერმანელმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ორი წლის წინათ ის ალბანეთის ნაკრებს ჩაუდგა სათავეში, გუნდმა შესამჩნევი პროგრესი განიცადა, მაგრამ სამუშაო დღესაც თავზე საყრელად აქვს. და მაინც, ბრიგელს ყურები არ ჩამოუყრია. "მე არ შემიძლია სასწაული მოვახდინო, მაგრამ ოცნების უფლება ყველას აქვს, - განაცხადა მან, - ალბანეთს შეუძლია, ნებისმიერ მეტოქეს გაუმკლავდეს, მაგრამ უშრომელად მდინარეში თევზსაც ვერ დაიჭერ".

"ძალიან ძნელია ძლიერი გუნდი შეკრა მხოლოდ ადგილობრივ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებისგან, რადგან ქვეყანაში არსებული მძიმე ინფრასტრუქტურა ფეხბურთელების ზრდას თავის დაღს ასვამს, - თქვა ბრიგელმა, -პროგრესის მიღწევა მათ უფრო უჭირთ, ვიდრე იმ თანამემამულეებს, რომლებიც უცხოეთში თამაშობენ ან ოდესმე საზღვარგარეთ უთამაშიათ".

შესარჩევ ჯგუფში სამი მომდევნო მატჩი ალბანეთის ნაკრებისთვის მათი პროგრესის საზომი გახდება. ბალკანელებს ჯერ ჯგუფის ფავორიტი უკრაინა შეხვდება. მატჩი ტირანაში გაიმართება. შემდეგ კი ბრიგელის გუნდს ორი უმძიმესი გასვლა უწევს თურქეთსა და საბერძნეთში. ალბანელები ამტკიცებენ, რომ სწორედ ამ სამი მატჩის შედეგზე იქნება დამოკიდებული შესარჩევი ციკლის მთელი კომპანია.

"იდეალში სასურველი იქნება, ამ სამ მატჩში 9 ქულა მოვიპოვოთ, მაგრამ ხშირად ოცნება ოცნებად რჩება, - თქვა ჰანს-პეტერ ბრიგელმა, - საერთოდ, მე იშვიათად ვითვლი სამი მატჩით წინ, მაგრამ უაღრესად კმაყოფილი ვიქნები, თუ ამ სამ შეხვედრაში 5 ქულას ავიღებთ. ეს ქულები ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლისთვის ბრძოლაში ძალიან დაგვეხმარება".

უკრაინა ძალიან ძლიერი გუნდია და შესანიშნავ ფორმაშია. თუმცა, 9 თებერვლისთვის შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს, - დაამატა მწვრთნელმა, - ზუსტი შედეგის თქმა გამიჭირდება, მაგრამ ანგარიშით - 3:0 ისინი ვერ დაგვამარცხებენ. ანდრეი შევჩენკო უმაღლესი კლასის ფორვარდია, მაგრამ ჩვენ მისი ნეიტრალიზება მაინც შეგვიძლია. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ტრავმები გუნდს არ შეაწუხებს".

ალბანეთისგან სასწაულს არავინ ელის, მაგრამ ბრიგელს, რომელმაც "ვერონასთან" ერთად 1984-1985 წლების იტალიის ჩემპიონატი მოიგო, სურს, გულშემატკივართა ეს ვარაუდი ცოტათი შეცვალოს. "ფავორიტად ყველას უკრაინა, დანია და საბერძნეთი მიაჩნია. ალბანეთისკენ კი არავინ იყურება, - თქვა ბრიგელმა, - ჩვენი უპირატესობაც სწორედ ეს არის. ჩვენ შეგვიძლია, ყველა გავაოცოთ".

# იაროშიკი ლონდონშია

მოსკოვის ცსკა-ს ჩეხი ნახევარმცველი ირჟი იაროშიკი ლონდონში გადაფრინდა, სადაც "ჩელსისთან" მოლაპარაკებებს აწარმოებს. თუ მხარეები შეთანხმდებიან, კონტრაქტი შეიძლება დღესვე გაფორმდეს.

ჩეხური პრესა იუწყება, რომ იაროშიკი ინგლისის დედაქალაქში თავის აგენტებთან ერთად გაემგზავრა. გუშინ "ჩელსის" ფუნქციონერებთან შეხვედრა უნდა გამართულიყო. ამ შეხვედრას, როგორც ამბობენ, "ჩელსის" მწვრთნელი ჟოზე მოურინიოც უნდა დასწრებოდა.

ადრე გავრცელდა ცნობები, რომ "არისტოკრატთა" შემადგენლობაში გადასვლის წინააღმდეგი არც თვითონ ფეხბურთელი იყო. ჩეხეთის პრესას მან განუცხადა: "მე ვიცი, თუ რა დიდი ალერგია აქვთ "ჩელსის" წარმომადგენლებს ამგვარ ჭორებზე, მაგრამ თუ "ჩელსის" შესახებ მკითხავთ, გეტყვით, რომ საშობაოდ გარკვეული ინფორმაცია მივიღე".

"სტამფორდ ბრიჯზე" სავარაუდო გადასვლის შესახებ კი იაროშიკმა განაცხადა: "ახლა ჩემს თავს ვუმეორებ, რომ ეს იქნება საუკეთესო საშობაო საჩუქარი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ საჩუქარს იანვარში მივიღებ, მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული. მე ცსკა-სთან მაკავშირებს კონტრაქტი, რომელიც კიდევ სამ წელიწადს იმოქმედებს.

ლონდონის "ჩელსიში" იაროშიკის გადასვლის ისტორია საკმაოდ ბანალურია. იმ ინფორმაციის პარალელურად, რომ ინგლისელები ფეხბურთელით დაინტერესდნენ, გავრცელდა ცნობა, რომ რომან აბრამოვიჩი შეიძენს ყველა ფეხბურთელს, რომელიც მისკენ აიღებს გეზს. მეორე მხრივ, მყისვე გაჩნდნენ სკეპტიკოსები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ იაროშიკს "ჩელსიში" არაფერი ესაქმება. თუმცა, ალექსეი სმერტინის ისტორია სკეპტიკოსთა ამ მოსაზრებას აბათილებს.

არადა, მოსკოველთა კლუბის პრეზიდენტი ევგენი გინერი ამბობდა, რომ სეზონთაშორის პერიოდში გუნდს ლიდერები არ დატოვებენ. იაროშიკი კი, სავარაუდოდ, ამ კატეგორიის ფეხბურთელებს შეესაბამება.

"მე გარკვეული ინფორმაცია მაქვს, მაგრამ არ მინდა ვისაუბრო იმ საკითხებზე, რომლებიც ჯერჯერობით ბოლომდე გარკვეული არ არის. ბევრჯერ მსმენია სხვადასხვა გუნდის ასპროცენტიან ინტერესზე ამა თუ იმ ფეხბურთელის შესახებ, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, არაფერი ხდებოდა. მე ჩემი ცხოვრებითა და მოსკოვური კარიერით კმაყოფილი ვარ. "ჩელსის" საკითხი კი ჯერ ღიაა", - ამას წინათ განაცხადა ფეხბურთელმა.

ამასთან, ჩეხმა აღიარა: შესაძლოა, რომან აბრამოვიჩმა თავისი გავლენა გამოიყენოს იმისთვის, რომ კლუბსა და ფეხბურთელს შორის შეთანხმება მოხდეს. "მას (აბრამოვიჩს) მართლაც აქვს გავლენა ორივე კლუბზე. და თუ მე მართლა დავჭირდები ჟოზე მოურინიოს, თანახმა ვარ. მას შეუძლია, ორივე რუსის შეთანხმების იმედი ჰქონდეს", - ამბობს იაროშიკი.

2003 წლის დასაწყისში ირჟი იაროშიკი რუსეთის რეკორდსმენი გახდა, როგორც ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი. არმიელებმა ფეხბურთელში 3,7 მილიონი ევრო გადაიხადეს. იაროშიკმა კი მყისვე დაიწყო ამ თანხის შესაბამისი თამაში. მას გოლი გოლზე გაჰქონდა. თუმცა, რუსეთში გატარებული ნახევარი სეზონი ფეხბურთელის თამაშზე ნეგატიურად აისახა. მან თამაშის ხარისხს უკლო და ვერც ჩეხეთის ნაკრებში ხვდებოდა რეგულარულად. იაროშიკის აქტივში არც 2004 წლის სეზონის დასაწყისი შეიძლება შევიტანოთ. კარელ ბრიუკნერმა ფეხბურთელი ევროპის ჩემპიონატზე არ წაიყვანა.

თუმცა, სეზონის მეორე ნახევარში იაროშიკმა თამაშს მოუმატა და ჩემპიონთა ლიგის ტურნირისთვის სრულ მზადყოფნაში იყო. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი მან განაცხადა, რომ არასოდეს უთამაშია ისე კარგად, როგორც ამ სეზონში.

"ჩელსის" წინააღმდეგ ჯგუფურ ეტაპზე იაროშიკმა ორიდან მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა, რომელიც მოსკოვში გაიმართა. ის მინდორზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო, ხოლო ცსკა-ს სავსებით რეალურად შეეძლო მოეგო ის მატჩი ან, სულ ცოტა, ფრედ მაინც დაემთავრებინა, მაგრამ არმიელებმა თერთმეტმეტრიანი დარტყმა ვერ გამოიყენეს.

კრივი

# კლიჩკოებმა ტელეფონი აანჭრიალეს




ძმებ კლიჩკოებს ყურადღება არასდროს აკლდათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ვლადიმირმა და ვიტალიმ უკრაინის ოპოზიციის ლიდერის იუშენკოს, უფრო სწორად, ოპოზიციის მხარე დაიჭირეს, მათდამი ინტერესმა ორმაგად იმატა. უკრაინელი გიგანტები წინასაახალწლოდ რუსეთში გამომავალმა გაზეთმა "მოსკოვსკი კომსომოლეცმა" რედაქციაში მიიწვია და მკითხველს ტელეფონით მათთან გასაუბრების საშუალება მისცა. ვფიქრობთ, კლიჩკოებთან ინტერვიუ ქართველი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს.

**- ვიტალი, თქვენ ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი ბრძანდებით. როდესაც დისერტაციაზე მუშაობდით, რომელ ფილოსოფოსებს ეყრდნობოდით?**

- სპორტიც გარკვეულწილად ფილოსოფიაა. ასე რომ, მე მასაც ვეყრდნობოდი. როდესაც დისერტაციაზე ვმუშაობდი, მეცნიერთა საკმაოდ დიდ სპექტრს მოვიცავდი. შემიძლია, თითოეული ჩამოგითვალოთ, მაგრამ არ ვიცი, მათი სახელები რამეს თუ გეტყვით. მათ შორის პითაგორა გეცოდინებათ. იგი ფილოსოფოსიც გახლდათ და მოკრივეც (სხვათა შორის, ჭიდაობაში ოლიმპიური ჩემპიონიც იყო.-რედ.).

**- მეგონა, ჩამომითვლიდით ისეთ სახელებს, როგორებიცაა კანტი, ნიცშე, შოპენჰაუერი...**

- არც ერთი მათგანი სპორტის თემაზე არ მუშაობდა. დიდი სიამოვნებით ვეცნობოდი მათ ნაშრომებს, მაგრამ ჩემს საკანდიდატოსთან მათ საერთო არაფერი ჰქონიათ.

**- როგორ გრძნობთ თავს რუსეთში მას შემდეგ, რაც უკრაინაში ანტირუსულად გამსჭვალული ადამიანების პოზიცია დაიჭირეთ?**

- თქვენ იმ ადამიანების სიტყვებით მელაპარაკებით, რომლებმაც მცდარი ინფორმაცია მოგაწოდეს. უკრაინაში არასდროს ყოფილა და არც იქნება ანტირუსული განწყობა. მე და ვლადიმირი ვართ იმ მილიონობით უკრაინელს შორის, რომლისთვისაც რუსეთს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენი მშობლიური ენა რუსულია და აქ, რუსეთში, უცხოდ არ ვგრძნობთ თავს. მათ, ვინც ცდილობენ, რომ უკრაინასა და რუსეთს შორის ამერკა ჩააკვეხონ, თქვენნაირების იმედი აქვთ...

**- ვლადიმირ, ხომ ვერ გვეტყვით, რა მიზანი გაქვთ?**

- გავხდე მსოფლიო ჩემპიონი ვიტალისთან ერთად, ოღონდ სხვადასხვა ვერსიით. 2004 წელს ჩვენი მიზანი სანახევროდ განვახორციელეთ: ვიტალიმ ჩემპიონის ტიტული მოიპოვა (კრივის მსოფლიო საბჭოს ვერსიით, როდესაც ბრიტანელი დენი უილიამსი რვა რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა.-რედ.). ახლა ჩემი ჯერია. იმედი მაქვს, 2005 წელს მეც შევძლებ ჩემპიონობას.

**- პოლიტიკაზე მინდა გკითხოთ. საერთოდ, გჭირდებათ კი?**

- ვიტალი: რაში გვჭირდება პოლიტიკა? ჩვენ გვაქვს საკუთარი ქვეყანა და მოქალაქეობრივი უფლება, გავაკეთოთ საკუთარი არჩევანი და ჩვენ ეს გავაკეთეთ.

**- რელიგიასთან მიმართებაში როგორი ხართ?**

- ვეცდები, დავახასიათო საკუთარი დამოკიდებულება: მწამს ღმერთი...

**- გყავთ თუ არა სულიერი მოძღვარი, რომელსაც გაჭირვებისას მიმართავთ ხოლმე? ორთაბრძოლის წინ კურთხევას თუ იღებთ?**

- ვლადიმირი: კურთხევას მშობლებისგან ვიღებთ. ღმერთს კი გონებით მივმართავთ. სამწუხაროდ, ყველგან ვერ იპოვით მართლმადიდებლურ ეკლესიას...

**- საკუთარი პროფესიის გამო ღვთისმსახურისთვის თუ მიგიმართავთ?**

- დიახ. ერთმა ღვთისმსახურმა მითხრა, კარგი არაა, როდესაც მეორე ადამიანს ურტყამ და აშავებო. საუბრის ბოლოს კი თქვა: "ბოლო მატჩში რა კარგად მოადეო!" იქვე დასძინა, რომ ორივეს გვქომაგობს, თუმცა, ადამიანის ცემა მაინც ცუდიაო...

**- ლენოქს ლუისის რინგიდან წასვლის შემდეგ თქვენს ირგვლივ სიცარიელეს არ გრძნობთ?**

- არა. თითოეული მეტოქე ძლიერი და სახიფათოა. თითოეული ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მსოფლიო ჩემპიონი გახდეს. დღეს ძალიან ბევრმა დიდმა ვარსკვლავმა მიატოვა კრივი, მაგრამ ახალი თაობაც ხომ მოდის!

**- როდესაც ლუისს შეხვდით, კლასში სხვაობა თუ იგრძენით?**

- გულწრფელად გეტყვით, ლუისი ჩემს კარიერაში უძლიერესი მეტოქე იყო. მასთან ორთაბრძოლაში რომ სახე დამიშავდა, ასე არავისთან...

**- არაერთი მცდელობა იყო იმისა, რომ ლუისი რინგზე დაებრუნებინათ. თქვენთან მატჩის შესაძლებლობას ვგულისხმობ...**

- არ ვაპირებ, ის ყურებით მოვათრიო.

**- ის, რომ ლუისი წავიდა, სწორია?**

- სწორია, არასწორია... იცით, რომ ლუისი ყოველდღიურად ათობით და ასობით კითხვას იღებს კლიჩკოსთან მატჩ-რევანშზე? ეს ყველაფერი მას ძალიან აღიზიანებს. ისიც საკუთარ ქვეშევრდომებს მიგზავნის, მისივე რჩევა-დარიგებებით, თუ როგორ დამამარცხონ. თუ რომელიმე მათგანი დამამარცხებს, მატჩ-რევანშის საკითხი დღის წესრიგიდან ავტომატურად მოიხსნება. მაგრამ ფაქტია, ლუისის გეგმები ჯერაც განუხორციელებელია. იმედი მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს გულშემატკივართა წნეხს ველარ გაუძლებს და იძულებული გახდება, დაბრუნდეს იმისთვის, რომ მე შემებრძოლოს. თუ ასე მოხდება, ვეცდები ყველას დავუმტკიცო, რომ მაშინ, როდესაც გახეთქილი წარბისა თუ ღაწვის გამო ჩვენი ორთაბრძოლა შეაჩერეს, ლუისს აშკარად გაუმართლა, რომ ექიმის დამსახურებაა, რომ ის მსოფლიო ჩემპიონად დარჩა...

კალათბურთი

# იუგი, თან პროფი

სანდრო ნავერიანი



რა უნდა ქნა, როდესაც შენი გუნდი აგებს, ხოლო მატჩის დამთავრებამდე ხუთიოდე წუთია დარჩენილი? ალბათ, მოედანზე უნდა გამოიყვანო ყველა ის კალათბურთელი, რომლებსაც ლიდერობა შეუძლიათ. შეტევითი ხაზი უნდა გააძლიერო. ფორვარდებმა მოუმზადებლად ფარში არ უნდა ისროლონ, დაცვის ხაზმა კი უფრო მჭიდროდ ითამაშოს. უნდა გამოიყენო ვარჯიშზე გათამაშებული კომბინაციები... მოკლედ, დავალება არც ისე ადვილი შესასრულებელია, მაგრამ ეს ყველაფერი მაშინ არის ადვილი, თუ გუნდში დეჟან ბოდიროგა გყავს. ასეთ შემთხვევაში ერთადერთი, რისი გაკეთებაც მოთამაშეს უწევს, ესაა - ბურთი ბოდიროგას გადააწოდოს, დანარჩენზე თავად იუგოსლავიელი იზრუნებს და შეასრულებს კიდეც. ტყუილად ხომ არ შეურქმევიათ მატჩის უკანასკნელი წუთებისთვის "ბოდიროგას დრო". არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი წუთია დარჩენილი მატჩის დამთავრებამდე, ბოდიროგა მოატყუებს ერთს, მეორეს, მესამეს, ახტება და ბურთს კალათში ჩადებს. როგორც თავად ამბობს, ეს მისი საქმეა და, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ასი პროცენტით ასრულებს კიდეც.

პრაქტიკულად, უკანასკნელი წლების არც ერთ მაღალი დონის ტურნირს არ ჩაუვლია ბოდიროგას აქტიური მონაწილეობის გარეშე. 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში იუგოსლავიის ნაკრები არგენტინასთან მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე რვა ქულას აგებდა. არგენტინელებს მსოფლიო თასი გარანტირებული ეგონათ. ეჰ, კარგად არ იცნობდნენ ბოდიროგას, თორემ ამას როგორ იფიქრებდნენ? ბოდიროგამ ათი ქულა გააკეთა და დამატებითი დრო დაინიშნა. იუგებმა ის მატჩი მოიგეს და მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. იუგები ვერც 2001 წლის ევროპის ჩემპიონები გახდებოდნენ ბოდიროგას გარეშე. რომ არა დეჟან ბოდიროგა, ვერც "ბარსელონა" და "პანათინაიკოსი" ვერ გაიმარჯვებდნენ ევროლიგის გადამწყვეტ მატჩებში. ბავშვმაც კი იცის: "კალათბურთს ათი კაცი თამაშობს, მაგრამ იგებს ბოდიროგა". მართალია...

## ბიოგრაფია

დეჟან ბოდიროგა დაიბადა 1973 წლის 3 მარტს ბოსნიის პატარა ქალაქ ზრენივაცში. კალათბურთელის კარიერა ახალგაზრდულ გუნდ "პროლეტერში" დაიწყო. უმაღლეს ლიგაში პირველი მატჩი 17 წლის ასაკში ჩაატარა. უმაღლეს ლიგის სადებიუტო მატჩი გაერთიანებული იუგოსლავიის ჩემპიონატში გუნდ "ზადარის" შემადგენლობაში ითამაშა, სადაც სულ ორი სეზონი გაატარა. ამის შემდეგ (1992/93, 1993/94 წლებში) იტალიურ "სტეფანელში" (ტრიესტი) ირიცხებოდა. 1994/95, 1996/96 წლები მილანის "ოლიმპიაში" ითამაშა. მადრიდის "რეალში" 1996/97 და 1997/98 წლებში თამაშობდა. შემდეგ იყო საბერძნეთის "პანათინაიკოსი", სადაც ბოდიროგამ 1998/99-2001/02 წლების სეზონები გაატარა. 2002 წლიდან "ბარსელონას" ღირსებას იცავს.

იტალიის ჩემპიონი - 1995/96.

იტალიის თასის მფლობელი - 1995/96

საბერძნეთის სამგზის ჩემპიონი - 1998/99-2000/01

ესპანეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი - 2002/03

ევროლიგის სამგზის ჩემპიონი - 1999/00, 2001/02, 2002/03

საპორტას თასის მფლობელი - 1996/97

ესპანეთის საუკეთესო მოთამაშე - 1997/98

საბერძნეთის საუკეთესო მოთამაშე - 1998/99, 1999/00

ორგზის მსოფლიო ჩემპიონი - 1998, 2002.

სამგზის ევროპის ჩემპიონი - 1995, 1997, 2001.

## ევროპელი ლარი ბიორდი

მოედანზე დეჟან ბოდიროგა თავისი ინტელექტუალური თამაშის მანერით გამოირჩევა. მისი სტილი ძალიან ჰგავს ლეგენდარული ამერიკელი კალათბურთელის ლარი ბიორდის თამაშს. არც ლარი ბიორდი ყოფილა სწრაფი და მოქნილი და არც ბოდიროგაზე შეიძლება ვთქვათ, კატასავით მოხერხებულიაო, მაგრამ, როგორც ლარი ბიორდი, დეჟან ბოდიროგაც ასი პროცენტით იყენებს ნიჭს, რომელიც ღმერთმა უბოძა. ბოდიროგა, თითქოს კეფაზეც თვალები აქვსო, საკუთარი ხელისგულივით ხედავს მოედანს და ამას, ყოველთვის თუ არა, ასიდან ოთხმოცდაცხრამეტ შემთხვევაში შედეგიანად იყენებს.

როდესაც ბოდიროგა ბურთით ხელში მეტოქის ფარისკენ დაიძვრება, უკვე მოფიქრებული აქვს ყველა ვარიანტი, რაც კი შეიძლება იმ სათამაშო სიტუაციაში მოხდეს. ის იმით კი არ გამოირჩევა სხვებისგან, რომ ფიზიკურად ძლიერია, სწრაფია ან ტექნიკურია. არა, მას სხვებისგან გამორჩეული დიდი ნიჭი აქვს და ყველაზე უფრო ტვინით თამაშობს და მერე ხელ-ფეხით. ამიტომაა, რომ დეჟან ბოდიროგას ხუთივე პოზიციაზე პროფესიონალური თამაშის ჩვენება შეუძლია. ამიტომაა, რომ მასთან ორთაბრძოლაში უფრო მეტად ჯარიმდებიან, ვიდრე სხვა ნებისმიერ კალათბურთელთან.

## NBA ან Europe

სადაც არ უნდა ეთამაშა ბოდიროგას, გულშემატკივარი ყოველთვის დიდ პატივს სცემდა. როდესაც გუნდიდან გუნდში გადადიოდა, არასოდეს მოლალატის სახელი არ დაუმსახურებია. გახსოვთ, ლუიშ ფიგუ "ბარსადან" "რეალში" რომ გადავიდა? გახსოვთ, კატალონიელმა გულშემატკივრებმა, რომლებსაც სულ რაღაც ერთი კვირით ადრე ფიგუზე პატივსაცემი ადამიანი არ ეგულებოდა, ის კინაღამ ერის მტრად შერაცხა? ფიგუს სახლი დაუწვეს, მანქანა აუფეთქეს და, საშუალება რომ ჰქონოდათ, ალბათ მოკლავდნენ კიდეც. ბოდიროგას ასეთი "იაღლიშები" არ მოსვლია. პირიქით, როდესაც "პანათინაიკოსიდან" წავიდა, მის სახლთან უამრავი გულშემატკივარი შეიკრიბა. ისინი მადლობას უხდიდნენ იმისთვის, რაც მან ბერძნული გუნდისთვის გააკეთა. ფანების ასეთი სიყვარული ბევრ რამეზე მეტყველებს.

მაგრამ ასეთ სიყვარულს ის ვერ დაიმსახურებდა ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. რატომ? იმიტომ, რომ დეჟან ბოდიროგა არ არის ისეთი სწრაფი, როგორც ალენ აივერსონი; მას არ შეუძლია, ვინს კარტერივით საჯარიმოში შეიჭრას და "დანქი" გააკეთოს; მას არ შეუძლია, სტივ ფრენსისივით ჩაადრიბლინგოს; მოკლედ, მას არ შეუძლია, შოუმენი იყოს იმიტომ, რომ ის ჩემპიონია და შოუ, სახელად "ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია", არ არის მისთვის შექმნილი ლიგა.

რა თქმა უნდა, ბოდიროგას ძალიან კარგად ესმის, რომ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სტანდარტები მისი სურვილებიდან ძალიან შორსაა. ისიც ესმის, რომ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში გადასვლის შემთხვევაში ახალბედა იქნება და თუ მის პოზიციაზე ვილაც ოცმილიონიანი შავკანიანი არ დახვდა, მწვრთნელმაც ადვილად გაუგო და გუნდშიც არ შეექმნა პრობლემები მრავალმილიონიანი კონტრაქტის მქონე კალათბურთელებთან, მაშინ შეიძლება იქ თამაში. მაგრამ განა ღირს, ის დიდება, რაც მას აქვს, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაზე გაცვალოს? ვფიქრობ, არა. თვითონაც ასე ფიქრობს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ მას ოკეანის გაღმა გახედვაც არ უნდა.

მოკლედ

## პოლ გასკოინი საავადმყოფოში მოათავსეს

ცნობილ ინგლისელ ფეხბურთელს პოლ გასკოინს ფილტვების ანთება აღმოაჩნდა. 37 წლის გასკოინმა შეუძლოდ იგრძნო თავი. იგი დაუყოვნებლივ მოათავსეს საავადმყოფოში. ექიმებმა ფილტვების ანთების დიაგნოზი დასვეს. მათი თქმით, ფეხბურთელის მდგომარეობა საკმაოდ სერიოზულია. გარდა ამისა, მას სხვა დაავადების სიმპტომებიც ახასიათებს, ოღონდ ჯერჯერობით გაურკვეველია, კონკრეტულად რომელის. მისი აგენტის თქმით, პოლს ძლიერი სისხლდენაც ჰქონდა.

ამჟამად გასკოინი უმუშევრია. გასული წლის ოქტომბერში მან "ბოსტონ იუნაიტედის" მოთამაშე მწვრთნელის პოსტი დატოვა, სადაც მხოლოდ ორი თვე გაატარა.

## რედნაპი მამას დაეხმარება

ახალ, 2005 წელს, "საუთჰემპტონის" პირველი ახალწვეული "ტოტენჰემის" ყოფილი ნახევარმცველი ჯეიმი რედნაპი იქნება. ინგლისის ეროვნული ნაკრებისა და "ლივერპულის" ყოფილი ფეხბურთელი მალე გადავა იმ გუნდში, რომლის მთავარი მწვრთნელი მამამისი - გარი რედნაპი გახლავთ.

3 იანვარს უმცროსმა რედნაპმა "ტოტენჰემთან" კონტრაქტი გაწყვიტა. "ტოტენჰემი" იმიტომ დავტოვე, რომ მის მთავარ მწვრთნელს მარტინ იოლს ვერ ვეწყობოდი. მინდა, მამაჩემს დავეხმარო. მისი კლუბი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. სხვათა შორის, დიდი ხანია ვოცნებობდი, მამაჩემის კლუბში მეთამაშა," - განაცხადა ჯეიმი რედნაპმა.

## "სანტოსს" და "რეალს" ახალი მწვრთნელები ჰყავთ

მას შემდეგ, რაც ლუშემბურგომ მადრიდის "რეალის" მწვრთნელის პოსტი დაიკავა, მისი ადგილი ბრაზილიის მოქმედ ჩემპიონ გუნდ "სანტოსში" ასევე ბრაზილიელმა სპეციალისტმა ოსვალდო ოლივეირამ დაიკავა.

ადრე ოლივეირა ლუშემბურგოსთან ერთად მუშაობდა სამწვრთნელო შტაბში. "ლუშემბურგოს და მე ხშირად გვადარებენ. მე დიდი ხნის წინათ დავამტკიცე ჩემი პროფესიონალიზმი. ამ ადამიანსაც დიდ პატივს ვცემ. გარდა ამისა, ძალიან მიხარია, რომ ისევ აღმოვჩნდი იმ გუნდში, რომელსაც მოგება ნამდვილად შეუძლია," - განაცხადა ოლივეირამ.

## ტიერი ანრი ფიფა-ს ელჩი გახდება

ფიფა-ს პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა ჟურნალ France Football-ს განუცხადა, რომ მზადაა, ორგანიზაციას 2011 წლამდე უხელმძღვანელოს.

"მოდი, ჯერ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ჩავატაროთ. შემდეგ კი, თუ ჯანმრთელობა ხელს შემიწყობს და ფიფა-ში მუშაობის სურვილიც მექნება, თან თუ ეროვნული ასოციაციები დარჩენას მთხოვენ, რატომ უნდა შევეწინააღმდეგო მათ? მე ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდად ვგრძნობ თავს, მაგრამ გადაწყვეტილება ფიფა-ს კონგრესმა უნდა მიიღოს. თუ პრეზიდენტის პოსტზე ისევ ვიყრი კენჭს და კონგრესიც მხარს დამიჭერს, მაშინ ვადას გავიხანგრძლივებ," - განცხადა 66 წლის ბლატერმა. საუბარში იგი ასევე შეეხო რასიზმის თემას, რომელიც ამ ბოლო დროს ძალიან აქტუალურია ევროპული ფეხბურთის სამყაროში. ბლატერმა აღნიშნა, რომ მზადაა, ტიერი ანრი რასიზმის წინააღდეგ ფიფა-ს ელჩად დანიშნოს. "მიხარია, რომ ეს შესანიშნავი ახალგაზრდა ფეხბურთელი თანახმაა ისეთ მნიშვნელოვანი თანამდებობის დასაკავებლად, როგორიც ელჩობა გახლავთ. მე მის დასახელებას ვაპირებ. ჩანაფიქრს ახლო მომავალში განვახორციელებ. ვწუხვარ, რომ რასიზმის პრობლემა ასეთი აქტუალური გახდა ფეხბურთისთვის. დროა, მის აღმოფხვრაზე ვიზრუნოთ."

სხვათა შორის, ტიერი ანრი ფიფა-ს დაჯილდოებაზე გამოცხადდა შავთეთრი სამაჯურით, რაც მისთვის, როგორც ფეხბურთელმა მოგვიანებით აღნიშნა, ფეხბურთში რასიზმის წინააღდეგ ბრძოლის სიმბოლოა.

## უილიამსი ვიტალი კლიჩკოს ცალი ხელით ებრძოდა

ბრიტანელი სუპერმძიმეწონითი კატეგორიის მოკრივემ დენი უილიამსმა, რომელიც სამი კვირის წინათ ვიტალი კლიჩკოსთან დამარცხდა, ამ შეხვედრის მეორე რაუნდში მარჯვენა ხელის ისეთი სერიოზული ტრავმა მიიღო, რომ, შესაძლოა, კრივს სამუდამოდ გამოემშვიდობოს.

უილიამსის თქმით, იგი დღემდე მიყენებულ ტრავმას საიდუმლოდ ინახავდა, რადგან არ უნდოდა, ხალხს კლიჩსკოსთან მარცხის გამო თავის მართლებად ჩაეთვალა.

"მარჯვენა მხარეს ძლიერად დავეცი, საკმაოდ შორს გადავაგდე ხელი და ვიგრძენი, რომ მხრიდან რაღაც ამომივარდა. ტკივილი აუტანელი იყო, მაგრამ ბრძოლა მაინც გავაგრძელე, თუმცა, ვერ შევძელი, მეტოქეს სათანადოდ შევჭიდებოდი. მხოლოდ ცალი ხელით ვიბრძოდი," - ყვება უილიამსი. მან ასევე დაამატა, რომ არ ცდილობს, თავი გაიმართლოს და მარცხშიც არავის ადანაშაულებს. "შეხვედრა წავაგე. სამწუხაროა, რომ ვერ შევძელი ის გამეკეთებინა, რაც უნდა გამეკეთებინა. მოკრივეები მიჩვეულები ვართ ტკივილს, ამიტომაც წუწუნსა და ჩივილს აზრი არა აქვს. არავის დაუძალებივარ, ასეთი ძლიერი დარტყმა შემესრულებინა, რომელმაც საკმაოდ მძიმე შედეგი გამოიღო," - აღნიშნა მოკრივემ.

## შარაპოვას მოდა აინტერესებს

ჩოგბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ მარია შარაპოვა მოდური ბუტიკის გახსნას გეგმავს. თავისი განზრახვა ჩოგბურთელმა ჟურნალისტებს გაანდო ჰონგ კონგში, სადაც ის ტურნირში Watsons Water Champions Challenge იღებდა მონაწილეობას.

"მოდა სერიოზულად მაინტერესებს, ამიტომაც მინდა, მას დავუკავშირო ჩემი მომავალი ცხოვრება და ამაზე აქედანვე ვფიქრობ, თუმცა, ჩოგბურთს ჯერჯერობით პირველი ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში," - განაცხადა შარაპოვამ. იქვე დაამატა: "ვფიქრობ, სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ საკუთარ ბუტიკს გავხსნი."

ამჟამად შარაპორვას მეოთხე ადგილი უკავია WTA-ის (ქალთა პროფესიონალური ტურნირი) რეიტინგში.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

## ოთხშაბათი. 5 იანვარი

### НТВ+ФУТБОЛ

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ტოტენჰემი"
14:00 მაყურებელთა თხოვნით. ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2002-2003. ნახევარფინალი. "რეალი" - "იუვენტუსი"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ - "მონაკო"
18:00 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. ბრაზილიის ჩემპიონატი. "პალმეირასი" - "სან-პაულუ"
19:45 თავისუფალი დარტყმა
20:00 სახვალიო ტელეპროგრამა
20:10 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "დინამო (უკრაინა) - "ბაიერი"
22:00 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
22:30 "FUTBOL MUNDIAL"
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. "საუთჰემპტონი" - "ფულჰემი". პირდაპირი ტრანსლაცია

### НТВ+ПЛЮС

09:00 ჩოგბურთი. "Hopman Cup" ავსტრალიაში. რუსეთი - არგენტინა
13:00, 19:00, 21:00 პრესცენტრი
13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
13:30 ჩოგბურთი. ტურნირი ჩინეთში. მარია შარაპოვა - ვინუს უილიამსი; ს. უილიამსი/ვ. უილიამსი - ე. დემენტიევა/ნ. ვაიდისოვა; ა. მორესმო - ს. კუზნეცოვა. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 სნოუბროდი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში
15:30 ჩოგბურთი. ტურნირი ჩინეთში. მ. შარაპოვა - ვ. უილიამსი; ს. უილიამსი/ვ. უილიამსი - ე. დემენტიევა/ნ. ვაიდისოვა; ა. მორესმო - ს. კუზნეცოვა. პირდაპირი ტრანსლაცია. გაგრძელება
17:00 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. მატჩი მესამე ადგილისთვის
19:15 სუპერკროსი. პარიზის სპორტის სასახლე "ბერსიში"
20:00 "ვატერპოლე"
20:30 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
21:15 "ქრონიკა"
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის. ფინალი
23:30 "არტეფაქტი". ფეხბურთი
00:15 ახალი ამბები
00:30 ძიუდო. მსოფლიო ჩემპიონატი სტუდენტთა შორის მოსკოვში

### EUROSPORT

10:30 რლი. რალი-რეიდი, დაკარი
11:15 თავგადასავალი ბუნებაში
11:45 ციგები. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
12:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში
13:00 რალი. რალი-რეიდი, დაკარი
13:45 რალი. რალი-რეიდი, დაკარი. პირდაპირი ტრანსლაცია
14:00 ციგები. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:30 ფეხბურთი - გ-ო-ო-ო-ლ!!!
15:00 ციგები. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
15:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში
16:15 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
18:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი ყატარაში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 რალი. რალი-რეიდი, დაკარი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:45 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში
22:15 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი ბელგიაში
23:15 ცხენოსნობა. კონკური პორტუგალიაში
23:45 გოლფი
00:15 მულტისპორტი ოთხშაბათობით
00:30 რალი. რალი-რეიდი, დაკარი
01:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში
02:30 ახალი ამბები
02:45 რალი. რალი-რეიდი, დაკარი

საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
CIVIL SOCIETY INSTITUTE

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION

რუბრიკა შეიქმნა "სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის" პროექტის "სამოქალაქო საზოგადოება კანონშემოქმედებით პროცესში" ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" ფინანსური მხარდაჭერით, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტთან და გაზეთ "24 საათთან" თანამშრომლობით.

*"სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი" აგრძელებს საკანონმდებლო ინიციატივების ექსპერტიზაზე მუშაობას. დღეს გთავაზობთ კონსტიტუციური კანონპროექტის "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" ექსპერტულ ანალიზს. ექსპერტული ანალიზის ავტორია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი* ***ავთანდილ დემეტრაშვილი.***

***დაინტერესების შემთხვევაში შეგიძლიათ მოგვმართოთ: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი; ტელ: 94 16 05; 33 04 17; ელ-ფოსტა: law@civilin.org***

# საქართველოს კონსტიტუციური კანონი "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ"

**მუხლი 1** საქართველოს კონსტიტუციაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 49-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პარლამენტი შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭიყრით არჩეული 150 პარლამენტის წევრისაგან. საარჩევნო სისტემის საფუძვლები განისაზღვრება ორგანული კანონით."

2. 64-Ე ᲛᲣᲮᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲔᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲗ:

"1. კონსტიტუციის დარღვევის ან დანაშაულის ჩადენისათვის იმპიჩმენტის წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და მოსამართლეების, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების, მთავრობის წევრების, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, სახალხო დამცველისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ს.

2. 63-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით დასკვნის მიღების შემდეგ სიითი შემადგენლობის უმრავლესობით პარლამენტი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი თანამდებობის პირები. ამ შემთხვევებზე ვრცელდება აგრეთვე 63-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედება.

3. თანამდებობისთვის შეუფერებლობის გამო საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/4-ს.

4. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სიითი შემადგენლობის 3/5-ით პარლამენტი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი."

3. 82-Ე ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲘ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲔᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲗ:

"1. სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით. "

4. 83-Ე ᲛᲣᲮᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲔᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲗ:

"1. მართლმსაჯულებას ახორციელებენ საერთო სასამართლოები. მათი სისტემა, სტრუქტურა, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით, ხოლო სამართალწარმოების წესი განისაზღვრება კანონით.

2. სამხედრო სასამართლოების შექმნა შეიძლება საომარ პირობებში და მხოლოდ საერთო სასამართლოთა სისტემაში

3. საგანგებო სასამართლოების შექმნა დაუშვებელია"

5. 86-Ე ᲛᲣᲮᲚᲘᲡ:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის, ხოლო მომრიგებელი მოსამართლე - 27 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება."

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესება ხდება არანაკლებ 10 წლის, ხოლო მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე - არანაკლებ 5 წლის ვადით. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნის, თანამდებობიდან განთავისუფლების წესი განისაზღვრება ორგანული კანონით."

გ) მე-3 პუნქტში სიტყვები „გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა" შეიცვალოს სიტყვებით „გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისა"

6. ᲓᲐᲔᲛᲐᲢᲝᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲡ 87[1] ᲛᲣᲮᲚᲘ:

„1. საქართველოს უზენაესი სასამართლო არის უმაღლესი საკასაციო სასამართლო.

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის არანაკლებ 3/5-ით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

3. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

4. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და მოსამართლეების არჩევა ხდება 10 წლის ვადით.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება, ორგანიზაცია, საქმიანობა და მოსამართლეთა რიცხოვნობა განისაზღვრება 83-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ორგანული კანონით.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები ხელშეუხებელნი არიან. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

7. 871 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲔᲛᲐᲢᲝᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ[1] ᲗᲐᲕᲘ „ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘ", ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲘᲪᲐᲕᲡ 88-Ე, 89-Ე, 90-Ე ᲓᲐ 91-Ე ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲡ.

8. 88-Ე ᲛᲣᲮᲚᲘᲡ:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკონსტიტუციო კონტროლს საკონსტიტუციო სამართალწარმოების წესით ახორციელებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომლის უფლებამოსილება, შექმნისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით."

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 წევრისაგან. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის კანდიდატებს საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, რომელიც სიითი შემადგენლობის არანაკლებ 3/5-ით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს. ერთი და იმავე კანდიდატის წარდგენა შეიძლება მხოლოდ 2-ჯერ.

ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის 21 პუნქტი:

"21 საკონსტიტუციო სასამართლო თავისი შემადგენლობიდან 5 წლის ვადით ირჩევს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს."

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. ერთი და იმავე პირის საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად არჩევა შეიძლება მხოლოდ ორჯერ".

დ) მე-4 პუნქტში რიცხვი "35" შეიცვალოს რიცხვით "30"

9. 89-Ე ᲛᲣᲮᲚᲘᲡ:

ა) 1-ლი პუნქტის "დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ). იხილავს რეფერენდუმისა და არჩევნების დანიშვნის/არდანიშვნის კონსტიტუციურობასთან დაკავშირებულ დავას."

ბ) 1-ლი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტში სიტყვები „ნორმატიული აქტების" შეიცვალოს სიტყვებით "საქართველოს პარლამენტის, აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის და მთავრობის წევრების ნორმატიული აქტების".

გ) 1-ელ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ1" ქვეპუნქტი:

„ვ1 საქართველოს სახალხო დამცველის ან მოქალაქის სარჩელის საფუძველზე იხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების, განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით".

10. 90-Ე ᲛᲣᲮᲚᲘ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲔᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲗ:

"მუხლი 90

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები ხელშეუხებელნი არიან. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ პარლამენტის თანხმობით. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს. თუ პარლამენტი არ მისცემს თანხმობას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

მუხლი 2

1. კანონის გამოქვეყნებიდან 2 კვირის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტს ასარჩევად წარუდგინოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა კანდიდატურები. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა არჩევისთანავე შეუწყდეთ უფლებამოსილება საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედ მოსამართლეებს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. მათზე გავრცელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური გარანტიები.

2. კანონის გამოქვეყნებიდან 2 კვირის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტს ასარჩევად წარუდგინოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა (გარდა თავმჯდომარისა)კანდიდატურები. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა არჩევისთანავე შეუწყდეთ უფლებამოსილება უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეებს (გარდა თავმჯდომარისა) რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. მათზე გავრცელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული სოციალური გარანტიები.

მუხლი 3

1. ეს კანონი გარდა 1 პუნქტისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი პუნქტი ამოქმედდეს საქართველოს ორგანულ კანონში -საქართველოს საარჩევნო კოდექსში - შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ.

*საქართველოს პრეზიდენტი*
*მიხეილ სააკაშვილი*

# საქართველო მორიგი კონსტიტუციური ცვლილებების მოლოდინში

ავთანდილ დემეტრაშვილი
*იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი*

2004 წლის რეფორმები საქართველოში საკმაოდ დინამიურად მიმდინარეობს და საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს ეხება. ამის კიდევ ერთი დასტურია საქართველოს პრეზიდენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციის 102-ე მუხლის შესაბამისად 2004 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტში განსახილველად შეტანილი საქართველოს კანონის პროექტი "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ". თუ აქამდე განხორციელებული ცვლილებები (ძირითადად 2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო კანონით განხორციელებული) არსებითად ახლებურად განსაზღვრავდნენ საქართველოს პრეზიდენტის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების კონსტიტუციურ უფლებებსა და ურთიერთობებს, ამჟამად საქართველოს პარლამენტში წარდგენილი პროექტი სახელმწიფო მექანიზმის სხვა კონსტიტუციურ სეგმენტებს, უპირატესად კი, სასამართლო ხელისუფლებას ეხება.

კონსტიტუციური კანონის პროექტის ძირითადი დებულებები გასაგები და ლოგიკურია, რამეთუ ისინი საქართველოს სახელმწიფოს თანამედროვე განვითარების ტენდენციებიდან გამომდინარეობენ, თუმცა ზოგიერთი ნორმა, ჩვენი აზრით, უფრო ღრმა გააზრებასა და სრულყოფას მოითხოვს.

ეხლა კი კონკრეტულად წარმოდგენილი პროექტის ზოგიერთი მუხლების შესახებ.

**49-Ე ᲛᲣᲮᲚᲘᲡ 1 ᲞᲣᲜᲥᲢᲘ:**

საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობის 235-დან 150-მდე შემცირებით როგორც იქნა, თუმცა მნიშვნელოვანი დაგვიანებით, შეიძლება აღსრულდეს 2003 წლის 2 ნოემბრის რეფერენდუმზე ამომრჩეველთა მიერ გამოხატული ნება. ვფიქრობთ, ეს ნოველა მისასალმებელია აგრეთვე იმ კუთხითაც, რომ იგი ხელს შეუწყობს საქართველოს პარლამენტის პროფესიული დონისა და მისი საქმიანობის ქმედითობის ამაღლებას.

49 მუხლის 1 პუნქტის ახალ რედაქციაში არ არის განსაზღვრული პარლამენტის წევრთა უფლებამოსილებების ვადა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ტექსტის ბეჭდვის დროს ოპერატორს ერთდროულად სამი სიტყვა ("4 წლის ვადით") გამორჩა და საქართველოს პრეზიდენტმაც, ვერ შეამჩნია ეს ხარვეზი, როდესაც ხელს აწერდა და საქართველოს პარლამენტში აგზავნიდა კონსტიტუციურ კანონპროექტს. ვვარაუდობთ, რომ უფლებამოსილებათა ვადა შეგნებულად არ არის განსაზღვრული, რათა:

ა) ორპალატიანი პარლამენტის დაფუძნების შემთხვევაში პალატის წევრთა უფლებამოსილების ერთმანეთისაგან განსხვავებული ვადა განისაზღვროს;

ბ) უფლებამოსილებათა ვადა განისაზღვროს ორგანული კანონის (ვთქვათ, საარჩევნო კოდექსის), ორდინალური კანონის (ვთქვათ, პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ) ან სულაც პარლამენტის რეგლამენტის დონეზე.

თუ პირველი ჩვენი ვარაუდი (ბიკამერალური პარლამენტის დაფუძნება) სწორია, მაშინ რა აზრი აქვს 49 მუხლის 1 პუნქტის სასწრაფოდ, ამ ეტაპზე გადასინჯვას?

თუ პარლამენტის წევრთა უფლებამოსილების ვადა არა კონსტიტუციის, არამედ კანონის დონეზე უნდა განისაზღვროს, ეს იქნება საქართველოს კონსტიტუციურ განვითარებაში უკან გადადგმული ნაბიჯი.

სახელმწიფო ორგანოებიდან პარლამენტი ყველაზე მეტად ახლოსაა ხელისუფლების წყაროსთან - ხალხთან, და არის სახალხო სუვერენიტეტის განხორციელების ერთ-ერთი საიმედო გარანტი, ხოლო მისი უფლებამოსილების ვადა – პარლამენტის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მექანიზმია. ჩვენი ამ აზრის დამაჯერებლობისათვის, როგორც ერთ-ერთ არგუმენტს აღვნიშნავთ, რომ ევროპის 50-ზე მეტი სახელმწიფოდან მხოლოდ საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკაში და მალტაში ეს საკითხი არა კონსტიტუციით, არამედ ორგანული კანონით რეგულირდება.

**64-Ე ᲛᲣᲮᲚᲘ 1-4 ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ:**

იმპიჩმენტის წესით იმ თანამდებობის პირთა წრის გაფართოება, რომლებიც შეიძლება გადაყენებულ იქნენ თანამდებობიდან, არსებითად მისაღებია, თუმცა არის რამდენიმე კითხვა:

ა) პირველი პუნქტის ახალი რედაქციიდან არ ჩანს, ექვემდებარება თუ არა იმპიჩმენტის პროცედურას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე?

ბ) იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ან წევრი, პარლამენტართა აზრით არღვევენ საქართველოს კონსტიტუციას (ძნელი წარმოსადგენია), ვის უნდა მიმართონ დასკვნის მისაღებად პარლამენტის წევრებმა?

გ) თუ პარლამენტარებს მიაჩნიათ, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ან მოსამართლემ ჩაიდინეს დანაშაული, ვის უნდა მიმართონ შესაბამისი დასკვნის მისაღებად?

ჩვენი აზრით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს სახალხო დამცველის თანამდებობიდან გადაყენების საიმპიჩმენტო პროცედურები (თუ საჭიროა საერთოდ ეს პროცედურები მათ მიმართ), ამ თანამდებობათა მაღალი სახელმწიფოებრივი დონის გათვალისწინებით, დაახლოებით ისეთივე უნდა იყოს, როგორც საქართველოს პრეზიდენტისათვის არის დადგენილი. გაუმართლებელი და მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის პრაქტიკაში ნაკლებად გაზიარებულია წესი, რომლის მიხედვით კვალიფიციური უმრავლესობით არჩეული საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ა.შ. თანამდებობიდან შეიძლება გადაყენებული იქნენ პარლამენტის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

დ) სახელმწიფო ღალატი როგორც იმპიჩმენტის ერთ-ერთი საფუძველი ან უნდა დარჩეს 64-ე მუხლის 1 პუნქტში, ან ამოღებული იქნეს 75-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან (მეორე ვარიანტი უკეთესია);

ე) 64-ე მუხლის მე-3 მე-4 პუნქტების მიხედვით საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე და საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები შეუფერებლობის გამო თანამდებობიდან შეიძლება გადაყენებულნი იქნენ არასაიმპიჩმენტო წესით, ამასთან, გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/4-ს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის გადაყენებას მხარი უნდა დაუჭიროს სიითი შემადგენლობის 3/5-მა (ალბათ უნდა იყოს არანაკლებ 3/5-მა).

ჩვენი აზრით, თუ მაინცდამაინც საჭიროა ამ დამოუკიდებელ კონსტიტუციურ ორგანოებზე საქართველოს პარლამენტის არსებითად სრული კონტროლის დამყარება, მაშინ მათ მიმართ იმპიჩმენტის პროცედურის არსებობას აზრი აღარ აქვს.

ვ) ეტყობა 64-ე მუხლის მე-4 პუნქტის ახალ რედაქციაში უნდა ეწეროს "ამ მუხლის მე-3 პუნქტში" და არა "ამ მუხლის მე-4 პუნქტში".

**82 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ 1 ᲞᲣᲜᲥᲢᲘ, 83 ᲛᲣᲮᲚᲘ**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ხელისუფლების ერთ ნაწილად ითვლება, გარდა მისი საქმიანობის არსებითად სასამართლო პროცესუალური ფორმისა, იგი მხოლოდ ფორმალურად არის ამ სისტემაში, მას არავითარი კავშირი არა აქვს იუსტიციის საბჭოსთან, მოსამართლეთა კონფერენციასთან და ა.შ. ამიტომ მისი სასამართლო ხელისუფლების გარეთ გამოყვანა თითქოს არ უნდა იწვევდეს წინააღმდეგობას. აქ მხოლოდ ერთ კითხვაზე უნდა გავცეთ პასუხი:

- ხელისუფლების რომელ განშტოებას უნდა მივაკუთვნოთ იგი კონსტიტუციის ამ ნაწილის გადასინჯვის შემდეგ და რამდენად შეესაბამება ეს ნოველა კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტს, რომლის მიხედვით: "სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით".

**86-Ე ᲛᲣᲮᲚᲘ:**

მხურვალედ მივესალმებით მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტის შემოღებას. ამით შემცირდება ის დიდი დატვირთვა, რომელიც ამჟამად მოსამართლეებზე მოდის, მოხდება სასამართლოს მოსახლეობასთან დაახლოება, გამარტივდება სოციალურად ნაკლებად მნიშვნელოვანი დავებისა და კონფლიქტების განხილვის პროცედურები.

ძნელია დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ მოსამართლე შეიძლება იყოს პირი, რომელსაც არც ერთი დღე არ უმუშავია იურიდიული სპეციალობით (86 მუხლის 1 პუნქტის ახალი რედაქცია).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით პარლამენტში განსახილველად შეტანილია კანონის პროექტი "იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ", რომლის მიხედვითაც მოსამართლედ ალბათ მხოლოდ ამ სკოლის კურსდამთავრებულებს განაწესებენ, მოსამართლეთა კორპუსი, ვიდრე ამ სკოლას პირველი ნაკადი (20-30 კაცი) დაამთავრებს (ეს ორი წლის შემდეგ მოხდება) ათი წლით ყოველგვარი სპეციალური გამოცდილებისა და განათლების მქონე პირებით შეივსება, რაც მართლმსაჯულების დონის დაქვეითებას გამოიწვევს.

**87[1] ᲛᲣᲮᲚᲘ:**

ვეთანხმებით გადაწყვეტილებას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლო აღარ განიხილავს საქმეებს პირველი ინსტანციით და მხოლოდ და მხოლოდ საკასაციო სასამართლო იქნება.

მეტად სადავოდ, სასამართლოთა დამოუკიდებლობის ხელყოფად მიგვაჩნია 87[1] მუხლის მე-6 პუნქტისა და 90-ე მუხლის ნორმები იმ ნაწილში, რომლის შესაბამისად უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების თავმჯდომარეებისა და წევრების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მათი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი ჩხრეკა უნდა განხორციელდეს არა ამ სასამართლოების, არამედ რატომღაც საქართველოს პარლამენტის თანხმობით (თუ არ ვცდებით თანხმობა მიიღება დადგენილების სახით, ე.ი. დამსწრე დეპუტატთა უბრალო უმრავლესობით).

**88-Ე ᲓᲐ 89-Ე ᲛᲣᲮᲚᲔᲑᲘ:**

ვეთანხმებით საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის გაფართოებას (89-ე მუხლი 1 პუნქტის 3' ქვეპუნქტი), საარჩევნო დავების განხილვის უფლებამოსილების დაზუსტებას (89-ე მუხლის 1 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი), ნაკლებად ვიზიარებთ საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების ახალ წესს და არ ვეთანხმებით საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად ერთი და იმავე პირის ორჯერ არჩევას.

ჩვენი აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოს დღეს არჩეული ფორმირების პარიტეტული წესი უფრო მეტად პასუხობს ხელისუფლების დანაწილებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობის იდეებს, თუმცა კონსტიტუციური კანონპროექტით შემოთავაზებული წესი საკმაოდ გავრცელებულია მსოფლიოში და აქვს არსებობის უფლება.

სასამართლოს დამოუკიდებლობას, ჩვენი აზრით, სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ორჯერ ერთი და იმავე პიროვნების საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად არჩევა, ვინაიდან პირველი ვადით არჩეული პირი მეორე ვადით არჩევის სურვილით ალბათ შეეცდება არ შევიდეს კონფლიქტში როგორც პრეზიდენტთან, ასევე საქართველოს პარლამენტთან, რაც შეასუსტებს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობას ეფექტურად განახორციელოს ამ ორგანოთა აქტების კონსტიტუციური კონსტოლი.

თუ მაინცდამაინც გვინდა პროფესიონალ მოსამართლეთა ფენა შევქმნათ მაშინ ან განუსაზღვრელი ვადით ავირჩიოთ ისინი ან ვთქვათ ერთხელ 12, 15 წლით.

აგრეთვე დაფიქრებას მოითხოვს ერთი და იმავე პირის შესაძლებლობა იყოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე 20 წლის განმავლობაში.

და კიდევ ერთი: ალბათ უპრიანი იქნებოდა კონსტიტუციის დონეზე უფრო დეტალურად მოწესრიგებულიყო საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევნების საკითხი.

**ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲔ-3 ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲛᲔ-2 ᲞᲣᲜᲥᲢᲘ:**

სასურველია საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირების შესახებ "საქართველოს საარჩევნო კოდექსში" ცვლილებები რაც შეიძლება მალე იქნეს მიღებული. ამისათვის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი სიტყვები: "...მაგრამ არა უგვიანეს 2006 წლის 1 იანვრისა".

დაბოლოს, ძალზე სასურველია საქართველოს კონსტიტუციაში იმ შეუსაბამობის გამოსწორება, რომელიც მასში 2004 წლის 6 თებერვლის კონსტიტუციური რეფორმისა და სულ ახლახან საქართველოს მთავრობის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით წარმოიშვა.

1) ვინაიდან საპრეზიდენტო არჩევნებში გაუქმდა ამომრჩეველთა კვორუმი აზრი დაეკარგა 70-ე მუხლის მე-7 პუნქტს და იგი უნდა შეიცვალოს;

2) ცნობილია, რომ საგანგებო და საომარი მოქმედების დროს საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია შეზღუდოს კონსტიტუციის ზოგიერთი ნორმის მოქმედება, მაგრამ ეს გადაწყვეტილება უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა. თუ პარლამენტი ამ დროს დათხოვნილი იქნება, მაშინ შეუძლებელი იქნება ამ ნორმის ამოქმედება, ამიტომ საჭიროა 50-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 46-ე მუხლის 1 პუნქტებს შორის არსებული შეუსაბამობის გამოსწორება.

3) უკვე განხორციელებული სამთავრობო სტრუქტურის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით დაგვიანებით მაინც უნდა გადაისინჯოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის 1 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის რედაქცია.

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილ მოსაზრებათა გათვალისწინება ხელს შეუწყობს საქართველოს კონსტიტუციის როგორც პოლიტიკურ-იურიდიული ნაწარმოების შემდგომ სრულყოფას.

## ფოტოგალერეა



დავით აღმაშენებელი.

ავტორი: ბესო გულაშვილი

## TV პროგრამა

### 5 იანვარი

**რუსთავი - 2**

**08.00** "ჯეტიქსი" **09.30** მხ. ფილმი "მოსკოვი-კასიოპეა" **11.00** სერიალი "ტარზანი" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** სერიალი "გრაფი მონტე კრისტო" **13.20** მხ. ფილმი "შერლოკ ჰოლმსის და დოქტორ ვატსონის თავგადასავალი" **15.20** მხ. ფილმი "უკეთესი დროება" **17.20** სერიალი "ენტერპრაიზი" **18.20** "ჯეტიქსი" **18.50** გასართობი პროგრამა **19.20** მხ. ფილმი "მისტერ პიტკინი საავადმყოფოში" (გ) **22.15** ხალხის პირისპირ **23.45** მხ. ფილმი "ამელი" (გ) **01.50** დოკ. ფილმი "ნაკვოი კაცი" (18)

**TV5**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.25(შვეიცარია), 02.55(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.10** ისინი მგლებთან საუბრობენ. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **11.05** ოჯახის კაცები. დოკ. ფილმი. **12.15** სიცილის ფესტივალი. **15.30** კულისებიდან დანახული თეატრი. დოკ. ფილმი. **16.30** სისი - მეამბოხე იმპერატორი. მხ. ფილმი. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **19.05** ოჯახის კაცები. დოკ. ფილმი **20.25** გადაცემა: სიხარული და სიყვარული. **24.25** სარა. თეატრი. **04.25** რადეცკის მარში. მხ. ფილმი.

**პირველი არხი**

**08.00** "ადრე" **10.00** მხ. ფილმი "დუეტები" **11.30** "ძველი აფიშა" - თ. ჩანტლაძე **12.00** "მთავარი" - საინფ. პროგრამა **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **13.00** "სარჩევი" **14.00** საქსონიის საშობაო რიტუალი **15.00** "მთავარი" - სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** ანიმაც. ფილმი "ამბები ჩემი ბავშვობის შესახებ" **16.00** მხ. ფილმი "ჩალის ქუდი" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** მხ. ფილმი "ალისა საოცრებათა ქვეყანაში" მე-3ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** როსტროპოვიჩი. 1-ლი ნ. **22.10** დოკ. ფილმი "თეთრი სახლი" **23.10** "ახალი პროექტი" - ქართული ცეკვა **23.40** როსტროპოვიჩი. მე-2 ნ. **00.25** მხ. ფილმი "ნეილონის ნაძვის ხე" (გ) **02.00** საინფ. გამოშვება

**მზე**

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** "მუსიკა მზეზე" **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "აფიორა" (გ)

**მეორე არხი**

**19.00** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ბაბილინა" **20.05** ანიმაცია "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. ფილმი "კათედრალური ტაძრები" **21.20** სპექტაკლი "ოპერაცია "დეიდა ტასო" **22.40** კინოსეანსი "თემო"

**იმედი**

**08.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **08.30** დოკ. სერიალი "ბუნების გენიოსები" **09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** მხ. ფილმი "აფონია" **13.15** მხ. ფილმი "ოსტინ პაუერსი" (გ) (ლ. ჰარლი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.50, 01.35** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.25, 01.45** ტვ-მარკეტი **17.10, 02.15** იმედის მელოდიები **17.35** ა. ცქვიტინიძე, მოსკოვი. **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.20** მხ. ფილმი "ივან ვასილევიჩი იცვლის პროფესიას" **22.45** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.05** უცნობი საქართველო **23.35** მხ. ფილმი "გაქცეული პატარძალი" (გ) (ჯ. რობერტსი)

**აჭარა**

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** კომედია "აგენტი ჯონი ინგლისში" **10.40** დოკ. ფილმი **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.45** სათავ. ფილმი "იტალიელების დაუჯერებელი თავგადასავლები რუსეთში" **14.45** კომედია "საძაგელი გოგონები" **16.15** მულტფილმი **17.45** "ფერისცვალება" **18.00** ბოევიკი "მეტრო" **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **21.00** თრილერი "ბუნდოვანი ჰორიზონტი" **22.35** მუსიკა **23.00** "ზღვარი" **23.30** საინ. დაიჯესტი **23.50** მხ. ფილმი "ტაბუ"

**კავკასია**

**12.00** მხ. ფილმი "ბლანში" (გ) **14.00** ტუწ-ემ **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "ზეგავლენის ქვეშ" (გ) **00.30** ტუწ-ემ

**18.00** მხ. ფილმი "უსახლკარო" (გ) 1-ლი ს. **19.40** დოკ. ფილმი **20.50** კონცერტი **22.20** მხ. ფილმი "სისხლის მოგონება" (15)

**ОРТ**

**06.00, 10.00, 15.00** Новости. **06.10** "Королевская битва: акула атакует". **06.50** Нарисованное кино "Лебединая песня". **08.10** Джон Филип Лоу в фильме **"ЗОЛОТОЕ ПУТЕШЕСТВИЕ СИНДБАДА"**. **10.10** Геннадий Хазанов в комедии **"ПОЛИЦЕЙСКИЕ И ВОРЫ"** **12.00** "Новогодняя шутка с Евгением Петросяном". **13.00** Олег Газманов в церемонии "Лица года". **14.30** "Формула власти". Новогодний выпуск. **15.10** "Слабое звено" с Марией Киселевой. **16.00** Нарисованное кино. "История игрушек-2". **17.40** Новогодний "Ералаш". **18.00** "СТАРЫЕ ПЕСНИ О ГЛАВНОМ-3". **21.00** Время. **21.15** Леонид Куравлев в комедии **"ЖЕЛЕЗНОДОРОЖНЫЙ РОМАНС"**. **23.10** РОЖДЕСТВО ХРИСТОВО. ТРАНСЛЯЦИЯ ИЗ ХРАМА ХРИСТА СПАСИТЕЛЯ. **00.40** Игорь Шавлак в остросюжетном фильме **"ПАРИЖСКИЙ АНТИКВАР"**. **03.30** Тамара Семина в фильме **"РАССКАЖИ МНЕ О СЕБЕ"**. **05.10** Док. фильм "Арктическая Троя".

**НТВ**

**06.45** Евгений Весник в фильме **"ПРИКЛЮЧЕНИЯ ЭЛЕКТРОНИКА". 1**-я с. **08.00, 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.00** Сегодня. **08.20** Мультфильм "Маугли". **08.40** Комедийный сериал **"2,5 ЧЕЛОВЕКА". 09.05** Энциклопедия тайн. Зрение: увидеть - значит поверить. **10.25** Квартирный вопрос. **11.15** Жаклин Смит и Перри Кинг в фильме **"КАЛЕЙДОСКОП"** **13.25** Николас Роу в боевике **"МОЛОДОЙ ШЕРЛОК ХОЛМС"** **15.25** Мультфильм "Ну, погоди!" **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.25** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Комедийный сериал **"ОТРАЖЕНИЯ". 18.05** Премьера. "Игры разума". **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.30** Дастин Хоффман в комедии **"ТУТСИ"** **21.40** Леонардо Ди Каприо в фильме **"ЧЕЛОВЕК В ЖЕЛЕЗНОЙ МАСКЕ"**. **00.15** Уго Тоньяцци в комедии **"КЛЕТКА ДЛЯ БЕЗУМЦЕВ-2"** **01.50** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 02.35** Том Хэнкс в комедии **"ЛОВУШКА ДЛЯ ДЕНЕГ"** **04.15** Коллекция Национального географического общества. "Вечные враги. Львы и гиены". **05.15** Сериал **"ОДИССЕЯ-5"**.

## სკანვორდი



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები:

[illegible]

# ფეხბურთელი სცენაზე



2005 წელი არცთუ სასიამოვნოდ დაიწყო როდ სტიუარტისთვის. ცნობილი მომღერალი საახალწლო დასვენების დღეების გასრულებისთანავე სასამართლოს მიაკითხავს. საქმე ისაა, რომ სტიუარტის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა მუსიკის თაყვანისმცემელმა, რომელსაც კონცერტზე საყვარელი მუსიკოსის ნასროლი ბურთი თავში მოხვდა.

ინციდენტი 31 აგვისტოს ლოს ანჯელესში მოხდა. სპორტულ-გასართობი ღონისძიების მიმდინარეობისას - სან ფრანცისკოს "ჰოლივუდ ბოულის" სტადიონზე სტიუარტმა მაყურებლებში მთელი ძალით ისროლა ბურთი. ამჟამად "დაზარალებული" მაყურებელი მორალური და ფიზიკური ზარალის ანაზღაურებას ითხოვს.

სხვათა შორის, ბრიტანელ მუსიკოსს მსგავსი რამ წლების წინათაც შეემთხვა. მაშინაც როდ სტიუარტის მიერ სცენიდან ნატყორცნმა საფეხბურთო ბურთმა მაყურებელი ქალბატონი დააზარალა. აი, ასე ძვირად უჯდებათ როდ სტიუარტსა და მის თაყვანისმცემლებს მუსიკოსის გატაცება ფეხბურთით.

# მუსიკოსები ქველმოქმედებენ




კლიფ რიჩარდი და ბოი ჯორჯი მონაწილეობას მიიღებენ სინგლის ჩაწერაში, რომლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალიც აზიაში, ცუნამისგან დაზარალებულ მოსახლეობას გადაერიცხება.

პროექტის მონაწილეები ამ მეთოდით 2 მილიონ ფუნტზე მეტი თანხის შეგროვებას ვარაუდობენ. სიმღერა სინგლისთვის, რომლის სახელწოდებაა Grief Never Grows, მელანქოლიური ბალადის სტილში დი-ჯეი მაიკ რიდმა დაწერა.

ჯგუფ Boyzone-ის ყოფილი სოლისტი რონან კიტინგი, ალბათ, დათანხმდება ამ საქველმოქმედო პროექტში მონაწილეობაზე, თუკი სინგლის ჩაწერა მოხერხდება შვეიცარიაში, იმ მიდამოებში, სადაც ახლა მომღერალი ისვენებს.

ჩანაწერში მონაწილეობა უკვე შესთავაზეს: "ბი ჯიზის" წევრებს, რობინ და ბარი გიბებს, ჯაზმენს ჯეიმი კალუმის, კრის რის და ოლივია ნიუტონ-ჯონს.

სიმღერა რიდმა ჯერ კიდევ მანამდე დაწერა, ვიდრე ცუნამი აზიის ქვეყნებს გადაუვლიდა, მაგრამ იმის გამო, რომ ის საკმაოდ მელანქოლიური გამოვიდა, ავტორმა ამ სიმღერის გამოქვეყნება მიზანშეწონილად არ ჩათვალა. ახლა კი, დი-ჯეის აზრით, დადგა დრო, სიმღერა პოპვარსკვლავების მონაწილეობით ჩაწეროს სინგლად, რომელსაც უწოდა One World Project.

სიმღერის ინსტრუმენტული ნაწილი უკვე ჩაწერილია. პროექტის ორგანიზატორები დარწმუნებული არიან, რომ ვოკალური პარტიების ჩაწერასაც მალე დაასრულებენ. კლიფ რიჩარდმა თავისი პარტია ბარბადოსში ჩაწერა, ბოი ჯორჯმა კი - ნიუ იორკში. "მოხარული ვიქნები, თუკი სინგლი გაყიდვების მაჩვენებლით პირველ ადგილზე გავა", - ამბობს მაიკ რიდი.

სტიქიისგან დაზარალებულთა დასახმარებლად გაერთიანდნენ ავსტრალიის მუსიკალური სამყაროს წამყვანი წარმომადგენლებიც. 8 იანვარს სიდნეის ოპერის თეატრში დაგეგმილია საქველმოქმედო კონცერტი Reach Out To Asia, რომელში მონაწილეობაზეც ავსტრალიელი ვარსკვლავების დიდი ნაწილი დათანხმდა. სამი კომერციული სატელევიზიო არხი შოუს პირდაპირ ეთერში გადასცემს. ბილეთებიდან შემოსული თანხა, მაყურებლების მიერ გაცემულ დახმარებასთან ერთად, ფონდ World Vision-ში გადაირიცხება.



მშობლები დათო ბარნაბიშვილი, თეა მნათობიშვილი, და ნინიკო, ბაბუები ვახტანგ ბარნაბიშვილი, გივი მნათობიშვილი, ბებიები დიანა გურასაშვილი, ქეთევან მუმლაური, მამიდა ნინო ბარნაბიშვილი-კანდელაკისა, ბიძები გიორგი მნათობიშვილი, ბესო კანდელაკი, მამიდაშვილი ნატო კანდელაკი ოჯახით იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

**ქეთი ბარნაბიშვილი**

**პანაშვიდი 4, 5 იანვარს 4 საათზე.**
**დაკრძალვა 6 იანვარს 2 საათზე.**
**ვაშლიჯვარი, მე-14 ბ კორპუსი, მე-5 სართული**



შვილები - შორენა, ხათუნა, მამუკა ბურდულები, ძმა ზაქრო ბურდული, ძმის შვილები რუსლანი, ნანა, ლელა, რძლები ნონა მაჭარაშვილი, ეთერ კორკოტაძე, შვილიშვილები გიორგი და თინიკო ბურდულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ალექსანდრე (სანდრო) ბურდული**

**პანაშვიდი 6-7 იანვარს, 16 სთ-ზე.**
**დაკრძალვა: 8 იანვარს, 14 სთ-ზე.**
**მის: რუსთავი, იაღლუჯის ქ. 16.**



მეუღლე ეკა ჩიჩუა, დედა - მაკრი ყიფიანი, მამა - თემურ კაკოჩაშვილი, ძმა გიორგი, შვილები თემიკო და მარიამი, რძალი თეა ჟორჟოლაძე, სიდედრი - ნანა ჟღენტი, სიმამრი - ვახტანგ ჩიჩუა, მამიდა ნუნუ, დეიდები - დარეჯან, მაგლო, ზემფირა ყიფიანები, ბიძები - გურამ ხუნდაძე, თენგიზ ნიკურაძე, კონსტანტინე ჩხეიძე, დეიდაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**მექი თემურის ძე კაკოჩაშვილი**

**პანაშვიდი 4-5 იანვარს, 4 სთ-ზე, დაკრძალვა 6 იანვარს 2 სთ.-ზე. ქ. თბილისი, შმიდტის ქ. 80.**

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.